# სარბიელი

საორტული გაზეთი | შაბათი 28 აპრილი 2001 №76 (1349) | ფასი 50 თეთრი


# ნატურპროდუქტი და ნატურგოლი: საქართველოში დეფიციტია



იბერია — თსუ 1:2. სტუდენტი გიორგი არეშიძის (№6) ეს დარტყმა იბერიელთა მეკარე გიორგი ცინაძემ გაჭირვებით მოიგერია

აბა, თუ გამოიცნობთ, რას ამტკიცებდნენ გუშინდელ საგანგებო პრესკონფერენციაზე თბილისური „მერანის" თავკაცები? დიდი ტვინისჭყლეტა ამას არ სჭირდება — კლუბის პრეზიდენტი დავით ფურცელაძე, ტექნიკური დირექტორი ანზორ მამალაძე და მთავარი მწვრთნელი ოთარ გაბელია იფიცებიან, 21 აპრილის „მერანი" — „კოლხეთი" ჩაწყობილი არ იყო, ამ საქმეში სუფთანი ვართო. თავის მართლება თბილისელებსა და ფოთელებს 3 მაისს, საგანგებო კომიტეტის წინაშეც მოუწევთ, თუმც საქმეს ისეთი პირი უჩანს, ავჭალელები მხოლოდ თავის მართლებას არ დასჯერდებიან და „საგანგებო სამეულს" — ჟორდანიას, ჩოლარიას, ჩივაძეს — იქით შეედავებიან. ამის საბაბიც აქვთ: მატჩის ინსპექტორის, ბადრი ქარქაშაძის სიტყვები — მე არაფერი დამინერია, მატჩს არაფერში დავუეჭვებივარო.

ისე, მართლაც საინტერესოა, თუ ინსპექტორს უფროსობისთვის არაფერი უპატაკებია, მაშ ვინ აცნობა „სინათლიდან" „ფედერალებს", ავჭალაში სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს გაურიგდაო.

ერთი სიტყვით, ფრიად ჩახლართული ვითარებაა, ისეთი, მტყუან-მართლის გარჩევა, ვინძლო, „დიდ სამეულსაც" გაუჭირდეს.

გუშინ მეექვსე ტური დაიწყო. საქმეში ქვეექვსეულის გუნდები ჩაერთვნენ. დღეს კი განაჩენის მომლოდინე „მერანი" „ლოკომოტივს" უმასპინძლებს. მეორე ეჭვმიტანილი „კოლხეთი" მცხეთაში „ვიტ ჯორჯიას" სტუმრობს, ქუთაისში ძველ-ახალი ჩემპიონები „ტორპედო" და „დინამო" ითამაშებენ

იხილეთ მეორე-მესამე გვერდები

## ტორონტოს პირველი საპლეიოფო

ნიუიორკელებს თავს ებრაელთა რისხვა და სექსუალური მოძალადე დაატყდათ

## მეექვსედ ჩასვლის წინ

„ბრიტანელმა ლომებმა" საავსტრალიო შემადგენლობა და კაპიტანი დაასახელეს

## მოვიდა, ნახა, ასწავლა

ქართველებს ფრენბურთში ტიტული არ გაქვთ, სამაგიეროდ, გყავთ ვაჟა კაჭარავა და გივი ახვლედიანი

| | |
|---|---|
| აზოტი | 0 |
| სტუ | 1 |

# რაც გვინახავს, ისევ ვნახეთ

## 21 ქულით დაწინაურებულმა აზოტმა წაგება მსაჯ ზაზა მაჩალაძეს დააბრალა

საქართველოს ჩემპიონატი

გუშინ, საქართველოს ჩემპიონატის პლეი ოფის ნახევარფინალის პირველ მატჩში რუსთავის „აზოტი" 21 ქულით უგებდა სტუ-ს, მაგრამ ნაადრევად დაარხეინდა და მეტოქეს წამოწევის საშუალება მისცა.

სტუდენტები ირაკლი ხოშტარიამ აიყოლია და მათ დაწინაურებაც მოახერხეს, აზოტელებმა კი ბოლო მეოთხედში მსაჯებთან კამათისთვის ორი ტექნიკური მიიღეს და მატჩი ვეღარ გადაარჩინეს.

ნამატჩევს „აზოტმა" და მისმა გულშემატკივრებმა ტრადიციულად მსაჯებზე გადატეხეს ჯოხი — განტევების ვაცად არბიტრი ზაზა მაჩალაძე აქციეს. სტუ კი სერიაში 1:0 დაწინაურდა და თუ დღეს 16 საათზე დანიშნულ მატჩშიც იმარჯვა, პირველად გავა ფინალში. მანამდე, 14 საათზე, ნახევარფინალის პირველ მატჩში თბილისის „მაკაბი" და ბათუმის „ბასკო" შეხვდებიან.

იხილეთ მეათე გვერდები



გუშინ: სტუ — აზოტი 77:72. აზოტელმა ირაკლი ჯაფარიძემ ალეკო დავითულიანს დაუფარა

# დუმილის კურსი ოქროს ბირჟაზე

## მერანი — კოლხეთი: ფედერაცია 15 წუთში გაგებულს მეთორმეტე დღეს გაარჩევს



„მერანის“ უფროსობა თავისას ამტკიცებს: ანზორ მამალაძე, დავით ფურცელაძე და ოთარ გაბელია

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო კომიტეტმა 6 აპრილს ერთი გადაწყვეტილება მიიღო: გააცხადა, ჩემპიონატის ქვეექვსეულის პირველი ტურის „გორდა“ — „სიონი“ ჩაწყობილი იყოო. ფედერაციამ ორივე გუნდი მეტ-ნაკლებად დასაჯა. მაშინ საგანგებო კომიტეტის წევრებმა ისიც თქვეს, ეს სხვა გუნდებმაც გაითვალისწინონ, პატიოსნად ითამაშონ, თორემ არავის დავინდობთო.

ამ ამბიდან სამ კვირაში კი საგანგებო კომიტეტს ერთი ანალოგიური საქმეც გაუხდა გასარჩევი — დაწინაურებული ექვსეულის მეხუთე ტურის „მერანი“ — „კოლხეთის“ მატჩი, რომელიც სტუმრებმა 4:2 მოიგეს. უწინდელისგან განსხვავებით, ფედერაცია რატომღაც არ ჩქარობს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას. ჯერჯერობით საგანგებო კომიტეტმა მხოლოდ ის ილონა, რომ „მერან“ — „კოლხეთის“ ანგარიში არ დაამტკიცა. საქმის გასარჩევად კი 11 დღე ინება. წინა შემთხვევისგან განსხვავებით, მატჩის ინსპექტორ ბადრი ქარქაშაძეს საგანგებო კომიტეტისთვის პატაკი არ ჩაუბარებია, მატჩი სპექტაკლს ჰგავდაო. აქედან გამომდინარე, გაუგებარია, ვის ნათქვამს დაეყრდნო საგანგებო კომიტეტი, როცა მატჩის შედეგი არ დაამტკიცა. ჟურნალისტებს ამ შემთხვევაში ვერავინ დაიმოწმებდა, რადგან „მერანის“ პრეზიდენტ დავით ფურცელაძეს ქარქაშაძე მატჩის დამთავრებიდან 15 წუთში დაკავშირებია და უთქვამს, ფედერაციაში ხარ დაბარებულიო. ჩვენს ქვეყანაში კი ჯერჯერობით ისე არაა საქმე, „მერან“ — „კოლხეთის“ თუ სხვა მატჩების რეპორტაჟები 15 წუთში გასაყიდად გამზადებულ გაზეთში იბეჭდებოდეს. ის კი, რაც ფედერაციაში ფურცელაძეს უთხრეს, ქვემოთ წაიკითხეთ.

გუშინ „მერანის“ ხელმძღვანელებმა პრესკონფერენცია გამართეს და სწორედ 21 აპრილის მატჩზე ილაპარაკეს.

***დავით ფურცელაძე, „მერანის“ პრეზიდენტი:***

— „მერანს“ „კოლხეთთან“ მატჩი არ გაუყიდია. ამაში დარწმუნებულნი იყავით. ჩვენ საიმისოდ არ გვიჭირს, ფულისთვის ვინმეს თამაში დავუთმოთ. ბიჭები ჩვენი ყოფის კვალობაზე სოლიდურ ხელფას-პრემიებს თავის დროზე იღებენ, ეგ კი არა, ხანდახან წამახალისებელ თანხასაც ვაძლევთ. მე რომ შევატყო, „მერანის“ რომელიმე ფეხბურთელი თამაშს ყიდის, საქმეს ისე გავუხდი, ფეხბურთს საერთოდ დაავტოვებინებ. თამაშის დამთავრებიდან 15 წუთში ქარქაშაძემ დამირეკა, ფედერაციაში ხარ დაბარებულიო. მივედი. მერაბ ჟორდანია, ვალერი ჩოლარია და საშეჯიბრო კომიტეტის უფროსი გია ფირცხალავა დამხვდნენ. მითხრეს, „კოლხეთთან“ მატჩი საეჭვო იყო, წინასწარ გარიგებულს ჰგავდაო. მე, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ვიუარე, ამგვარი არაფერი ყოფილა-მეთქი. პრეზიდენტი ვარ და არ დავუშვებ, „მერანმა“ რომელიმე მატჩი იყიდოს ან გაყიდოს. ჩვენ პატიოსნად ვთამაშობთ და მომავალზე ვფიქრობთ. „მერანის“ სკოლაში 50 ბავშვი ვარჯიშობს, რომლებიც საერთაშორისო ტურნირებს იგებენ და ნამდვილად არ მსურს, სახელი გავიტეხო.

ქარქაშაძეს ვუთხარი, მატჩის შემდეგვე რატომ არ მითხარით, მატჩმა თუ დაგაეჭვათ-მეთქი. მან მიპასუხა, მე არაფერში დავეჭვებულვარ და არც ფედერაციაში არაფერი მითქვამს და დამიწერიაო. ყველაფერი კი იმის ბრალია, ფედერაციაში ჭორაობის მეტს რომ არაფერს აკეთებენ. რაღაცას ივარაუდებენ და თუ გამართლდა, იტყვიან, მატჩი ჩაწყობილი იყოო. ჟურნალისტები კი რატომღა დაეჭვდით, ამას ნამდვილად ვერ გეტყვით.

***ოთარ გაბელია, „მერანის“ მწვრთნელი:***

— ყველაფერი აბსურდულად მეჩვენება. მე პირიქით, მოხარული ვიქნები, თუ დაამტკიცებენ, რომ მატჩი ჩაწყობილი იყო და დამნაშავეს საკადრისად დასჯიან. მაგრამ გეფიცებით, ამგვარი არაფერი ყოფილა. ვერავინ შემომთავაზებს, თამაში დამითმეო და არც მე ვიკადრებ, მატჩის შედეგზე წინასწარ შევუთანხმდე მეტოქეს. ყველამ იცოდეს, „მერანი“ წლეულს ქვეყნის თასის მოსაპოვებლად იბრძვის. ჩვენ ექვსეულში მოვხვდით და ჩემპიონატში პრეტენზია სხვა არაფერზე გვაქვს. მთავარია, არ გავვარდებით. ამიტომაც ჩემპიონატის ყველა მატჩში განსხვავებული შემადგენლობით ვთამაშობთ, ვერიდებით ყვითელ-წითელ ბარათებს, ტრავმებს, რის გამოც შესაძლებელია, ფეხბურთელმა სათასო მატჩი გამოტოვოს. შემადგენლობასაც იმიტომ ვცვლი-ხოლმე, რომ თასის შეხვედრებისთვის 11 საუკეთესო ფეხბურთელი შევარჩიო.

ერთიცაა საგულისხმო: ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას ყურამდე ბევრი რამ არ მიდის. მატჩების ინსპექტორები თამაშის შემდეგ ოქმში იმას წერენ, რაც ხელს აძლევთ. ერთი გუნდის დანაშაული შეიძლება ოქმში არ დააფიქსირონ, მეორის ზუსტად ისეთივე ქცევა კი დიდი ასოებით ჩაწერონ. აგერ, მაგალითს გეტყვით. „ვიტ ჯორჯიასთან“ თამაშისას მსაჯისთვის ისეთი არაფერი მითქვამს, მაგრამ გამაძევეს, როცა მსაჯ ორდინიძეს ვკითხე, რატომ მაძევებ-მეთქი, მიპასუხა, ინსპექტორმა მილჩენკომ ასე მითხრაო. მე თუ იმ დღეს რამე დავაშავე, მაშინ დავით ყიფიანმაც უთხრა „დინამოსთან“ მატჩისას შილაკაძეს ერთი-ორი სიტყვა. მერე მე სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე დამიბარეს და პასუხი მომთხოვეს, ყიფიანი კი არც დაუბარებიათ და მისთვის არც არაფერი უთქვამთ. მე ამიხსნეს, ყიფიანი ტექნიკურ ზონას არ გასცდენიაო. რაღა ვთქვა ამის შემდეგ?

***ანზორ მამალაძე, „მერანის“ ტექნიკური დირექტორი:***

— ჩემპიონობისთვის „ტორპედო“, „ლოკომოტივი“ და „დინამო“ იბრძვიან და „მერანმა“ ამათგან რომელიმეს თუ მოუგო, ან რომელიმესთან წააგო, მაშინვე ეჭვობენ, რომ ეს შეგნებულად გავაკეთეთ. ახლა „მერანს“ სამივესთან აქვს სათამაშო, ხვალ „ლოკომოტივს“ ვმასპინძლობთ, მერე „დინამოს“ ვსტუმრობთ, ჩვენთან სათამაშოდ „ტორპედო“ უნდა ჩამოვიდეს. მოკლედ, შესაძლოა, ავჭალაში ვინმემ ჩემპიონობა დაკარგოს და სწორედ ეს იძლევა ჩვენს პატიოსნებაში დაეჭვების საფუძველს. გარწმუნებთ, „მერანი“ სუფთად თამაშობს.

„სარბიელმა“ კი თავისი უკვე დაწერა. ახლა სიტყვა ფედერაციაზეა, რომელმაც საეჭვო „მერან“ — „კოლხეთზე“ სათქმელი საბოლოო სიტყვა რატომღაც 3 მაისამდე, ანუ საეჭვოდვე გაახანგრძლივა: დღეს, 28 აპრილს „მერან“ — „ლოკომოტივის“ საჩემპიონატო მატჩია, 1 მაისს კი ეს გუნდები სათასო ნახევარფინალში შეხვდებიან ერთმანეთს.

**ქოჩბა ინასარიძე**

# ალალი კი იქნებოდა...

| | |
|---|---|
| ბათუმი | |
| 27 აპრილი | |
| 16 საათი | |
| ცენტრალური | |
| 1000 (ტევადობა 18 000) | |

**ბათუმი 1:0 დილა**

1:0 მაჭუტაძე (84)

ბათუმი: ქანთურია, მახარაძე, მინდაძე, გველესიანი, ჩიჩუა, გელა ქორიძე, დარჩიძე (გ. ბაჩილავა 86), ფულეჟიშვილი (აფხაზავა 61), მაჭუტაძე, ტულუში, ა. მუჟირი

სათადარიგონი: ბალაძე, ქაცარავა, კობიძე, რომანაძე

დილა: სოლოლაშვილი, აკოფიანი, რ. ხაჭაპურიძე, ლომიძე (საყვარელიძე 67), გრიგალაშვილი (გ. ჩიტაია 61), გაგნიძე, ფეხუაშვილი, ლ. გოჩაშვილი, თაყაძე (ა. ბოკერია 89), ხორგუაშვილი, ეჯოშვილი

სათადარიგონი: თ. ილურიძე, ერაძე

გაფრთხილება: გრიგალაშვილი (16), ქორიძე (81), ტულუში (84)

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე; დ. სანაია (ორივე სოხუმი)

სფფ-ის ინსპექტორი: ლ. ყიფიანი

**იუზა კაციტაძე ბათუმიდან**

„ბათუმთან“ ბურთაობა ცუდად აქვს დაცდილი „დილას“. შინ თუ გარეთ გორელებს მეტად უმძიმთ ზღვისპირელებთან პაექრობა. ამ გუნდების ბოლოდროინდელი შეხვედრები ნათქვამს სრულად ადასტურებენ. სტატისტიკას მოვიშველიებთ. მეშვიდე ეროვნულის მეორე წრიდან მოყოლებული ქართლელებმა აჭარლებთან 10 მატჩი წააგეს და ორჯერ ფრედ ითამაშეს. ახლა ბურთების შეფარდებას არ იკითხავთ? 1:31-თან და ეს ერთი — ავტოგოლი — გორელებს ბათუმელთა ექს კაპიტანმა მალხაზ მახარაძემ უსაჩუქრა. „დილასთვის“ ამ მართლაც რომ სავალალო ბალანსთან ერთად იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მიმდინარე გათამაშებაში მეტოქეთა წინა სამივე მატჩს უექსცესებოდ არ ჩაუვლია, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ მასპინძლები გაჭირვებაში ჩავარდნილ, უმაღლესი ლიგის დატოვების აშკარა საფრთხის წინაშე მყოფ სტუმრებს არაფერს დაუთმობდნენ. დიახ, უმძიმესი თამაში ელოდა გუშინ „დილას“.

„ბათუმმაც“ თავიდანვე მძლავრად შეუტია, ოღონდ მედგარ წინააღმდეგობასაც წააწყდა. მასპინძელთა იერიშებს გორელებმა ორგანიზებული დაცვა დაუპირისპირეს და საიმედოდაც გადაკეტეს საკუთარი საჯარიმოს მისადგომები. ამის გამო იყო, რომ ზღვისპირელები იძულებულნი შეიქნენ შორეული დარტყმებით გასულიყვნენ ფონს. მე-8 წუთზე მაჭუტაძემ გაისროლა ძლიერად სოლოლაშვილის კარისკენ, მაგრამ მცირედით ააცილა. წუთში იგივე ბედი ეწია გელა ქორიძის დარტყმულსაც. ამასობაში სტუმრებმაც მოიცალეს შეტევებისთვის და წინ წაწეულმა ეჯოშვილმა და ხორგუაშვილმა ბათუმელ მცველებსაც გაუჩინეს სამუშაო. შუა ტაიმში თამაში გათანაბრდა და მეტწილად მინდვრის ცენტრში მიმდინარეობდა. 28-ე წუთზე ტულუში ისევ შორიდან შეეცადა „დილას“ კარის დალაშქვრას, ოღონდ მისმა უძლიერესად დარტყმულმა ხარიხას გადაუქროლა. ხუთ წუთში უკვე სტუმრებს მიეცათ შანსი. ხორგუაშვილმა 20 მეტრიდან სახიფათოდ დაარტყა ჯარიმა, თუმც მანაც ოდნავ ააცილა მიზანს.

ზღვისპირელთა უპირატესობა უფრო შესვენების შემდეგ იგრძნობოდა. თამაშის განახლებისთანავე დარჩიძე გაისარჯა კარგად, „დილას“ საჯარიმოს წინ ზუსტად დაუგორა დასარტყმელად ტულუშს, მაგრამ მასპინძელთა „ათიანს“ არც ამჯერად გაუმართლა, ბურთი კარს ზემოთ გაფრინდა.

55-ე წუთზე ბათუმელებმა, როგორც იქნა, მიზანშიც მოახვედრეს. მაჭუტაძე აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, ახლოდან, ოდნავ მახვილი კუთხიდან დაურტყა სოლოლაშვილს და აქ მეკარემ იყოჩაღა, ნახტომში კუთხურზე გადააგდო ძნელი ბურთი. მასპინძლები, როგორც წესი, ცენტრიდან ცდილობდნენ „დილას“ საჯარიმოში შეღწევას, მაგრამ ამაოდ, გორელი მცველები გაგნიძის მეთაურობით ფხიზლად იდგნენ. მერე მასპინძლებმა ფლანგურ იერიშებსაც მიმართეს, მაგრამ არც ამან გაამართლა, სოლოლაშვილი გამოსვლებზე უშეცდომოდ თამაშობდა. კარგად იცავდა თავს „დილა“ და მატჩი სასურველ ფრისკენაც მიჰყავდა. თუმცა, გორელთათვის საბედისწერო 84-ე წუთიც დადგა. სტუმრებმა საკუთარი საჯარიმოს წინა ხაზთან დაარღვიეს თამაშის წესი. ბათუმელებმა პირდაპირ კარში დარტყმას ბურთის გათამაშება არჩიეს, მაჭუტაძემ დაგორებულს ძლიერი დარტყმა მიაყოლა და... „კედლიდან“ წინ დაძრული ხაჭაპურიძის ფეხიდან ჰაერში აჭრილი ბურთი კარიდან ორიოდ მეტრით გამოსული სოლოლაშვილის ზურგსუკან ჩაეშვა ბადეში.

გაშვებულმა თითქოს იმედი გადაუწურა „დილას“. დაიბნენ სტუმრები. ორ წუთში მაჭუტაძე იოლად გაუსწორდა გორელ მცველებს და საგოლე გადაცემაც გაუკეთა ტულუშს, ამან კი ხუთი მეტრიდან გადააცილა ხარიხას. ასპროცენტიანი შანსის ხელიდან გაშვება მასპინძლებს კინაღამ ძვირად დაუჯდათ. დამატებულ დროში ახალშესულმა ბოკერიამ ტულუშზე არანაკლებ ხელსაყრელი მომენტით ვერ ისარგებლა, ჭანტურიას კართან ახლო მყოფმა გორელმა თავური შეაგება პარტნიორის ფლანგურ გადაცემას, მაგრამ ვერ მოზომა და მიზანს ააცილა. არადა, გოლი ალალი იქნებოდა. „დილამ“ ხომ ყველაფერი გაიღო, რათა არ წაეგო. რას იზამ. ზემოთაც ვთქვით, გორელებს ცუდად აქვთ დაცდილი „ბათუმთან“ ბურთაობა და ეს ტრადიცია არც გუშინ დარღვეულა.



იფრონა ხაჭაპურიძის ფეხიდან ასხლეტილმა ბურთმა და სოლოლაშვილის კარში ჩაეშვა

## იტალია
სერია B. XXX ტური
კალიარი 2:3 ემპოლი

## გერმანია
XXXI ტური
ვოლფსბურგი 1:1 დორტმუნდი

II ბუნდესლიგა
XXXI ტური
ჰანოვერი 0:0 ალემანია
მიონხენგლადბახი 0:1 არმინია

## ჩეხეთი
XXVI ტური
სინოტი 0:1 პრიბრამი

## თურქეთი
XXX ტური
გაზიანთეფსი 2:1 ანკარაგიუჯიუ

## შოტლანდია
XXXV ტური
კილმარნოკი 1:1 ჰარტსი

## ჰოლანდია
XXX ტური
აიაქსი 1:0 ბრედა

1:0 კრუსი (79)

აიაქსი: გრიმი, ვირკლაუ (კრუსი 46), ბასანჩი, დე კლერი, გალაშეკი, ვიჩგე, იაკუბუ, ვან დერ გუნი (ლეედია 67), ვან დერ მეიდე, შ. არველაძე, ვამბერტო (ვან დერ ვაარტი 56)

## საფრანგეთი
II დივიზიონი
XXXVI ტური
მონპელიე 1:1 კრეტეი

## შვედეთი
თასის 1/4 ფინალი
გიოტებორგი 1:2 მალმიო

## პოლონეთი
XXII ტური
კატოვიცე 1:1 რუხი

1:0 მოსკალა (23), 1:1 ვოში (82)

რუხი: ვერჩოვსკი, ვლეჩიალოვსკი, სურმა, დორნალიკი, ბოლდტი (გორავსკი 46) მასტერნაკი, ჟიძია (შრუტვა 58), გურსკი, ვოში, ბიზაცკი, ბალუხი

საქართველოს ჩემპიონატი — უმაღლესი ლიგა — მეორე ეტაპი

# 6 ტური

## VII–XII ადგილები

# შორეული ლანდები

## იბერიას ფიქრები. უმაღლესლიგელი ვიქნები

თბილისი
27 აპრილი
16 საათი
შევარდენი
200 (ტევადობა 3 000)

**იბერია 1:2 თსუ**

1:0 ჩაჩუა (8), 1:1 გვაზავა (10), 1:2 ახალაძე (60)
ИБЕРИА: ცინაძე, სანიკიძე (გულორდავა 49), ნინუა, ქვანია, ამისულაშვილი (გ. ნოზაძე 58), ყურაშვილი, ჩაჩუა (შ. ლაცაბაძე 46), კაკაშვილი, ლ. ხმალაძე, გაგუა, ჭიაბრიშვილი
სათადარიგონი: ნადირაშვილი; კვიციანი
თსუ: მამარდაშვილი, ხარებავა, ბერიანიძე, არეშიძე, გვაზავა, ზ. მეტრეველი (დათუნაშვილი 90), ახალაძე (ჯობავა 90), მესხი, მერაბაშვილი, ბ. ნოზაძე, ქერაშვილი (ცბრალიძე 48)
სათადარიგონი: სტურუა; ლობჟანიძე, შოშიაშვილი
გაფრთხილება: სანიკიძე (44), ხმალაძე (45), ყურაშვილი (64)
მსაჯები: მ. მაისურაძე, ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე (ორივე თბილისი); ა. ორდინიძე (ონი)
სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

**დავით თავართქილაძე**

**იმედით** უყურებს „იბერიას" ყოველ საშინაო მატჩს ამ გუნდის ქომაგი. ერთი თამაში ხომ მაინც უნდა მოიგოს აუტსაიდერმა მთელს ჩემპიონატში, ერთხელ ხომ მაინც უნდა გამოაჩინოს „იბერიამ" კბილები თუ ბრჭყალები, მაგრამ არა, სამტრედიელებს საშველი არა და არ დაადგათ. „იბერიამ" უბრალოდ მოგება არ იცის, ყველა საქმეს კი ცოდნა უნდა.

არადა, პირველი სახიფათო მომენტი იბერიელებმა შექმნეს და გოლიც გაიტანეს. მარცხენა ფლანგიდან ყურაშვილმა ჩააწოდა მეტოქის საჯარიმოში, ტანმაღალმა ლევან ჩაჩუამ თავური შეაგება, ბურთი სტუდენტთა მცველ ხარებავას მოხვდა, დამატებაც ჩაჩუასი იყო, მამარდაშვილმა თითქოს იმარჯვა, მაგრამ ისევ ჩაჩუამ გამოიდო თავი და ამ არეულობაში, როგორც იქნა, ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა — მასპინძლები ისე დაწინაურდნენ, ბადე არ შერხეულა.

სტუდენტებმა გამოწვევა მიიღეს და სულ რაღაც ორი წუთი დასჭირდათ საკადრისი პასუხის გასაცემად. ახალაძემ კუთხური ჩააწოდა, „იბერიას" დაცვამ ჩათვლიმა და ზვიად გვაზავამაც მიწაზე დაუშვებელი ბურთი ცინაძის კარში ძლიერი დარტყმით გადაგზავნა.

ხასიათი არ წახდენიათ მასპინძლებს, კვლავაც ბრძოლის იშტაზე იყვნენ. ამასულაშვილს შეეძლო თავურით გატანა, მაგრამ ბურთი ხელებში მიუვიდა მამარდაშვილს.

ორმხრივი შეტევებით გაგრძელდა მატჩი. მერაბაშვილმა მარცხენა ფლანგზე გაიბრწყინა და საპირისპირო მხარეს „იბერიას" საჯარიმოში მიაწოდა ბურთი გვაზავას, თუმცა ამჯერად ცინაძემ იყოჩაღა და ხიფათი გააუვნებლა.



იბერიელი გიგა ქვანია და სტუდენტ ერეკლე მერაბაშვილის მაკრატელა

შემდეგ საჯარიმო დარტყმების შესრულებაში გაეჯიბრნენ გუნდები ერთმანეთს. გაგუას მოჭრილი მცირედით ასცდა თსუ-ს კარს, ნინუას ლონიერმა დარტყმულმა სანტიმეტრებში ჩაუზუზუნა „ცხრიანს", სტუდენტი გვაზავას საჯარიმო კი არც თუ ისე სახიფათო გამოდგა.

ერთი სიტყვით, პირველ ტაიმს არა უშავდა, მეორე ორმოცდახუთმა წუთმა კი გაგვაწბილა — ცალკარში თამაში წავიდა.

ჯერ არეშიძეს მიეცა კარგი შანსი, მაგრამ ახლოდან ბურთი სამტრედიელთა მცველებში ვერ გააძვრინა. შემდეგ კახა ახალაძე დაახლოებით 22 მეტრიდან საჯარიმო დარტყმით ოდენ ძელსგარტყმულ ბურთს გამორჩა, დამატებაზე კი მეტრეველმა ვერ იყოჩაღა. მერე არეშიძე შეიჭრა მარჯვნიდან მასპინძელთა საჯარიმოში და ცინაძემ კუთხურზე მოიგერია ბურთი. ორჯერ ბერიანიძემ ვერ იხეირა — ჯერ თავურით ააცდინა მიზანს, მერე ცაციათი.

ველარ გაუძლო ამდენს „იბერიამ", მის კარში გოლი მწიფდებოდა და მოსახდენიც მოხდა. მეტრეველმა კარგად დაუგორა ბურთი ახალაძეს, რომელიმაც ოცდახუთიოდე მეტრიდან გამარჯვებისა შეაგდო.

სტუდენტები მოეშვნენ, თამაში თითქოსდა გათანაბრდა, მაგრამ „იბერიამ" ფეხი ველარ გამოიჩინა. გოლის შემდეგ დაახლოებით ოცი წუთი უსაშველოდ მდარე ბურთაობა მიდიოდა, მატჩის მიწურულს კი ოდნავ გამოცოცხლდნენ გუნდები. მეტრეველის ჩინებული პასით მერაბაშვილი შეეყარა პირისპირ ცინაძეს, მაგრამ მეკარემ იმარჯვა. „იბერია" ფრეს არ იმსახურებდა, თუმც ბოლო წუთებზე შეეძლო, ქულა დაეცანცლა — ჭიაბრიშვილის გადაცემა ქვანიამ ვერ შეიშნო, მამარდაშვილმა აჯობა.

# გახსოვდეს რუსთავი!

## რაზე ლაპარაკობენ ბოლნისში

ბოლნისი
27 აპრილი
16 საათი
თემურ სტეფანია
800 (ტევადობა 3 000)

**სიონი 3:0 გორდა**

1:0 გოგოლაძე (48), 2:0 მინდიაშვილი (52), 3:0 ისიანი (72)
სიონი: ვოლკოვი, მინდიაშვილი, სიდამონიძე, ირემაშვილი, კ. გოდერძიშვილი, ბარნოვი, ამბიძე (მ. გოგოლაძე 32), მოსეშვილი (კ. მეტრეველი 73), ბ. შენგელია, ისიანი, გაბისონია
სათადარიგო: დალაქიშვილი
გორდა: ბედიაშვილი, კედელაშვილი, ა. ბურნაძე, გელაძე, დ. ბერიძე, მიშველიძე (ზ. ლაბაძე 70), მელაძე, თ. მეტრეველი (კიტეიშვილი 56), გაგნიძე, ჯულელი, ჯელაძე
სათადარიგონი: გუგუნავა; ბექაური, ლაშა სილაგაძე, ა. ბუკია, ა. სოხაძე
გაფრთხილება: მიქაძე (19), ბურნაძე (31)
მსაჯები: მ. მალალურაძე, ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ქიათურა); ა. კრიჟაშვილი (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი

**პაატა კვანტალიანი ბოლნისიდან**

**გუშინ** ბოლნისში ერთი შეხედვით ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი მატჩი იყო, ქვედა ექვსეულის ორი წარმომადგენელი ერთმანეთში არკვევდა ურთიერთობას, მაგრამ მას თან ახლდა უაღრესად დიდი ინტერესი, შიშნარევი სფფ-სთვის, ჩვენთვის, ჟურნალისტებისთვის კი, გამოგიტყდებით, ერთგვარი ეჭვით შეზავებული. სიცხადისთვის 3 აპრილის გახსენება მოგვიწევს — 3 აპრილს სწორედ ეს გუნდები თამაშობდნენ რუსთავში, მაშინ ტაიმი „სიონმა" მოიგო 1:0, მეორე ნახევარში ერთს მეორე გოლიც დაუმატა, მერე კი მასპინძლებმა სამის გატანა შეძლეს, 3:2 გაიმარჯვეს — ადრეც მსგავსი რამ ბევრჯერ მომხდარა და დაფარული ამჯერად გაცხადდა — მატჩი ჩაწყობილი იყო! სკანდალი სათანადოდ დასრულდა — მატჩის შედეგი გაუქმდა, „სიონს" კი სამი ქულა ჩამოერთვა. ახლა ისევ ეს გუნდები, ოღონდ ბოლნისში, ისევ ის მსაჯთა სამეული მოედანზე, ისევ წვიმა მაშინდელივით და ისევ ბოლნისელთა მეორე გოლი 52-ე წუთზე. მაგრამ ეჭვებს თქვენც გაგიფანტავთ და აქვე გეტყვით, როგორც მსაჯთა კომიტეტის თავკაცმა ანატოლი მოლჩანკომ თქვა, ამჯერად ყველაფერი „ფეარ-ფლეის" პრინციპების დაცვით იყო, ალალ თამაშში „სიონმა" იმარჯვა და დიდი ანგარიშით სძლია მეტოქეს.

არადა, პირველი ტაიმის მიხედვით წასაგები, ისიც დიდი ანგარიშით, არაფერი სჭირდათ სტუმრებს, 45 წუთის განმავლობაში „გორდა" თითქმის ყველა საფეხბურთო კომპონენტში სჯობდა მეტოქეს. უფრო მეტს უტევდნენ გია გეგუჩაძის შეგირდები, ბურთსაც დიდხანს აკონტროლებდნენ, ზუსტ პასებსაც არ უგვიანებდნენ ერთმანეთს და დაცვაშიც, ფაქტობრივად, უშეცდომოდ თამაშობდნენ, ანუ „გორდას" ყველა წინაპირობა ჰქონდა საიმისოდ, რომ ანგარიში გაეხსნა. დაცვაში საქმემოლეული კედელაშვილის შეტევაში ეფექტური ჩართვები უფრო და უფრო მეტ პრობლემას უჩენდა „სიონის" დაცვას, ორჯერ ვერცხლისწყალივით მოძრავმა მიქაძემ გააცუდა ანგარიშის გახსნის შანსი, ერთხელაც მელაძეს მცირედ აუცდა დამაგვირგვინებელი დარტყმა. ბევრს აქტიურობდა რამაზ ჯელაძეც, მაგრამ „სიონმა" შეძლო კარის მშრალად შენახვა, თუმც ისე, რომ პირველი ტაიმის განმავლობაში თავად ღირებული ვერაფერი შექმნა.

მეორე ტაიმში კი ფეხბურთელები ხეირიანად გახურებულნიც არ იყვნენ, „სიონმა" რომ ანგარიში გახსნა. მასპინძელთა შორის ყველაზე აქტიურმა ბახვა მოსეშვილმა მეტოქის საჯარიმოში უყურადღებოდ მიტოვებულ შეცვლაზე შესულ მურმან გოგოლაძეს ფეხზე დაასვა ბურთი და მანაც შანსი ბოლომდე გამოიყენა. მოკლედ, წმინდა წყლის ბოლნისური გოლი გამოვიდა, ძირითადად თბილისელებით დაკომპლექტებულ „სიონში" გუშინ მხოლოდ სამი ბოლნისელი თამაშობდა. მოგვიანებით, მესამედ, შალვა ისიანმაც შეძლო თავის გამოჩენა.

გოლმა ბრინჯივით დააბნია სტუმრები — ერთ წუთში, იმავე მოსეშვილის ჩინებული პასის შემდეგ, გაბისონიას შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მაგრამ ბედიაშვილმა ლამაზ ნახტომში შეძლო ბურთის კუთხურზე მოგერიება. 52-ე წუთზე კი მოსეშვილმა უკვე მინდიაშვილი დატოვა ხელსაყრელ სიტუაციაში და ანგარიშიც 2:0 გახდა, მინდიაშვილმა შვიდი მეტრიდან აუღებელი დაურტყა ბედიაშვილს.

აქ გია გეგუჩაძემ „იბერიასთან" მატჩის გადამრჩენი ალექსანდრე კიტეიშვილი ჩართო თამაშში, თუმც ბევრსაც ვერაფერს გამორჩა, კიტეიაშვილმა ერთადერთი, რაც მოახერხა, ის იყო, რომ მატჩის მიწურულს ორ მცველს შორის გამძვრალმა ხარიხას გაარტყა ბურთი, მანამდე კი „სიონს" მესამე გოლის გატანაც მოესწრო — ისიანმა უზადოდ გადაუტარა ბურთი ბედიაშვილს ორიოდე მეტრიდან.

— მიუხედავად რამდენიმე ფეხბურთელის ავადმყოფობისა, ხაგულდაგულოდ ვემზადებოდით ამ მატჩისთვის და გარჯა დაგვიფასდა — თქვა მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე „სიონის" მწვრთნელმა გიორგი ყიფშიძემ.

გია გეგუჩაძემ კი, როგორც ჩანს, თავისი გუნდის წარუმატებლობის ზუსტ დიაგნოზს მიაგნო, ფსიქოლოგიურად ვერაფერი მოვუხერხე ბიჭებს, პირველი გოლი დამთრგუნველად მოქმედებს ჩვენზე და ამ ხარვეზის გამოსწორება გვმართებსო.

| VII–XII ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:2 | 25 |
| სიონი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:7 | 21 |
| თსუ | 6 | 3 | 0 | 3 | 7:10 | 19 |
| გორდა | 6 | 3 | 0 | 3 | 8:9 | 18 |
| დილა | 6 | 2 | 1 | 3 | 9:6 | 16 |
| იბერია | 6 | 0 | 1 | 5 | 5:18 | 3 |




☎ (231) 7 17 58 **იყიდება**

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

**ქუთაისში** ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სულიკოსთან"

**ექიმი კარდიოლოგი**
**გია მაზავრაშვილი**

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109


საქართველოს ჩემპიონატი — პირველი ლიგა — მეორე ეტაპი

# 5 ტური

## I–VI ადგილები

გორი
27 აპრილი
16 საათი
ქართლი

**ცხინვალი 1:2 გურია**

ქვემო ქართლი
27 აპრილი
16 საათი
ცენტრალური

**მილანი 2:0 სამგურალი**

ზესტაფონი
27 აპრილი
16 საათი
მეტალურგი

**მეტალურგი 2:1 შუქურა**

# დამოუკიდებლობის სტადიონი დამოუკიდებლობის დღეს

## „26 მაისი" 26 მაისს: ჩვენი მოწყენილი ფეხბურთი ვაკეში გაფერადდება



[illegible] ფოტო

დაინგრა ძველი, აშენდა ახალი. ქართველებს ახალი სტადიონი კარგად გვაქვს დაცდილი. როცა 1976 წელს „დინამოს" სტადიონი გაახლდა, ქართული ფეხბურთის საქმე აღმა წავიდა. ღმერთმა ქნას, „26 მაისს" „დინამოს" წყალი გადასხმოდეს



[illegible] ფოტო

— 26 მაისს ჩვენი, „26 მაისის" სტადიონი საზეიმოდ გაიხსნება — გვითხრა გუშინწინ რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ და თბილისის „ლოკომოტივის" ვიცე-პრეზიდენტმა ტარიელ ლვაბერიძემ.

მხოლოდ საფეხბურთო, 35 ათასს მაყურებელზე გათვალისწინებული და ქვეყნის დამოუკიდებლობის ხანაში, თითქმის ორ წელიწადში აშენებული სტადიონი, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ოფიციალურად გაიხსნება. იმ დღეს „26 მაისს" ალბათ საქართველოს პრეზიდენტიც ესტუმრება მთელი თავისი ამალით.

ამჟამად კი სტადიონზე ინდივიდუალური სკამების დამონტაჟება და მოსაპირკეთებელი სამუშაოები მიმდინარეობს თურქი სპეციალისტების მეთვალყურეობით. თურქული კომპანიის ხელმძღვანელმა კი გუშინწინ ისიც თქვა, შინ 20 მაისს ვბრუნდები, მეტი საქმე აქ აღარ იქნება, ჩინებული, ბრწყინვალე სტადიონის მშენებლობას ვამთავრებთო.

ჯერჯერობით სტადიონზე 5 ათასამდე სკამია დამონტაჟებული. ტრიბუნებიც მწვანედ, წითლად, ყვითელად და ლურჯად გაფერადდება.

ერთი სიტყვით, ცოტაც და ერთი საფეხბურთო ამბავი მაინც გაგვახალისებს — 26 მაისს ვაკეში „26 მაისი" მთელი თავისი სიკოხტავ-სილამაზით ქართულ ფეხბურთს ჩაბარდება.

**კობა ინასარიძე**


# რესტორანი მზიანი ღამე






**განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით**

**დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე**

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

**კუტუზოვის ქუჩა №3**

**(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)**

**მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით**

გიო ახვლედიანის სვეტი

# უწამლო სპორტი

ყლაპავს თუ არა ედგარ დავიდსი აკრძალულ აბებს?

უფრო სწორად, აკრძალული რამეების შემცველ აბებს?

ამგვარი აკრძალული პრეპარატები რამდენიმე ათასია. მათი რიცხვი განუხრელად იზრდება. ბოლოს ეგებ ვერ დალიო „პერიე“ და „სან პელეგრინო“ (ჩვენებურად „ბორჯომი“), ესპრესო ან რაიმე ასეთი. სურდოს ამბავში წამლის ჩაწვეთება რომ ფეხბურთიდან აძევებს კაცს, ესეც ცნობილია.

დოპინგს კი არ ვიცავ.

დოპინგი ანგრევს ორგანიზმს.

ფეხბურთელებს ვიცავ, რომ წელიწადნახევარი არ დაკარგონ.

საერთოდ, მთელი ამ სადოპინგო ამბების მთავარი გმირები ექიმები უნდა იყვნენ და არა ფეხბურთელები. უბრალოდ, ფეხბურთელს რომ მიადგები, ხმაური მეტია. აკრძალული წამლისთვის მკაცრად დასჯილი ვარსკვლავები ძალიან აკლდებიან თამაშს. ვერ გაექცევი — დღევანდელი სპორტი ისეთია, რომ ლაბორატორიებს ბევრი საქმე აქვთ. აკრძალული წამალი — სასჯელი, აკრძალული წამალი — სასჯელი და ასე გრძელდება მერამდენე წელიწადია. „ტურ დე ფრანსი“ ჩაიშლება თუ ბენ ჯონსონს ჩამოართმევენ ოლიმპიურ ოქროს, ან ჩინელ მოცურავეებს აუკრძალავენ ცურვას, პრობლემა არ ქრება. ნბა-ში დოპინგზე ლიბერალური სასჯელია, ნჰლ-ში არც გამიგია ვინმე დაესაჯოთ. ისევ არსებობს უვნებელ სტიმულატორთა მეთოდიკაც. ადრე ლიბერალური სასჯელი იყო ფეხბურთშიც.

წამლების რეგულარული მიღება ანგრევს სპორტსმენის ორგანიზმს. მაღაროებში მუშაობაც ანგრევს მუშის ორგანიზმს. მუშა მუშაობს და სპორტსმენი თამაშობს. პროფესიონალი კარიერის შემდეგ იმკის დოპინგის შედეგებს. სად გაექცევი ამ ამბავს? აკრძალული წამლების სია იზრდება, იმიტომ რომ ჩნდება ახალი პრეპარატები.

დღევანდელი სპორტსმენი ძალიან ბევრ ფულს იღებს იმისთვის, რომ სპორტის სამოყვარულო, გამაჯანსაღებელ სულზე იფიქროს. გაქრება თუ არა ედგარ დავიდსი წელიწადნახევრით, არაფერს შეცვლის. დარჩებიან სხვები, რომლებსაც ან გამოიჭერ, ან — არა.

ამიტომ, ედგარ დავიდსი ცოდოა.

ამით არაფერი შეიცვლება. საპოლიციო მეთოდი უძლურია დღევანდელი სპორტის მოთხოვნებთან. გამოსავალი კი არ ჩანს. ეს პრობლემა ნარკოტიკების ლეგალიზაციის ამბავს ჰგავს. რა თქმა უნდა, ოლიმპიური კომიტეტი არ გადაუხვევს სპორტული სიწმინდის პრინციპს, შეჯიბრის პატიოსნების პრინციპს. თუმცა, ამ პრინციპს კარგა ხანია გადაუხვია, როცა პროფესიონალები დაუშვა ოლიმპიურ თამაშებზე და მაგალითად, ოლიმპიურ კალათბურთს აზრი დაუკარგა. ეგებ ჯობდეს ამ საქმეში სულ ოდნავი ლიბერალიზმი.

ეგებ — თორემ ისედაც ყველამ იცის, უწამლო სპორტი დღეს მხოლოდ ეზოში ბიჭების თამაშია.

# სინიშა და რამე...

## მარადონას და გესქოინის სულიერი ძმა

*ოთხშაბათს რუსებთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში კაპიტნის სამკლავური ეკეთა. „დიდთაგან“ მხოლოდ ისღა შემორჩენოდა იუგოსლაველთა ეროვნულ გუნდს. მიატოვიჩი მწვრთნელს ეჩხუბა და ნაკრებში საერთოდ აღარ ვითამაშებო — დაიბარა. მილოშევიჩი მიატოვიჩს მიემხრო და...*

*არადა, ყველაზე ფიცხ და ყოჩ ბიჭად სერბ-ჩერნოგორიელთა გაერთიანებულ გუნდში იტალიური „ლაციოს“ ნახევარმცველი, 32 წლის სინიშა მიხაილოვიჩი ითვლება...*

*სინიშა არეული ბედის კაცია. მამა სერბი ჰყავს, დედა — ხორვატი. იმ ქალაქში დაიბადა და გაიზარდა, სადაც 90-იანების დასაწყისში ხორვატებსა და სერბებს შორის დაუნდობელი ომი გაჩაღდა. ამ ქალაქს ვუკოვარი ჰქვია და ხორვატიას ეკუთვნის...*

*თამაშობდა ნოვი სადის „ვოივოდინაში“, ბელგრადის „ცრვენა ზვეზდაში“, იტალიურ „რომაში“ და „სამპდორიაში“, ახლა კი რომის „ლაციოს“ ფეხბურთელია. ჯარიმების შესრულებაში ხომ მხოლოდ რობერტო კარლოსი შეიძლება გაეჯიბროს...*

*ნერვიული იქნება, აბა, რა. წარმოიდგინეთ, 1991 წელს „ცრვენა ზვეზდასთან“ ერთად ჩემპიონთა და საკონტინენტთაშორისო თასები მოიგო, ლამის ეროვნულ გმირად აღიარეს და... ერთხელაც მშობლიურ ვუკოვარში ჩასულს ქუჩის კედლებზე გაკრული თავისი პლაკატები დაცხრილული დახვდა...*

*საოცარი და საინტერესო კაცია. ევრო 2000-ის დროს პოლ გესქოინმა თქვა: სინიშას ყველაზე კარგად მე და მარადონა თუ გავუგებთო...*

*დღეს გთავაზობთ ნაწყვეტს ბელგრადულ ჟურნალ „ტეშკოში“ დაბეჭდილი წერილისა, რომელიც სინიშას შესახებ ზოგიერთ უცნობ ამბავს გვიყვება.*



**იუგოსლავიის** საფეხბურთო საზოგადოებისთვის ჩვენი ეროვნული გუნდისა და სინიშა მიხაილოვიჩის ევრო 2000-ზე გამოსვლა ნამდვილად გამაწბილებელი იყო. იმავე გაზაფხულზე „სკუდეტოს“ მომგები კაცი შინ მხოლოდ სლოვენიასთან მიღებული წითელი ბარათის ამარა დაბრუნდა. რატომ მოხდა ასე?

ჩემპიონატზე გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე სკანდალი მოხდა, რომელიც სინიშას მომავალი მოქცევის წინაპირობად იქცა. ლაპარაკია შემთხვევაზე, როცა მიხაილოვიჩმა სპორტის ყოფილი მინისტრის, ველიზარ ჯერიჩის თანდასწრებით სერბთა სოციალისტურ პარტიაში (სლობოდან მილოშევიჩის პარტია) შესვლის განცხადებას მოაწერა ხელი. ამაზე მედიამ ერთი ამბავი ატეხა და პოლიტიკურ სენსაციად მონათლა, თუმცა სინიშამ ყველაფერი უარყო და თქვა — არცერთ პარტიაში არასდროს შესვლის სურვილი არ მქონიაო.

იტალიაში დაბრუნებული მძლავრი ზეწოლის ქვეშ მოექცა. ის ყველას უხსნიდა, რომ იმ დღეს, როგორც გამორჩენილ სპორტსმენს, დიპლომატიურ პასპორტს აძლევდნენ და კიდევ რაღაც ფურცელზე მოაწერინეს ხელი, რომლისთვისაც არც შეუხედავს. მერე ვიღაცამ დაუჯერა, ვიღაცამ არა. ჯერიჩი ჩრდილში შეიყუჟა, დარტყმა კი მინისტრს მინდობილმა ფეხბურთელმა გადაიტანა.

ასე რომ, ევროპის ჩემპიონატის წინ მიხაილოვიჩი საშინელ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იყო. სახელმწიფო მოხელეებისგან მოტყუებულ კაცს, აბა, რაღა ეფეხბურთებოდა. შედეგად სლოვენიასთან პირველივე მატჩში, ჯერ თავის კარში გაატანინა გოლი, შემდეგ მინდვრიდანაც გააძევეს. მერე ზოგი იმასაც ამბობდა, „ლაციოში“ გვერდით ნეგრო, ნესტა და პანკარო ჰყავს, ნაკრებში კი კლასით უფრო დაბალი მოთამაშეები და იმიტომაც ვერაფერს ხდებაო.

დავუბრუნდეთ სლოვენიასთან მატჩს. უეჭველია, რომ შეცდომა, რომელსაც იუგოსლავიელთა კარში გოლი მოჰყვა, მისი გაძევების საფუძველი გახდა. გაცოფებულს დაგროვილი ბოღმის გადმონთხევა სურდა და მიზეზს ეძებდა. მერე, როცა ერთმა მეტოქემ შეუტია, ველარ მოითმინა და აფეთქდა. იცით როგორი ხასიათი აქვს? იმ მომენტში წინ ტაისონიც რომ ჰყოლოდა, უკან მაინც არ დაიხევდა.

როცა იუგოსლავიაში თამაშობდა, მშობლიურ მაყურებელს თავისი ბავშვური ღიმილით ხიბლავდა. იტალიაში კი ნაღდ საფეხბურთო რემბოდ გადაიქცა, რომელიც მოწინაალმდეგეს არ ინდობს და თავს არავის დააჩაგვრინებს. ამაში მალე დარწმუნდა „სამპდორიას“ მთავარი ავტორიტეტი რობერტო მანჩინი. ამ კაცს ვერასდროს ვერავინ ეკამათებოდა, მის გაბრაზებას ყველა ერიდებოდა. ერთხელ „რომადან“ ახალგადასულ სინიშასაც ვარჯიშზე დააცხრა, მაგრამ მიხაილოვიჩმა იქით შეუტია და ისეთი მუშტი-კრივი გააჩაღეს, ძლივს გააშველეს...

ყველას ეგონა, რომ ეს „სამპდორიაში“ მიხაილოვიჩის კარიერის დასასრული იყო, მაგრამ მრავალთვიანი შუღლი იმით დამთავრდა, რომ ერთხელაც მანჩინი სინიშასთან მივიდა და ჰკითხა: „სამპდორიაში“ რჩები თუ „რომაში“ ბრუნდებიო. ეს იყო და ერთმანეთს ჩაეხუტნენ. დღესაც მიხაილოვიჩი შვებულებას ხშირად მის იახტაზე ატარებს, რესტორანშიც ერთად დადიან და „ლაციოშიც“ მანჩინის რეკომენდაციით მოხვდა...

ერთხელ, საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის დროს ჰოლანდიელმა დენის ბერხკამპმა წაქცეულ მიხაილოვიჩს ფეხი ჩაარტყა. მაშინ მხოლოდ შემთხვევით არ ატყდა ბათქა-ბუთქი. თამაშის მერე სინიშა ყველაზე ადრე გამოვიდა გასახდელიდან და ჰოლანდიელთა ოთახს მიაშურა — ბერხკამპს საქმის გასარჩევად ელოდებოდა, მაგრამ ამაოდ. ჰოლანდიელს შეუტყვია, რომ შეიძლება მდგომარეობა გართულებულიყო და სათადარიგო კარიდან გაპარულა...

მაშინ სინიშა სამპდორიელ თანაგუნდელ კლარენს ზეედორფთან მისულა და უთქვამს: ფეხბურთს კიდევ სამიოთხი წელი ვითამაშებ და სადღაც მაინც შევხვდები. შევხვდები და მიფრთხილდესო, მაგრამ დრომ თავისი გააკეთა, ვნებები ჩაცხრა და ანგარიშსწორებამდე საქმე აღარ მისულა.

ანდა ის ეპიზოდი გავიხსენოთ, როცა წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის მატჩში „შახტარის“ მცველმა მიხაილოვიჩს ყვირმალი გაუტეხა და ნაოპერაციევი საგანგებო ნიღბით თამაშობდა. იტალიელი ჟურნალისტები გადაირივნენ, ასეთი რამ მოხდა და მსაჯმა თამაშიც არ გააჩერაო, მაგრამ სინიშამ აუხსნა: ყველაფერი ბრძოლის დროს მოხდა და დონეცკელი უბრალო იყოო...

მერე მილიონობით ტელემაყურებელი გაოგნდა, როცა ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთი მატჩის დროს „ლაციოს“ ორი მოთამაშე — მეკარე ლუკა მარკეჯანი და სინიშა კინაღამ მუშტებით დაერივნენ ერთმანეთს: გოლი გაგვიტანეს და მარკეჯანი მთელი სტადიონის დასანახად მომვარდა, შენი ბრალი იყოო. ასეც რომ ყოფილიყო, ამის უფლება მაინც არ ჰქონდა. შესვენებაზე, გასახდელში წყნარად ვილაპარაკეთ და მან აღიარა, მართალი არ ვიყავიო — ყვება მიხაილოვიჩი.

მსგავსი შეხლა მოუხდა „ლაციოს“ კაპიტან ნესტასთანაც. ნესტა ხელების ქნევით მიუთითებდა შეცდომაზე და მიუხედავად იმისა, რომ სიმართლეს ეუბნებოდა, ერთობ მკვახე პასუხიც მიიღო.

„შეცდომისას პარტნიორისთვის არასოდეს მიმითითებია — ამბობს მიხაილოვიჩი — როცა ვიღაცის გამო გოლს გვიტანენ, მივრბივარ და მის გამხნევებას ვცდილობ. ჩვენ ხომ დიდ კლუბში ვთამაშობთ და აქ იმიტომ მოგვიყვანეს, რომ ერთად ვიყოთ. ყველას თავისი ღირსება აქვს და ერთმანეთს პატივი უნდა ვცეთ.“

ვერ შეეკამათები. თითქოს ყველაფერს ლოგიკურად ლაპარაკობს. თუმცა, პრობლემა, ეტყობა, მის ხასიათშია. ის ყოველთვის დელიკატურად ვერ იქცევა.

აი, ერთი მაგალითიც. ერთხელ სინიშას „ულსპორტის“ ახალი ბურთი არ მოეწონა და „ინტერთან“ მატჩში სადღაც ზემოთ, ტრიბუნებში დაარტყა. მეორე დღეს „ლაციოს“ პრეზიდენტმა სერჯო კრანიოტიმ მომხდარისთვის პასუხი მოსთხოვა. სინიშამ კი მიუგო: „პრეზიდენტო, ეს ბურთები არაფრად ვარგა. ასე ფიქრობს ყველა მოთამაშე, მაგრამ თქმას ვერავინ გიბედავთ. კარგი იქნებოდა „ადიდასის“ „ტერესტრას“ ბურთებით გვეთამაშა, ევრო 2000-თვის რომ დაამზადეს.“

სულ მალე კრანიოტიმ გვარიანი თანხა გადაიხადა და „ულსპორტთან“ კონტრაქტი გაწყვიტა. „ლაციომ“ კი „ტერესტრას“ ბურთებით დაიწყო თამაში...

მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი

არგენტინა 17 ივნისი — 8 ივლისი

A ჯგუფი (ბუენოს აირესი)
არგენტინა, ფინეთი, ეგვიპტე, იამაიკა

B ჯგუფი (კორდობა)
ბრაზილია, გერმანია, ერაყი, კანადა

C ჯგუფი (მენდოსა)
ჩილე, ჩინეთი, უკრაინა, აშშ

D ჯგუფი (როსარიო)
ანგოლა, ჩეხეთი, იაპონია, ავსტრალია

E ჯგუფი (სალტა)
ეკვადორი, ჰოლანდია, კოსტა რიკა, ეთიოპია

F ჯგუფი (მარ დელ პლატა)
პარაგვაი, განა, ირანი, საფრანგეთი

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მტაპი

აზია

VIII ჯგუფი. III ტური

საამიროები 1:0 ინდოეთი

1:0 ხატერი (63)
გაძევება: ბჰუტია (55, ინდოეთი)
21 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საამიროები | 3 | 2 | 0 | 1 | 13:1 | 6 |
| იემენი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:1 | 4 |
| ინდოეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ბრუნეი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:17 | 0 |

ევროპის 16-წლამდელთა ჩემპიონატი

ინგლისი 2001

UEFA UNDER-16 Championship

A ჯგუფი. III ტური

ბელგია — რუმინეთი 2:0; ესპანეთი — გერმანია 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:2 | 6 |
| გერმანია | 3 | 2 | 0 | 1 | 11:4 | 6 |
| ბელგია | 3 | 2 | 0 | 1 | 4:6 | 6 |
| რუმინეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:13 | 0 |

*ესპანეთი და გერმანია გავიდნენ მეოთხედფინალში*

C ჯგუფი. III ტური

უნგრეთი — ინგლისი 0:1; იტალია — შვეიცარია 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| იტალია | 3 | 1 | 1 | 1 | 7:6 | 4 |
| შვეიცარია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| უნგრეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | 3 |

*ინგლისი და იტალია გავიდნენ მეოთხედფინალში*

მხოლოდ „მატჩის“ ჯიხურებში!



ვაჟა ჩხაიძე

მრეტები

Mrettebi Tbilisi Football Club

Fax +1 530 7342520

mrettebi@yahoo.com

www.geocities.com/mrettebi



სტივენ პრაისი



# შარმ ახლა გარშემო!

**ამხელა** კაცი ხარ, მეხუთე ათწლეულში შეაბიჯე და ჭკუა მაინც არ მოგემატა. რომ ისკუპე, სად ისკუპე? რას ერჩოდი იმ საწყალ განელს? ახია შენზე...

წინა შაბათს 41 წლის სტივენ პრაისი, ორი შვილის მამა, საყვარელ „ევერტონის" საგულშემატკივროდ ლონდონში ჩავიდა.

აქამდე ცუდ რამეში შემჩნეული არ იყო. ეგ კი არა, „გუდისონ პარკის" სეზონური აბონემენტის მფლობელიც გახლდათ, მაგრამ „ჰაიბერიზე" ტვინი გადაუბრუნდა და შუა თამაშისას მოედანზე გადაეშვა.

„ევერტონის" განელ ალექს ნიარკოს მიეჭრა და მაისურგახდილი რაღაცას უყვიროდა. იქვე განელმა შეცვლა ითხოვა. „უბრალოდ ვუთხარი, მაისურები გავცვალოთ, შენს ფორმას მე უფრო ღირსეულად ვატარებ-მეთქი" — განაცხადა პრაისმა სასამართლოზე.

აქ ერთი ამბავი უნდა მოვიგონოთ: ამას წინათ ნიარკომ „ევერტონიდან" წასვლის სურვილი გამოთქვა.

ასეა თუ ისე, მოედანზე გასეირნება გიჟმაჟ ფანს ძვირი დაუჯდა: 170 გირვანქა ჯარიმა, 30 გირვანქა სასამართლოს ხარჯები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია — მისტერ პრაისი 3 წლის განმავლობაში ბრიტანეთის არცერთ სტადიონზე არ შეიშვება!

# ჩვენი რივალდო თქვენ, თქვენი შევჩენკო ჩვენ





ანდრეი შევჩენკომ და რივალდომ შესაძლოა მაისურები გაცვალონ

**რივალდო** „მანჩესტერში", რივალდო „მილანში", „ბარსაშიც" რივალდო, ყველგან რივალდო. არ იქნა და არ ჩაწყნარდა ბრაზილიელის გარშემო ატეხილი ჭორ-მართალი. კატალონიელთა მეათე ნომერი მართლაც დიდი კაცია, იგი 1999 წლის მსოფლიოს საუკეთესო მობურთალიც გახლავთ და დღესაც ერთ-ერთი გამორჩეულია ბურთის ჯადოქრებს შორის. მაგრამ ის, რაც მის შესაძლო ტრანსფერებზე ითქვა და დაიწერა, მის სიდიდესაც კი ბევრად აღემატება. გეხსომებათ, რივალდოსა და „იუნაიტედის", რაღა თქმა უნდა, მანჩესტერის, ურთიერთობა, ხუან გასპარის საიდუმლო კავშირებიც ინგლისელებთან. ყველაფერი ეს ჭორი გამოდგა, ჭორი, რომელიც „წითელი ეშმაკების" უცილო საკბილოდ გვისახავდა. „ბარსას" ქომაგთა გასახარად, რივალდომ და კლუბის ხელმძღვანელობამ ყველას თავისი ადგილი მიუჩინეს. რივალდო „ბარსაში" დარჩა. ითქვა, ბრაზილიელი არსადაც არ წავაო. მაგრამ რა ვუყოთ ბობოლა „მილანს" და კვაჭ პრეზიდენტ სილვიო ბერლუსკონის?

ამ კაცს რივალდოს შესყიდვაზე ფიქრი, მიუხედავად კატალონიელთა ცივი უარისა, ჯერ კიდევ არ ასვენებს. პრესაში გაჩნდა ცნობები ორმოცდათექვსმეტ მილიონ დოლარზე, რომლითაც თითქოს იტალიელები „ბარსას" მოხიბვლას ცდილობენ. მაგრამ თავად ბერლუსკონი და მისი ამალა ამ თემაზე არაფერს ამბობენ.

მავანთა ფანტაზია კი რივალდო-შევჩენკოს გაცვლა-გამოცვლის შესაძლებლობას რეალურ ფერებში გვიხატავს. არგუმენტი ასეთია: „მილანს" რივალდო გულით უნდა, კატალონიელები მას მანამ არ გაუშვებენ, სანამ ღირსეულ შემცვლელს არ მოუძებნიან. იტალიელებს ჰყავთ ამგვარი ფეხბურთელი — შევჩენკო.

რკინის ლოგიკაა. ჩვენებურად, წყალი რომ არ გაუვა, ისეთი. მაგრამ რა იცი, რა ხდება. არ ვიცით, დავიჯეროთ თუ არა იმ ხმების, რომლებიც „ბარსას" ლურჯ-წითელი მაისურით მოსავს „ინტერის" ხავიერ ძანეტის, არსენელელ პატრიკ ვიეირას. მოკლედ, დიდი გაუგებრობაა. ჟურნალისტები კი ჯიუტად ირწმუნებიან, დიდი ამბავი იქნება სატრანსფერო ბაზარზე, პერსონაჟები „ბარსა" — „მილანი" — „მანჩესტერ იუნაიტედიდან" შესაძლოა მალიმალ შეიცვალოს, ოღონდ რივალდო-შევჩენკოს წყვილი დარჩება უცვლელიო.

**გიორგი გაგარდაშვილი**

# სუპერარწივებმა ბაზიერი შეცვალეს

**მსოფლიოს** ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ნიგერიის ნაკრების წარუმატებლობა ჰოლანდიელ მწვრთნელ ჯო ბონფრერეს დაბრალდა, რის გამოც იგი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ხუთგუნდიან ჯგუფში მესამე ადგილი და ხუთ თამაშში მოპოვებული 7 ქულა, რაც ფინალურ ეტაპზე მოხვედრას ნაკლებსავარაუდოს ხდის, ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციამ არადამაკმაყოფილებელ შედეგად მიიჩნია.

ორწლიანი კონტრაქტის პირობით, ბონფრერეს ნაკრებში დეკემბრამდე უნდა ემუშავა, თუმცა ფედერაციის საგანგებო სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, იგი ნაადრევად მოხსნეს.

წინა შაბათს „სუპერარწივებმა" სტუმრად სიერა ლეონესთან 0:1 წააგეს, რითაც აუტსაიდერებმა შესარჩევ ეტაპზე პირველი სამი ქულა მოიპოვეს, შედეგმა კი ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციას რადიკალური ნაბიჯის გადადგმისკენ უბიძგა.

ახალი ხელმძღვანელი ნაკრებს მალევე დაუნიშნეს — შაიბუ ამუდუ, თუმცა, როგორც ვარაუდობენ, იგი ნიგერიელებს დროებით გაწვრთნის და მალევე შეცვლიან. მანამდე კი ამუდუს გუნდის ტექნიკური პერსონალის მოხელე ჯო ერიკო დაეხმარება.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ჯო ბონფრერეს ყველაზე დიდი წარმატება ატლანტის 1996 წლის ოლიმპიურ თამაშებს უკავშირდება. როცა ჰოლანდიელმა ნიგერიის ოლიმპიურ ნაკრებს ოქროს მედლები მოაგებინა, მაშინ იგი ნიგერიელებმა გმირად შერაცხეს.

**ნიკა შუბლაძე**

### ფეხბურთის რუკასთან



**ესპანურმა** „სარაგოსამ" თითქმის მიაღწია შეთანხმებას არგენტინულ „სან ლორენსოსთან" და მცველ ედუარდო ტუსოს სეზონის ბოლოს, ალბათ, თავისთან გადაიბირებს. ესპანურ კლუბში კარიერა შესაძლოა „ინდეპენდიენტეს" ვარსკვლავმა გაბრიელ მილიტომაც გააგრძელოს, თუმცა „სარაგოსა" ჯერჯერობით მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ „სან ლორენსოსთან" აწარმოებს მოლაპარაკებებს. ტუსო „სან ლორენსოს" ერთ-ერთი ლიდერია. იგი გუნდის კაპიტანიცაა.

**იტალიური** „იუვენტუსი" მადრიდის „რეალის" ფრანგ ნახევარმცველ კლოდ მაკელელეს აკვირდება. ეს ფეხბურთელი „სამეფო კლუბში" ერთი სეზონია თამაშობს. მადრიდში იგი ვიგოს „სელტადან" გადავიდა, მანამდე კი „ბარსელონას", „ბრესტისა" და „ნანტის" ღირსებას იცავდა. ტურინულმა კლუბმა 28 წლის ფრანგის გადასაბირებლად მის აგენტთან და მადრიდულ კლუბთან მოლაპარაკებები უკვე დაიწყო და არ არის გამორიცხული, სეზონის დასრულების შემდეგ მიზანსაც მიაღწიოს.

**ჰოლანდიური** „ფეიენოორდის" თავდამსხმელი ბონავენტურე კალუ სეზონის ბოლოს როტერდამულ კლუბს ტოვებს, რადგან ხელმძღვანელობისადმი უკმაყოფილებას გამოთქვამს. მისი შეძენის სურვილი უკვე გამოთქვეს ესპანეთის ჩემპიონმა „დეპორტივომ" და ლონდონის „ჩელსიმ". კალუს „ფეიენოორდთან" კონტრაქტი 2003 წლამდე აკავშირებს, თუმცა იგი ამ შეთანხმების შეწყვეტას აპირებს.

**შოტლანდიურმა** „გლაზგო რეინჯერსმა" და ინგლისურმა „სანდერლენდმა" „ბასტიას" თავდამსხმელ პიერ ანდრეს დაადგეს თვალი, თუმცა მათ კონკურენტებიც ჰყავთ — „მონაკო" და „ნანტი". „სეზონის ბოლოსთვის გადაწყვეტილებას მივიღებ. ალბათ, „ბასტიაში" აღარ დავრჩები. უკვე ძალიან ბევრი შეთავაზება მივიღე" — განაცხადა ანდრემ, რომელმაც ამ სეზონში საფრანგეთის ჩემპიონატში 8 გოლის გატანა მოახერხა.

**იტალიელი** თავდამსხმელი ვინჩენცო მონტელა „მილანის" ყურადღების არეში მოექცა. მილანელები ყაბულს იყვნენ, „რომაში" მეკარე კრისტიან აბიატი გაეშვათ, თუმცა გუშინ გაირკვა, რომ „მილანმა" აბიატის გაყიდვა გადაიფიქრა. მონტელა „რომაში" „სამპდორიადან" გადავიდა, იგი ძირითად შემადგენლობაში ხშირად ვერ ხვდება და კლუბის გამოცვლას აპირებს.

**ინგლისელი** თავდამსხმელის კევინ ფილიპსის „სანდერლენდიდან" გადაბირებას ერთბაშად რამდენიმე კლუბი ცდილობს. ყველაზე ხშირად მსურველთა შორის „არსენალს" და „ტოტენჰემს" ასახელებენ. თავად „სანდერლენდის" ხელმძღვალობა კი ჯერჯერობით ირწმუნება, რომ ფილიპსს არ გაყიდის, მეტიც, კლუბის მწვრთნელ პიტერ რიდს რამდენიმე ახალი მოთამაშის შეძენა სურს. ცნობისთვის, ფილიპსი „სანდერლენდში" 1997 წელს „უოტფორდიდან" ჩაირიცხა და მის სანაცვლოდ 325 ათასი გირვანქა გაიღეს.

**ესპანური** „რაიო ვალეკანოს" ნახევარმცველი მიჩელი ტრავმის გამო თვეზე მეტ ხანს ვერ შეძლებს თამაშს. ექიმების განცხადებით, ფეხბურთელს კუნთი აქვს დაზიანებული. შიშობენ, რომ შესაძლოა ტრავმა კვლავ გაუმიზეზდეს და მიჩელმა ამ სეზონში საერთოდ ვერ მოახერხოს მინდორზე გასვლა. იმავე „რაიო ვალეკანოსთან" წინა ტურის მატჩში კი ბილბაოს „ატლეტიკის" მცველი რობერტო რიოსი დაშავდა, რის გამოც ისიც დაახლოებით ერთ თვეს გააცდენს.

# ვან ნისტელროი გრძელია

**რუუდ ვან ნისტელროის**, ინგლისური ფეხბურთის სატრანსფერო ბაზრის რეკორდსმენს, როგორც ფეხბურთელს ჯერ ალბიონზე ფეხიც კი არ დაუდგამს და უკვე პრობლემები შეექმნა. ჰოლანდიელი მარტო გირვანქა-სტერლინგებით როდი აღემატება პრემიერლაში მობურთალ ჯეელებს, იგი გვარის სიდიდითაც, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, სიგრძითაც ტოლს არავის უდებს. თუმცა გვარის ანბანური ნიშნების სიმრავლე რა ბედენაა, ჰკითხეთ. მართალიცაა, მაგრამ, აბა, მანჩესტერელ ბავშვებს დაეკითხეთ. კლუბის საფირმო მაღაზიაში მანჩესტერელთა „ბრილიანტის" წითელი მაისურა მხოლოდ ზრდასრულთათვის მისაღები ზომისა იყიდება. გული სწყდებათ ბავშვებს, რომლებისთვისაც შესაფერ კვართზე რუდის დიდი გვარი, ვან ნისტელროი ვერაფრით დაეტია.

მანჩესტერელთა საფირმო მაღაზიამ საკუთარ წარმოებაში ხარვეზი უცებ შეამჩნია. გადაწყვეტილებაც ალბათ ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მიიღო. ახალი ცნობებით, ტრაფარეტული პატარა ასოები უკვე შეკვეთილია და იმედია, პატარა ნისტელროისტების, უკაცრავად, ვან ნისტელროისტების ოცნება, მოირგონ ჰოლანდიელი მეგოლის მაისურა, მალე ახდება.

**გიორგი გაგარდაშვილი**



ალექს ფერგიუსონი ვან ნისტელროის: მაგის მეტი არაფერი გედარდოს, რუუდ

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა

საფეხბურთო საზოგადოება — და განა მარტო ჩვენთან, მთელს მსოფლიოში — ფრიად უზრდელი და უტიფარი გახლავთ. თავი დავანებოთ იმას, რაც ყველაზე თვალსაჩინოა: ყვირილს, გინებას, სტვენას, ლუდის სმას, ბოყინს, სხვისი დამარცხებით სიამოვნების მიღებას, ხელების პარჭყვას და ასე შემდეგ. დღეს თქვენი ყურადღება გვინდა დიდად პატივსაცემ პიროვნებათა, ორგანიზატორთა, ქალაქთა, ქვეყანათა და სხვათა აუგად მოხსენიებაზე გავამახვილოთ. დიახ, სწორედ საფეხბურთო სამყარო გამოირჩევა აბუჩად აგდებისა და დაკნინების, ჩვენ ვიტყოდით ცინიზმის განსაკუთრებული ცოდნით.

მაგალითისთვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. ის ყოველ ფეხის ნაბიჯზეა. დავიწყოთ, ვთქვათ, „ბარსელონათი“. ძალიან საინტერესოა, რა არის „ბარსელონა“ თუ არა ცინიზმი? როგორ შეიძლება, ასეთ პატივცემულ კლუბს, ევროპულ სარბიელზე სამივე უდიდესი ჯილდოს მფლობელს „ბარსელონა“ ვუწოდოთ?

რა უნდა იყოს?

„ბარსელონი“!

„ბარსელონა“ ხომ იგივეა, რაც ტრისტანა, გურამა, თენგიზა, ხოლო „ბარსელონი“ — ტრისტანი, გურამი, თენგიზი. და ეს იმდენად ცხადი რამ გახლავთ, რომ დაუშვებელია უნებლიე შეცდომა იყოს. ეს განზრახ დამახინჯებაა. აბა, რატომ არავინ ამბობს „რეალა“? სამეფო გუნდია, დედაქალაქის და იმიტომ, ხომ?

სხვა მაგალითი მოვიტანოთ. ვთქვათ, „რომა“. ეს აშკარად „იუვენტუსის“ შხამიან ქომაგთა მოგონილია (როგორც იტალიაში, ასევე საქართველოში). განა მათ არ იციან, რომ ქალაქს ჰქვია რომი? მაშ, რატომ „რომა“? თუ „რომა“, მაშინ „იუვენტუსა“ — ბებერი და თან ქალბატონი. თან, დახეთ, როგორაა: მილიონერები და ელიტარულები არიან „იუვენტუსი“, „მილანი“, „ინტერი“, სხვები კი „რომა“, „ფიორენტინა“ და „პერუჯა“.

არა, ბატონებო, ეს უტიფრობა და დისკრიმინაციაა. უნდა იყოს „რომი“, „ფიორენტინი“, და „პერუჯი“.

ნუ, მარადონა ხომ საერთოდ ბოროტებაა. მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ამ უდიდეს, ჯანდაბას, ერთ-ერთ უდიდეს მოთამაშეს ასე ვინც შეარქვა გასაგებია, მაგრამ ჯობს თავს მიხედონ. მათი კერპი არ იყო, მოსკოვში ინტერვიუს რომ იძლეოდა, უნგრეთში ჩამოსვლა რა ხანია მინდოდაო? მათ კერპი არ არის, ავტობიოგრაფიულ წიგნში სამივე ცოლის მოყვანის ისტორიად ერთსა და იმავეს რომ ყვება: ვიჯექი „სანტოსისა“ და ვილაცის კალათბურთის თამაშზე, ტრიბუნაზე და გვერდით ლამაზი ქალი მომიჯდა... რა ხდება, ერთი იმ ტრიბუნაზე ჩვენც აგვიყვანოს.

მარადონა... თუ მარადონა, მაშინ პელუა.

არა, ბატონებო, არა. მხოლოდ და მხოლოდ მარადონი.

„ოსასუნა...“ როგორ უნდა გძულდეს გუნდი, რომ ასე შეარქვა. მეორეც, თუ „ოსასუნაა“ რაღას უგებ, რა გულით უგებ, მიდი, რა მოეფერე.

ძალიან ცინიკოსი, ჩვენ ვიტყოდით უხამსი ხალხია არგენტინაშიც. გუნდი ჰყავთ, „ხიმნასია დე ხუხუი“ ჰქვია. საზღვარი აღარ არსებობს?

სირცხვილია, ბატონებო. ჩვენ უნდა ვამბობდეთ „გიმნაზია დე გუგუი“ ისევე, როგორც ედ დე გუი.

აი, ინგლისში ღირსეული ხალხი ცხოვრობს, ნახეთ: „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ლიდს იუნაიტედი“, „არსენალი“, „საუთჰემპტონი“, ბექემი და ადამსი (ვიქტორია არა, ტონი), ფერგიუსონი და რობსონი, უოდლი და ჰოდლი, ონილი და ოლირი, იორკი და კოული...

მივბაძოთ, მივბაძოთ მხოლოდ ინგლისელებს და უარი ვთქვათ ცინიზმზე. არ გინდა „ვალენსია“, „ბორუსია“, „კომპოსტელა“ და ჩირიაკო სფორცა, წინ ზრდილობისკენ!

**ბაჩუნა ძიდია**

**რა მაგის პასუხია და, ავტორს აინტერესებს, როდემდე უნდა ითმინოს საქართველოს ხელისუფლებამ ეს მოსახლეობა?**



მარადონა?





იყიდება: ფრანკ ლებეფი ლონდონურ ადგილ-მამულს შეელია

# განცხადება

**„ქალაქის** პრესტიჟულ რაიონში სასწრაფოდ იყიდება სამსართულიანი და ოცოთახიანი სახლი ეზოთი, საკუთარი სავარჯიშო დარბაზით, საცურაო აუზით, საუნით, ჯაკუზით, ავტოფარეხით და რამე. ფასი სულ რაღაც 7 მილიონ 950 ათასი ლარი“.

ქართული კორუფციის დამსახურებულ ოსტატებს შეუძლიათ არ გამოგვეხმაურონ: ერთი რომ სახლი ლონდონში მდებარეობს და მთავარი: მას ასე უჩუმრად და სიმამრის სახელზე ვერ შეიძენთ, ვინაიდან სახლის პატრონი ცნობილი პიროვნებაა და გარიგების ამბავი ნაღდად გახმაურდება.

მოკლედ, მსოფლიოს ჩემპიონი ფრანკ ლებეფი თავის ლონდონურ სახლს ყიდის 2,65 მილიონ გირვანქად, რას ნიშნავს ეს? ალბათ იმას, რომ მელოტი მცველი „ჩელსის“ ტოვებს. შეგახსენებთ, რომ წლის დასაწყისში ლებეფს „მონაკოში“ გადასვლა ჩაუფლავდა, რადგანაც იქაურთა პრეზიდენტი ჟან-ლუი კამპორა ერთ-ერთ ინტერვიუში აუგად მოიხსენია. მას მერე სამი თვე გავიდა და როგორც ვარაუდობენ, ამ ორი ფრანგის „ცივი ომი“ დასასრულს მიუახლოვდა. „მონაკო“ თანახმაა, ლონდონურ კლუბს 2 მილიონი გირვანქა გადაუხადოს. წინააღმდეგი არც „ჩელსია“, უფრო სწორად, მისი მთავარი მწვრთნელი იტალიელი კლაუდიო რანიერი, რომლის მომავალ გეგმებშიც ფრანკის სახელი არ ფიგურირებს.

ლებეფის 32 წლის მეუღლე ბეატრისი ამბობს, რა იცით, ეგებ ლონდონშივე ახალი სახლის ყიდვა გვინდა და ძველს იმიტომ ველევითო. მართლაც რა ვიცით — ეგებ, ვეღარ ეტევა ოჯახი ოც ოთახში.

ვითომ?

# ალ + 131 პაჩინო



**სამხრეთ უელსის** ერთი პატარა ქალაქის ერთ ჩვეულებრივ ოჯახში ამას წინათ ბიჭი შეეძინათ. რა დავარქვათო — იკითხა დედამ, თუმცა პატარას სახელი უკვე მოფიქრებული ჰქონდა. ოჯახის უფროსის გვარს რომ გაიგებთ, თქვენც უმალ დაეთანხმებით ამ ქალბატონს, მაგრამ...

მაგრამ 39 წლის ენდი პაჩინო „მანჩესტერ იუნაიტედის“ გულშემატკივარია, თანაც ბავშვობიდან. მოკლედ, ამ გუნდის გიჟია.

გიჟი კი თავისუფალია. მით უმეტეს, თავისუფალ ქვეყანაში. ჰოდა, ადგა ეს ჩვენი ენდი და ახალშეძენილს მოსალოდნელი ორასოიანი სახელის ნაცვლად 133 ასოიანი დაარქვა. არ დავიზაროთ და უმცროსი პაჩინოს დაბადების მოწმობაში ჩავიხედოთ. აბა, მოემზადეთ... წავედით:

ალექსფერგიუსონერიკკანტონარობსონგიგზკინბექემშერინგემსოლსკიაერკოულიორკსქოულზნევილბათსტამირვინმეიბერგიონსენბლომკვისტშმეიხელ პაჩინო. შენ, დაუკარ!

„საფუძვლად 1999 წლის ყველაფრის მომგები შემადგენლობა ავიღე. ერთი ეგაა, წინა წლებიდან ბრაიან რობსონი და ჩემი კერპი ერიკ კანტონა დავუმატე, ორი ნევილის ნაცვლად კი ერთი ჩავწერე. ნევილ—ნევილი რაღაც უშნოდ ჟღერდა“ — განუცხადა გახარებულმა მამამ ჟურნალისტებს.

ისე, 25 წლის ლორანს, ანუ ენდის მეუღლეს, ანუ ამერიკელი კინოვარსკვლავის თაყვანისმცემელს, მაინც გაუმართლა და ეს ფერგიუსონის დამსახურებაა: საზოგადოდ და შინაურებში პატარას სწორედ ალ პაჩინო ერქმევა.


# სარბიელი
## სამუშაოდ იწვევს

ჟურნალისტებს, გამოცდილთაც და ახალბედებსაც, გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებლებს და მბეჭდავ-ოპერატორებს.

**მიღება მოხდება შერჩევით**

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

**ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში**

**ფეხბურთი, NHL, NBA**

☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1 თ / 50 თეთრი)




# ფრენა, არფრენა
## საკითხავი
## კანუს ესა აქვს

**თუ** ასე გაგრძელდა, მალე „არსენალს“ ევროტურნირებში მონაწილეობის მისაღებად ახალი გუნდის შექმნა მოუწევს. ერთი დენის ბერხკამპი არ ეყოფოდა არსენ ვენგერს და აგერ, ამ დღეებში ნვანკვო კანუ ჩამოუფრინდა აფრიკიდან გულგახეთქილი: თვითმფრინავი კი არა, დღეს დერბიში ავტობუსით წავა თუ არა, ისიც ვერ გადაუწყვეტია.

„ძალიან შემეშინდა. მივხვდი, რომ რაღაც გაფუჭდა, თუმცა ჩვენი სიცოცხლე რომ ბეწვზე ეკიდა, მხოლოდ მოგვიანებით გავიგე“ — გაუმხილა ჟურნალისტებს ნიგერიელმა ფორვარდმა, რომელიც თავისი ქვეყნის ნაკრების ერთგულებამ ლამის მუდმივ მფრინავად გადააქცია. ახლაც ასე იყო: „სუპერარწივები“ სიერა-ლეონეს სტუმრობდნენ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში და დამარცხდნენ. დამწუხრებული ნიგერიელები სხვებთან ერთად ჩაჯდნენ „განა ეირვეიზის“ თვითმფრინავში და კოტ დივუარის გავლით სამშობლოში გაემგზავრნენ. ალბათ, ბევრი იბუზღუნეს ფეხბურთელებმა, ტრანზიტებით რას დაგვათრევთ, ბარემ პირდაპირ ნიგერიაში გადავფრინდეთო, მაგრამ ბედი მათი, რომ სწორედ ტრანზიტული დაფრენა უწევდათ.

სწორედ კოტ დივუარის (ყოფილი სპილოს ძვლის ნაპირი) დედაქალაქ აბიჯანში დაშვების წინ უმტყუნა DC-9 მარკის თვითმფრინავს ჯერ ერთმა, ცოტა ხანში კი მეორე ძრავამაც — როგორც მოგვიანებით გაირკვა, ერთი მთლად გატყდა, მეორე კი უბრალოდ მწყობრიდან გამოვიდა. 120 მგზავრი პანიკამ მოიცვა, მაგრამ გამოცდილი მფრინავების ვაჟკაცობამ და პროფესიონალიზმა თავისი გაიტანა.

ის ღამე მილიონერმა და არცთუ ჯანმრთელი გულის პატრონმა კანუმ აბიჯანის 50 დოლარიან სასტუმროში გაათენა, მერე კი პირდაპირ ლონდონის რეისს მოახტა, „არსენალს“ დაუბრუნდა და ეს ამბავი თანაგუნდელებს მოუყვა.

ვენგერის მცდელობა, ბერხკამპისთვის ფრენის შიში მოეხსნა, თემზის მღვრიე წყალს გაჰყვა.



## იტალია

ჰაპუნა კედია



ფრანჩესკო ტოტი

# რომი ორად გაიყოფა

| XXVIII ტური | |
|---|---|
| **დღეს** | |
| რეჯინა | ნაპოლი |
| ვიჩენცა | პარმა |
| **ხვალ** | |
| ატალანტა | ბოლონია |
| ბრეშა | ინტერი |
| რომა | ლაციო |
| იუვენტუსი | ლეჩე |
| ბარი | პერუჯა |
| ფიორენტინა | უდინეზე |
| მილანი | ვერონა |

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 27 | 19 | 5 | 3 | 53:24 | 62 |
| იუვენტუსი | 27 | 16 | 8 | 3 | 45:21 | 56 |
| ლაციო | 27 | 17 | 4 | 6 | 49:28 | 55 |
| პარმა | 27 | 12 | 8 | 7 | 39:22 | 44 |
| ატალანტა | 27 | 10 | 11 | 6 | 33:23 | 41 |
| მილანი | 27 | 10 | 11 | 6 | 44:38 | 41 |
| ინტერი | 27 | 11 | 8 | 8 | 38:34 | 41 |
| ბოლონია | 27 | 11 | 6 | 10 | 38:37 | 39 |
| ფიორენტინა | 27 | 8 | 12 | 7 | 45:39 | 36 |
| პერუჯა | 27 | 8 | 9 | 10 | 36:40 | 33 |
| უდინეზე | 27 | 10 | 2 | 15 | 40:47 | 32 |
| ლეჩე | 27 | 7 | 9 | 11 | 34:45 | 30 |
| ბრეშა | 27 | 6 | 11 | 10 | 31:37 | 29 |
| ვიჩენცა | 27 | 7 | 7 | 13 | 29:40 | 28 |
| ნაპოლი | 27 | 6 | 10 | 11 | 26:37 | 28 |
| ვერონა | 27 | 6 | 6 | 15 | 29:49 | 24 |
| რეჯინა | 27 | 6 | 5 | 16 | 21:42 | 23 |
| ბარი | 27 | 5 | 4 | 18 | 23:50 | 19 |

**„ჩეზარე მალდინი** ჩუმი, მაგრამ შეუცვლელი კაცია" — წერს „მილანისა" და „ვერონას" თამაშის წინ „გაძეტა დელო სპორტი" — შაბათკვირას იტალიაში 28-ე ტურია, „სან სიროზე" ერთმანეთს მეექვსე და მეთექვსმეტე ადგილებზე მყოფი გუნდები ხვდებიან. პირველი ოთხეულში მოსახვედრად იბრძვის, რათა მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშოს, ხოლო მეორეს ბოლო ოთხეულიდან თავის დაღწევა სწადია, მომავალი სეზონი კვლავ სერია A-ში რომ გაატაროს.

ჩეზარე მალდინის მისვლა „მილანისთვის" მართლაც მნიშვნელოვანი გამოდგა. „შავ-წითლების" თამაში უფრო სტაბილური გახდა და თავად მწვრთნელიც თითქოს უპრეტენზიოდ, მაგრამ საქმიანად და დიდი დაჟინებით იმატებს ქულას ქულაზე. დღეს მილანელებს მეოთხე ადგილამდე სამი ქულა აშორებთ.

მეოთხე ადგილზე კი „პარმაა", რომელიც მე-14 ადგილზე მყოფ „ვიჩენცას" სტუმრობს, თუმცა იტალიაში კონკრეტული თამაშის ბედს მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობა დიდად არ განაპირობებს. იქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ხოლო ამ ყველაფრის თავის სასარგებლოდ გამოყენებას ჩეზარე მალდინი „ვერონასთან" შეხვედრაში ასეთი შემადგენლობით აპირებს: როსი, ჰელვეგი, კოსტაკურტა, მალდინი, კოკო, გატუზო, ჯუნტი, კალაძე, სერჟინიო, ბირჰოფი, შევჩენკო.

საქართველოს ნაკრების წევრს, კახა კალაძეს მწვრთნელი კვლავ ნახევარდაცვის შუაში დაასაქმებს. მოგეხსენებათ, კალაძემ ახალ გუნდში ზოგადად და, ბოლო ორ ტურში კერძოდ, თავი გამოიჩინა. ხსენებულ ბოლო ორ ტურში მან გოლები გაიტანა.

„ეს გოლები ჩემთვის ბევრს არაფერს ცვლის" — ამბობს „მილანის" მეცამეტე ნომერი — „მე ძველებურად ვაპირებ მუშაობას და ყველა ღონეს ვიხმარ, რათა გუნდს მეოთხე ადგილზე გასვლაში შევუწყო ხელი".

კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ კი კალაძე მარსელ დესაის შეადარა. მოგეხსენებათ, ცნობილი ფრანგი მცველი კარგა ხანს მილანელთა ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა იყო.

კალაძე შეაქო მისმა ყოფილმა (კიევის „დინამოში") და ახლანდელმა თანაგუნდელმა, უკრაინელმა ანდრეი შევჩენკომაც: „ძალიან მიხარია ის ასე კარგად რომ თამაშობს. განსაკუთრებით იმიტომ, რომ „მილანში" მას მე გავუწიე რეკომენდაცია".

28-ე ტურის მთავარი მატჩია „რომა" — „ლაციო", რომაული დერბი. „რომა" მოგეხსენებათ, ლიდერია, ხოლო „ლაციო" მესამეზეა და მეტოქეს 7 ქულით ჩამორჩება, თუ „ლაციო" გაიმარჯვებს, სხვაობა 4 ქულამდე შემცირდება, მაგრამ არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი: „ლაციოს" წინ, მეორე ადგილზე „იუვენტუსია", რომელიც მას მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს.

„იუვენტუსი" „ლეჩეს" მასპინძლობს. „ლეჩე" მე-12 ადგილზეა. მას დღევანდელი სერია A-ს ყველაზე პერსპექტიული მწვრთნელი, ალბერტო კავასინი თავკაცობს. ისტორიაში „ლეჩეს" ტურინში შვიდჯერ უთამაშია და ექვსჯერ დამარცხებულა, ხოლო მეშვიდედ ფრე გაუხერხებია. „იუვენტუსს" გაუტანია 16, ხოლო „ლეჩეს" 1 გოლი. ერთი სიტყვით, სავარაუდოა, რომ „ბებერი ქალბატონი" მორიგ სამ ქულას მიითვლის. ასე, რომ „ლაციოს" „რომასთან" უთუო გამარჯვება სჭირდება. თანაც, ერთი კვირის შემდეგ, „რომა" ტურინში ჩადის!!!

ახლა „რომასა" და „ლაციოს" სავარაუდო შემადგენლობები ვთქვათ.

„რომა": ანტონიოლი, ალდაირი, სამუელი, მანცონე, კაფუ, ტომაზი, ემერსონი, ძანეტი, კანდელა, ბატისტუტა, დელვეკიო.

„ლაციო": პერუცი, პანკარო, ნესტა, ნეგრო, ფავალი, პობორსკი, დ. ბაჯო, სიმეონე, ვერონი, ნედველი, კრესპო.

როგორც სავარაუდო შემადგენლობიდან ჩანს, „ლაციო" ერთი გამოკვეთილი ფორვარდით აპირებს თამაშს, ხოლო „რომა" ორით. გარდა ამისა, ფრიად საყურადღებოა რომაელთა შორის გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშის ფრანჩესკო ტოტის არყოფნა. ის დაშავებულია, ისევე, როგორც ვინჩენცო მონტელა, ფორვარდი, რომელმაც ოთხშაბათს, იტალიისა და სამხრეთ აფრიკის ამხანაგური მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა და ფეხიც იქვე იტკინა.

„ლაციოს" პრობლემები ასეთია: პორტუგალიელი მცველი, ფერნანდო კოუტუ დოპინგის მოხმარებაშია ეჭვმიტანილი, ხოლო იუგოსლაველი მცველი სინიშა მიხაილოვიჩი ბელგრადიდან (ეროვნული გუნდიდან) კოჭნატკენი დაბრუნდა.

„რომას" ბრაზილიელი მოთამაშე ემერსონი ამბობს: „დიახ, ეს დერბია, ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი, მაგრამ სეზონი ხომ ამით არ მთავრდება, ამ დღეს მხოლოდ სამი ქულა უნდა გათამაშდეს, დანარჩენები კი წინაა".

## ინგლისი

გიგა კოპაძე

# გარის ხელითა, კაცო?!

| XXXV ტური | |
|---|---|
| **დღეს** | |
| ქოვენთრი | ლივერპული |
| დერბი ქაუნთი | არსენალი |
| ევერტონი | ბრედფორდი |
| ლიდსი | ჩელსი |
| სიტი | ვესტ ჰემი |
| მიდლსბრო | მანჩესტერი |
| ნიუკასლი | ლესტერი |
| საუთჰემპტონი | სანდერლენდი |
| ტოტენჰემი | ასტონ ვილა |
| **ზეგ** | |
| ჩარლტონი | იფსვიჩი |

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 34 | 23 | 8 | 3 | 75:25 | 77 |
| არსენალი | 34 | 18 | 9 | 7 | 57:33 | 63 |
| იფსვიჩი | 35 | 19 | 5 | 11 | 53:38 | 62 |
| ლიდსი | 34 | 17 | 8 | 9 | 52:39 | 59 |
| ლივერპული | 33 | 16 | 8 | 9 | 58:37 | 56 |
| ჩელსი | 34 | 15 | 9 | 10 | 62:39 | 54 |
| ასტონ ვილა | 35 | 12 | 14 | 9 | 43:38 | 50 |
| სანდერლენდი | 35 | 13 | 11 | 11 | 40:37 | 50 |
| ჩარლტონი | 35 | 13 | 10 | 12 | 46:49 | 49 |
| საუთჰემპტონი | 33 | 12 | 9 | 12 | 34:40 | 45 |
| ტოტენჰემი | 35 | 12 | 9 | 14 | 42:49 | 45 |
| ლესტერი | 35 | 13 | 6 | 16 | 34:45 | 45 |
| ნიუკასლი | 33 | 12 | 7 | 14 | 39:46 | 43 |
| ვესტ ჰემი | 35 | 9 | 12 | 14 | 41:47 | 39 |
| მიდლსბრო | 35 | 8 | 14 | 13 | 41:40 | 38 |
| ევერტონი | 35 | 10 | 8 | 17 | 40:54 | 38 |
| დერბი ქაუნთი | 35 | 9 | 11 | 15 | 34:56 | 38 |
| ქოვენთრი | 35 | 8 | 9 | 18 | 34:58 | 33 |
| სიტი | 35 | 7 | 10 | 18 | 38:61 | 31 |
| ბრედფორდი | 33 | 5 | 9 | 19 | 27:59 | 24 |



გარი მაკალისტერი

**აქეთ „ლიდსს"** და იქით განსაკუთრებით „ლივერპულს" არა და არ ეღირსათ ცოტაოდენ ამოსუნთქვა — ყოველი მატჩი გადამწყვეტია. ასეა ამ ტურშიც, რომლის უმთავრესი შეხვედრაც იორკშირში, „ელანდ როუდზე" ტარდება: დღეს მაოთხეადგილოსანი „ლიდსი" ლონდონის „ჩელსის" მასპინძლობს და ჩემპიონთა ლიგაში გასასვლელად აუცილებლად მოგება სჭირდება, ოთხშაბათს კი ნახევარფინალისტი „ლიდსი" ესპანურ „ვალენსიას" მიიღებს და ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლას შეეცდება.

ორი კურდღლის მდევარ დევიდ ოლირის დღეს კლაუდიო რანიერი დაუპირისპირდება. საოცარია, მაგრამ ამ იტალიელი მწვრთნელის გუნდს ყოველ სამ ტურში ერთხელ ფეხი უცდება, უეფას თასის საგზურის მოპოვება კი დღესაც ძალუძს. ეგ კი არა, წინა ტურში შინ „ჩარლტოონთან" მოულოდნელად რომ არ დამარცხებულიყო, ჩემპიონთა ლიგაზე ფიქრიც შეიძლებოდა.

ლიდსელებისგან განსხვავებით, ჟერარ ულიეს გუნდმა თავი ევროფინალში დაიგულა, თუმცა პრემიერლიგის სამეულში მოხვედრა ჯერ კიდევ საოცნებო აქვს. დღეს „ლივერპული" ქოვენთრიში ჩადის, სადაც ჯერ კიდევ ეიმედებათ, რომ პირველ დივიზიონში ჩაქვეითებას გადარჩებიან. „ჩვენ შეგვიძლია დასახული ამოცანის შესრულება" — ამბობს „ქოვენთრის" უელსელი თავდამსხმელი კრეიგ ბელამი, ამ ახალგაზრდას და მის პარტნიორებს ალბათ სჯერათ, რომ სასწაული კვლავ მოხდება და სტრაჩანის გუნდი ისევ შეინარჩუნებს პრემიერლიგაში ყველაზე დიდხანს მყოფის სტატუსს: იქაური „სიტი" 1968 წლიდან არ გავარდნილა, მაშინ როცა სხვა დანარჩენებმა, თვით „მანჩესტერ იუნაიტედმა" და „ლივერპულმაც" კი, ამ დროს თითოჯერ მაინც მოასწრეს ლიგებს შორის მოგზაურობა. საინტერესოა, ითამაშებს თუ არა დღეს გასული კვირის გმირი გარი მაკალისტერი, ვინც ზედიზედ სამ თამაშში მოახერხა გოლის გატანა და რომელიც „ლივერპულმა" სწორედ „ქოვენთრიდან" გადაიბირა. დიდი შანსია, სწორედ ბებერი სქოთის ხელმა (უფრო სწორად, ფეხმა) მოუღოს ბოლო უმაღლეს დივიზიონში ქოვენთრელთა 33-წლიან პარპაშს.

კიდევ ერთი წყალწაღებული „მანჩესტერ სიტი" კი „ვესტ ჰემს" მასპინძლობს და ცხადია, ისევე იბრძოლებს, როგორც ერთი კვირის წინ თანაქალაქელ „იუნაიტედთან". ჯო როილს და მის ბიჭებს ბოლო შანსი ეძლევათ, მით უმეტეს რომ ჰარი რედნაპის გუნდი ახალ საუკუნეში საცოდავად გამოიყურება — შვიდი წაგება ბოლო ცხრა შეხვედრაში, იანვრიდან მოყოლებული კი ყოველ თამაშში თითო გოლს მაინც უშვებს. გავარდნა ვის სიამოვნებს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ქოვენთრულისგან განსხვავებით, მანჩესტერული „სიტის" ფანობა მიჩვეულია აღმა-დაღმა სიარულს და ალბათ, ეს ამბავი არც არავის გაუკვირდება.

მაჩანჩალათა სამეულს ოდნავ ზემოთ მოქცეული სამეული — „დერბი ქაუნთი", "ევერტონი" და „მიდლსბრო" — ბევრს კი ცდილობს, მაგრამ სარდაფის ნესტიან ატმოსფეროს სასურველ მანძილზე მაინც ვერ გასცდა. და აი, დღეს ამის ყველაზე კარგი შანსი „ევერტონს" აქვს — ნამეტანი გვიან აბობოქრებულ (6 ქულა ბოლო ორ მატჩში) „ბრედფორდს" მასპინძლობს და გამარჯვების შემთხვევაში გული საგულეს ჩაუდგება, სტუმრების დაქვეითების გაჭიანურებულ პროცესს კი ოფიციალურად გააფორმებს.

„დაშინებულთა" სამეულის კიდევ ერთ წარმომადგენელს, ტერი ვენეიბლზის „მიდლსბროს" გაცილებით რთული მეტოქე ჰყავს. ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედს", მართალია, სატურნირო ცხრილი ნაკლებად აღელვებს, მაგრამ „ბაიერნთან" დამარცხების და მანჩესტერულ დერბიში ვერმოგების მერე პრესტიჟის აღდგენას შეეცდება. თანაც, ფერგიუსონის თავდამსხმელებმა დარჩენილ ოთხ შეხვედრაში უნდა დაამტკიცონ, რომ რუუდ ვან ნისტელროის გუნდში ღირსეული კონკურენცია შეექმნება.

მესამე 38-ქულიანი, ანუ გიორგი ქინქლაძის „დერბი ქაუნთი" მეორეადგილოსან „არსენალს" ხვდება. უკანდასახავი გზა ორივე გუნდს მოჭრილი აქვს — არსენ ვენგერს „იფსვიჩი" და ჩემპიონთა ლიგის სხვა მოსურნეები მოსდევენ კვალდაკვალ, ჯიმ სმიტს კი ბრედფორდში შერცხვენის მერე სკამი საფუძვლიანად შეერყა. „არსენალი", ცხადია, გაცილებით ძლიერია მეტოქეზე, მაგრამ გავიხსენოთ, რომ პირველ წრეში „ჰაიბერიზე" მატჩი 0:0 დამთავრდა, თანაც ლონდონელებს შუა კვირაში ლამის ნახევარი შემადგენლობა ევროპის სხვადასხვა სტადიონებზე ჰყავდათ მივლინებული.

ტურის მთავარი კითხვის პასუხს კი ორშაბათს მივიღებთ: გააჩერებენ „იფსვიჩს"? „ჩელსის" დამმარცხებელ „ჩარლტონს", ერთი შეხედვით, ეს ძალუძს, მაგრამ აბა, ჯორჯ ბარლის ჰკითხეთ?!

## გერმანია

ვანო ოქროპირიძე
ბერლინიდან

# სპექტაკლი ლევერკუზენში
## პიესის ავტორი და დამდგმელი რეჟისორი რაინერ კალმუნდი

| XXIX ტური | |
|---|---|
| **დღეს** | |
| შტუტგარტი | ვერდერი |
| კიოლნი | კოტბუსი |
| ბაიერნი | ფრაიბურგი |
| ჰერტა | აინტრახტი |
| ლაუტერნი | ლევერკუზენი |
| ბოხუმი | შალკე |
| **ხვალ** | |
| უნტერჰახინგი | მიუნხენი |
| ჰამბურგი | ჰანზა |
| **გუშინ** | |
| ვოლფსბურგი | დორტმუნდი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შალკე | 30 | 16 | 7 | 7 | 57:29 | 55 |
| ბაიერნი | 30 | 16 | 5 | 9 | 57:35 | 53 |
| დორტმუნდი | 30 | 15 | 7 | 8 | 54:37 | 52 |
| ლევერკუზენი | 30 | 15 | 5 | 10 | 51:38 | 50 |
| ჰერტა | 30 | 16 | 1 | 13 | 53:50 | 49 |
| ლაუტერნი | 30 | 15 | 4 | 11 | 47:49 | 49 |
| ფრაიბურგი | 30 | 12 | 10 | 8 | 46:34 | 46 |
| ვერდერი | 30 | 13 | 7 | 10 | 46:45 | 46 |
| ვოლფსბურგი | 30 | 11 | 10 | 9 | 54:38 | 43 |
| კიოლნი | 30 | 11 | 9 | 10 | 50:43 | 42 |
| მიუნხენი | 30 | 11 | 7 | 12 | 38:50 | 40 |
| ჰანზა | 30 | 11 | 6 | 13 | 32:42 | 39 |
| ჰამბურგი | 30 | 9 | 9 | 12 | 52:51 | 36 |
| კოტბუსი | 30 | 10 | 3 | 17 | 33:45 | 33 |
| შტუტგარტი | 30 | 7 | 10 | 13 | 38:46 | 31 |
| უნტერჰახინგი | 30 | 7 | 10 | 13 | 28:48 | 31 |
| აინტრახტი | 30 | 8 | 5 | 17 | 36:61 | 29 |
| ბოხუმი | 30 | 7 | 5 | 18 | 28:59 | 26 |

**ბოლო დღეებია**, გერმანიაში ფეხბურთის მოყვარულებს ერთი „სპექტაკლის" ხილვა უწევთ, რომელსაც უბრალოდ „ლევერკუზენის „ბაიერი" ჰქვია. სცენარის ავტორი და დამდგმელი რეჟისორი რაინერ კალმუნდი გახლავთ, ერთ-ერთ მთავარ როლსაც იგი ასრულებს, თანაც ისე, ეგებ „ოსკარზეც" წარადგინონ.



რუდი ფიოლერი

„მიზეზი არ მაინტერესებს, მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ბოლოდროინდელი წარუმატებლობები მთლიანად ბერტი ფოგტსის ბრალია, პასუხიც მან უნდა აგოს" — ეს სიტყვები „ლევერკუზენის" მენეჯერმა რაინერ კალმუნდმა წინა კვირაში თქვა.

„ყოჩაღ, ბერტიო, რომ შემაქონ, არ ვითხოვ, მაგრამ არც ყველაფრის ჩემთვის გადმობრალება სამართლიანი, ეს არ დამიმსახურებია" — გაიმართლა თავი „სპექტაკლის" კიდევ ერთმა მთავარმა გმირმა, „ლევერკუზენის" მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა. ამით ცხადი გახდა, რომ მასსა და კლუბის უფროსობას შორის ურთიერთობა დაიძაბა, ამას წინა ტურში „ჰამბურგთან" საშინაო 1:1-იც მოჰყვა. მატჩის დასრულებას ორი წუთი უკლდა, გუნდის თამაშით განრისხებული კალმუნდი რომ სტადიონიდან გაუჩინარდა. გაუჩინარდა და ორშაბათს კლუბის ხელმძღვანელობის თათბირიც მოაწყო. იმ დღეს ფოგტსი ვარჯიშზე არ მისულა. თითქოს ყველაფერი ნათელი იყო...

— ვინ არის გუნდის ახალი მწვრთნელი? — ჰკითხეს თათბირიდან გამოსულ კალმუნდს ჟურნალისტებმა.

— ვინ უნდა იყოს? გუნდის თავკაცი ხომ ბერტი ფოგტსია — გაიკვირვა მენეჯერმა და დასძინა — გუნდის ცუდი თამაში მას დავაბრალე და ახლაც ამ აზრზე ვარ, მაგრამ არ მითქვამს, რომ მის გაგდებას ვაპირებთ. ბერტი სეზონის ბოლომდე დარჩება, ოთხივე თამაში რომ წავაგოთ, მაინც არაფერს შევცვლით. ისე, არ დაგავიწყდეთ, რომ მას ჩვენთან კონტრაქტი 2003 წლამდე აქვს".

კალმუნდის ამ განცხადებამ მთელი გერმანია გააოგნა.

„მან დაგვარწმუნა, რომ კვლავაც შესწევს „ლევერკუზენის" გაწვრთნის ძალა, თანაც ამის სურვილიც აქვს და რატომ უნდა გაგვეშვა?" — აქეთ ჰკითხა მენეჯერმა მოგვიანებით „ბილდს". სამშაბათს საღამოს კი...

„ლევერკუზენში" რუდი ფიოლერი დაბრუნდა. ოღონდ, გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოფიციალურად ძველ თანამდებობაზე, სპორტულ დირექტორად იმუშავებს, თუმცა... „ბერტის თუ დასჭირდება, რუდი მას დაეხმარება" — განმარტა კალმუნდმა. „ნურავის ჰგონია, რომ ფოგტსის საქმეებში ჩავერევი, იგი ჩინებული სპეციალისტია და ჩემი დახმარება სულაც არ სჭირდება. მე ძველებურად ტრიბუნაზე ვიჯდები. ასე რომ, მთავარი სიტყვა ბერტის ეთქმის" — ფიოლერმა ხმამაღლა კი თქვა ეს, მაგრამ გერმანელთათვის ცხადზე ცხადია, მასსა და კალმუნდს გულში რა უდევთ. „ბერტი მეფეა, ოღონდ ძალაუფლების გარეშე, — წერს ხუთშაბათის „კიკერი". „მუსიკას რუდი შეუკვეთავს" — აღნიშნავს „ბილდი".

გერმანიაში კი აინტერესებთ, დაუმის გარშემო ატეხილი სკანდალისა და ახლანდელი მასხარაობის მერე კიდევ დიდხანს დარჩება თანამდებობაზე კალმუნდი? გუნდის ცუდი თამაში იმ პოლიტიკის ბრალი ხომ არ არის, „ლევერკუზენის" მენეჯერი რომ ატარებსო.

ლევერკუზენელთა გარშემო შექმნილმა აჟიოტაჟმა ლამის ყველას დაავიწყა ბუნდესლიგის ჩემპიონობისთვის გაჩაღებული ბრძოლა. პირველ ადგილზე ძველებურად ექვსი გუნდი აცხადებს პრეტენზიას, ოღონდ რეალურად „შალკე", „ბაიერნი" და „დორტმუნდი" იბრძვიან. დორტმუნდელები წუხელ „ვოლფსბურგს" სტუმრობდნენ, „ბაიერნი" და „შალკე" კი დღეს თამაშობენ. მიუნხენელები ჩვენებურთა „ფრაიბურგს" უმასპინძლებენ.

დღეს „ბაიერნს" ელბერი, იერემისი და ფინკი არ ეყოლება, სამივე ტრავმირებულია. მიუხედავად ამისა, მიუნხენელები „ფრაიბურგს" ემუქრებიან. „რეალთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩზე ჯერ არ ვფიქრობთ, მანამდე „ფრაიბურგს" უნდა მოვუგოთო, ამბობს ჰიცფელდი.

ფავორიტი „შალკე" კი ცალი ფეხით მეორე ბუნდესლიგაში მყოფ „ბოხუმს" სტუმრობს, გუნდს, რომელსაც ელიტაში ადგილის შენარჩუნების იმედი ბოლომდე არ დაუკარგავს და ამიტომაც ლიდერს დიდ ბრძოლას ჰპირდება.

ბერლინის „ჰერტა" ასევე აუტსაიდერთა წარმომადგენელ ფრანკფურტის „აინტრახტს" იღებს, რომელსაც მოგება ლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე მეტად ქომაგთა დასამოშმინებლად სჭირდება. ფრანკფურტელებს 9 თებერვლის მერე აღარ მოუგიათ. ამის გამო კლუბის ხელმძღვანელობას ლამის ყოველდღიური შეხვედრები აქვს გულშემატკივრებთან, რომლებიც საყვარელი გუნდის ფეხბურთელებს მოკვლითაც კი ემუქრებიან.

ტურის მთავარი მატჩი კი კაიზერსლაუტერნშია, სადაც ანდრეას ბრემეს შეგირდები „ლევერკუზენს" ელიან. ბოლო დროა, „ლაუტერნი" სამ ბურთზე ნაკლები სხვაობით არ აგებს. ასეთმა შედეგებმა ბრემეს ავტორიტეტი ძალიან დასცა. მწვრთნელი წარუმატებლობის მიზეზს ვერ ასახელებს და ხშირად თავის მართლება აბსურდული განცხადებებით უწევს. ისე, გუნდიდან გაგდება ბრემეს ჯერ არ ელის. „იგი ახალგაზრდა და გამოუცდელი მწვრთნელია, ფაქტობრივად ყველაფერს ახლა სწავლობს, ხელის შეშლას კი ნამდვილად არ ვაპირებ, გუნდს თუ ექვსეულში შეიყვანს, წარმატებად ჩავუთვლი" — თქვა იურგენ ფრიდრიხმა. პრეზიდენტი მყავსო, ბრემემ უნდა დაიტრაბახოს. ბოლოს კი ერთი სასიამოვნო ამბავი, კვირას ამხანაგურ მატჩს ატარებს ბუნდესლიგის „ვოლფსბურგი", რომელიც „ფიორდერშტადტს" დაუპირისპირდება. ეს შეხვედრა ვოლფსბურგელთა თავკაცმა ვოლფგანგ ვოლფმა სპეციალურად თბილისის დინამოელი არჩილ სახვაძის საქმეში სანახავად დაგეგმა. ვინ იცის, ეგებ ბუნდესლიგა მომავალ სეზონში ექვსმა ქართველმა ითამაშოს.

## ესპანეთი

გიორგი დარჩანია

# მენდიეტა სამეფო ოჯახის წევრი გახდა

| XXX ტური | |
|---|---|
| **დღეს** | |
| ვალენსია | ვალიადოლიდი |
| რეალი | ოსასუნა |
| მალიორკა | სარაგოსა |
| **ხვალ** | |
| მალაგა | ოვიედო |
| ბილბაო | ალავესი |
| რასინგი | რაიო ვალეკანო |
| დეპორტივო | ესპანიოლი |
| ბარსელონა | სელტა |
| ნუმანსია | ვილიარეალი |
| ლას პალმასი | სოსიედადი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 31 | 21 | 5 | 5 | 69:32 | 68 |
| დეპორტივო | 31 | 17 | 6 | 8 | 60:38 | 57 |
| ვალენსია | 31 | 15 | 8 | 8 | 48:25 | 53 |
| მალიორკა | 31 | 14 | 11 | 6 | 44:37 | 53 |
| ბარსელონა | 31 | 14 | 9 | 8 | 68:50 | 51 |
| სელტა | 31 | 13 | 8 | 10 | 43:44 | 47 |
| ალავესი | 31 | 13 | 7 | 11 | 49:42 | 46 |
| ესპანიოლი | 31 | 13 | 6 | 12 | 40:32 | 45 |
| მალაგა | 31 | 13 | 6 | 12 | 50:49 | 45 |
| ვილიარეალი | 31 | 12 | 8 | 11 | 46:46 | 44 |
| ბილბაო | 31 | 10 | 9 | 12 | 39:44 | 39 |
| რაიო ვალეკანო | 31 | 9 | 11 | 11 | 51:54 | 38 |
| სარაგოსა | 31 | 8 | 12 | 11 | 47:49 | 36 |
| ლას პალმასი | 31 | 10 | 6 | 15 | 31:51 | 36 |
| ვალიადოლიდი | 31 | 8 | 11 | 12 | 35:42 | 35 |
| ოვიედო | 31 | 9 | 6 | 16 | 38:55 | 33 |
| სოსიედადი | 31 | 8 | 9 | 14 | 39:60 | 33 |
| ოსასუნა | 31 | 7 | 10 | 14 | 36:47 | 31 |
| რასინგი | 31 | 8 | 6 | 17 | 38:52 | 30 |
| ნუმანსია | 31 | 7 | 8 | 16 | 31:53 | 29 |

**ძალიან** ცუდ დროს უწევს კარლოს რექსაჩს პირველი გამოცდის ჩაბარება — თავად განახევრებული გუნდი ჰყავს, მეტოქე კი ძლიერი ერგო.

წინა უქმეებზე „ოსასუნასთან" მატჩი „ბარსელონასთვის" იმითაც გამოდგა საბედისწერო, რომ ხვალინდელი შეხვედრისთვის ოთხი ფეხბურთელი დაკარგა — სიმაო სარბოსა მეტოქეზე ტყუპი ფეხით წასვლისთვის, ივან დე ლა პენია გაუთავებელი ჯარიმებისთვის, ხოლო სერხი პამპლონელი ფეხბურთელის სრულიად შეგნებული დაჩაგვრისთვის წითელი ბარათებით დაჯილდოვდნენ. ამასთანავე პატრიკ კლუივერტს ყვითელი ბარათების რაოდენობა ხუთამდე შეევსო, რაც ესპანური კანონებით ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით ისჯება.

იმავდროულად „სელტას" წინა ცამეტი თამაშიდან თორმეტში არ წაუგია, მათ შორის ბოლოს გალისიურ დერბიში „დეპორტივოს" სძლია და ისეთი შემართებით იბრძვის, უთუოდ უეფას თასის საგზურს გამოჰკრავს ხელს.

არადა, „ბარსელონას" წაგების უფლება აღარ აქვს. დამეთანხმებით, ზედიზედ ხუთი მოუგებელი თამაში (პრიმერადივიზიონში და უეფას თასზე) კატალონიური გრანდისთვის მეტისმეტია. და მთავარიც — მორიგი წაფორხილება „ბარსელონას" შესაძლოა, გაისად ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩენად დაუჯდეს.

მაგრამ არსებობს ერთი მიზეზი, რის გამოც „ბარსამ" ხვალ აუცილებლად უნდა მოიგოს. ეს მიზეზი თავში ნახსენები კარლოს რექსაჩია.

საზოგადოდ ასე ხდება, რომ ახალი მწვრთნელი სადებიუტო მატჩის მოსაგებად განსაკუთრებითაა მოწადინებული და ფეხბურთელებიც თავდაუზოგავად იბრძვიან. რექსაჩი ამბობს: „გაშლილი და შემტევი ფეხბურთის თამაში „ბარსელონას" სტილია. მე ასეთ ფეხბურთს ვთამაშობდი და ახლაც ამას მოვითხოვ".

ლორენს სერა ფერერის გაგდების მიზეზი „ოსასუნა" მადრიდში ჩავიდა და დღეს საღამოს „სანტიაგო ბერნაბეუზე" ითამაშებს. ლიდერის და ერთ-ერთი აუტსაიდერის ორთაბრძოლაში ფავორიტის გამოცნობა ძნელი არ უნდა იყოს. ამასთანავე დიდი სენსაცია იქნება, თუ პამპლონელები ზედიზედ შეძლებენ ესპანეთის ორი უპირველესი გუნდის დამარცხებას. თუმცა ისიც აღვნიშნოთ, რომ „რეალს" კვლავაც არ ეყოლება ფერნანდო მორიენტესი და, სავარაუდოდ, ივან ელგერაც, რომელმაც იაპონიასთან ამხანაგური მატჩის დროს ფეხის მცირე ტრავმა მიიღო და წესით ვისენტე დელ ბოსკემ ის უნდა დაასვენოს.



გაისკა მენდიეტა

ახლა გამაგებინეთ, რომელია ესპანეთში „სამეფო კლუბი"? ეს ლაპარაკი იმიტომ წამოვიწყე, რომ ვალენსიელები თავიანთი პრეზიდენტის მეთაურობით მადრიდში ჩავიდნენ და „პალასიო სარსუელაში" ქვეყნის მეფე ხუან კარლოსს შეხვდნენ. ილაპარაკეს მთისა და ბარისა, შიგადაშიგ ფეხბურთზეც და მერე ფოტოებიც გადაიღეს — ერთი, მეფე და „ვალენსია", მეორე — მეფე და გაისკა მენდიეტა, რომელზეც მონარქმა თქვა, ჩემს საოჯახო ალბომში მივუჩენ ადგილსო. ხუან კარლოსს კლუბისგან ბურთიც ერგო, ცხადია, ვალენსიელთა ავტოგრაფებით.

საინტერესო კიდევ ისაა, რომ მეფემ განაცხადა, ლიგის ნახევარფინალში „ლიდსს" თუ დაამარცხებთ, მილანში ფინალზე უეჭველად ჩამოვალ და გიქომაგებთო. და თუ მეორე ფინალისტი „რეალი" იქნა? მაინც „ვალენსიას" უქომაგებს მეფე? ფრიად საინტერესო შემთხვევასთან გვექნება საქმე.

იქამდე კი „ვალენსია" მასპინძლობს წინა ტურში „სოსიედადისგან" შერცხვენილ „ვალიადოლიდს", რომლის პრეზიდენტი იგნასიო ლევინი რამდენიმე დღის წინ გადადგა.

წინა ტურის გალისიურ დერბის ახლა ბასკური შეცვლის — „ბილბაო" „ალავესს" მასპინძლობს. საზოგადოდ, ბასკთა უპირველესი დერბი „ბილბაო" — „სოსეიდადია", რაც მაგრამ ვიტორიული ფეხბურთი აღმასვლას დაადგა, მისი თამაში უფრო დიდ ინტერესს იწვევს.

გავიხსენოთ, რომ ერთი კვირის წინ „მალაგასთან" ალავესელთა საშინაო მარცხი მათი გადაღლილობით ავხსენით, რაც შუა კვირაში უეფას თასზე თამაშით იყო გამოწვეული. ამ შეხვედრაში ვიტორიელებს რუმინელი მცველი კოსმინ კონტრა დააკლდებათ, რომელსაც გრიპი შეჰყრია, ბილბაოელებს კი დისკვალიფიცირებული აიტორ ლარასაბალი არ ეყოლებათ.

„სელტასთან" წაგების მერე „დეპორტივო", ფაქტობრივად, დაემშვიდობა ჩემპიონობის შენარჩუნებაზე ფიქრს. უბრალოდ წესია, რომ სანამ თეორიული შანსი მაინც არსებობს, გუნდი არ ჩამოვწეროთ, თორემ ლაკორუნიელები რომ უკვე ექს-ჩემპიონებად მოვიხსენიოთ, ვფიქრობ, საკამათო არ უნდა იყოს, თუმცა არც მეორე ადგილია ურიგო შედეგი და გალისიელები ამისთვის იბრძვიან.

ორმატჩიანი სასჯელი მოიხადა ჯალმინიამ, მაგრამ ხავიერ ირურეტას გუნდი უდანაკარგოდ მაინც ვერ გადარჩა — ახლა დიეგო ტრისტანი იხდის დისკვალიფიკაციას.

„დეპორის" მეტოქე „ესპანიოლს" კი ტრავმირებული ლიდერი რაულ ტამუდო არ ეყოლება.

„ვალიადოლიდის" ძლევით „რეალ სოსიედადმა" რამდენადმე გამოასწორა მდგომარეობა და, როგორც ცხრილიდანაც ჩანს, გასავარდნთა ზონას ორი ქულით ასცდა, მაგრამ საფრთხე მაინც დიდია და ჯონ ტოშაკის ბიჭები კანარის კუნძულებიდან ხელცარიელნი თუ დაბრუნდნენ, დიდი შანსია, ისევ დაქვეითდნენ.

„სოსეიდადის" უშუალო მეტოქეებიდან „ოსასუნას" ამბავი უკვე ვთქვით და დანარჩენებს — „ნუმანსიას" და „რასინგს" არცთუ ურიგო შანსები აქვთ. ორივე შინ თამაშობს, თან სორიელთა მეტოქე „ვილიარეალს" მარტინ პალერმო დისკვალიფიკაციის გამო არ ეყოლება, ხოლო სანტანდერელთა მეტოქე „რაიო ვალეკანო" გერჰარდ პოშნერის, მიჩელისა და მინგოს გარეშე დარჩენილა. ამათგან პირველი დისკვალიფიცირებულია, დანარჩენები კი დაშავებულნი.

უფრო ცუდად აქვს საქმე „ოვიედოს", რომელიც გასვლაზე ხვდება „ალავესის" დამჩაგვრელ „მალაგას" და ჯერაც ერთადერთი საგარეო მოგების ამარაა.

## საქართველოს ჩემპიონატი. ნახევარფინალი (ორ მოგებამდე)

# განტევების ვაცი
## 21 ქულით დაწინაურებულმა „აზოტმა“ წაგება ზაზა მაჩალაძეს დააბრალა

| | |
|---|---|
| აზოტი | 0 |
| სტუ | 1 |

27 თებერვალი. ვერის ბაღი

**სტუ 77:72 აზოტი**

12:19, 18:23, 23:10, 24:20

**სტუ:** სულაძე, ხოშტარია (29), დავითულიანი (12), ოთიურიძე (8), მდივანი (4); ბ. ბერიშვილი (4), კორძაძე (10), ლოსაბერიძე (2), მინაშვილი, მიქაძე (1), ჩუბინიძე (7)

**აზოტი:** ა. ჟღენტი (13), გოგობერიშვილი (11), კოკოლიშვილი (4), ბაბიაშვილი (15), შენგელია (6); ბერუაშვილი (4), ტურაშვილი (3), ჯაფარიძე (16)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერუკაშვილი

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**გიორგი ბიკაშვილი**

**ნამატჩევს** „აზოტი“ და მისი გულშემატკივარი ტრადიციულად მსაჯობაზე ტეხდა ჯოხს. რუსთაველებმა განტევების ვაცად მსაჯი ზაზა მაჩალაძე აქციეს, რომელიც მატჩის მსვლელობის დროსაც და მერეც „აზოტის“ ქომაგთა ლანძღვას ყურს არ უგდებდა და თავი მშვიდად ეჭირა.

მაინც რამ განარისხა რუსთაველები? უპირველესად, ცხადია, საქომაგო გუნდის მარცხმა, რაშიც მთლიანად მსაჯს დასდეს ბრალი, აქაოდა, მაჩალაძემ მიკერძოებულად იმსაჯა და წაგვაგებინაო.

შესაძლოა, მაჩალაძეს რომელიმე გუნდის მიმართ სიმპათია მართლაც აქვს, მაგრამ გუშინდელი თამაშის მიხედვით ვერ ვიტყვით, რომ მსაჯი ვინმეს ემხრობოდა. ანუ, ვერ ვიტყვით, რომ სტუ-მ არბიტრის ხელშეწყობით მოიგო, რადგან ასე ნამდვილად არ ყოფილა. სტუდენტურმა კლუბმა ბრძოლაში, კაცურად დაამარცხა „აზოტი“, რომელმაც წაგების მიზეზი მსაჯებში კი არა, საკუთარ თავში უნდა ეძიოს. რატომ? იმიტომ, რომ საკუთარივე უგერგილობით წააგო, 21 ქულას იგებდა და მაინც წააგო. გუნდი ამხელა უპირატესობას რომ გაფლანგავს, ვფიქრობთ, მისგან მსაჯობაზე საუბარი უხერხულიც კია.

ასე იყო, ტაიმის დამთავრებამდე სამიოდ წუთით ადრე „აზოტი“ მართლაც 21 ქულით იყო წინ, ოთარ ხმელიძის გუნდი ნუგზარ ჭეიშვილისას ყველაფერში ჯაბნიდა, მაგრამ მერე მოვლენები სხვაგვარად განვითარდა და „აზოტი“ მდევრის როლში აღმოჩნდა. ყოველივე გვაფიქრებინებს, რომ ვიცე-ჩემპიონმა ნაადრევად ირწმუნა საკუთარი მოგების, რაც ისეთ პრინციპულ მატჩში, როგორიც პლეი ოფის ნახევარფინალია, დანაშაულად ითვლება. მოდუნება რომ ძვირად დაუჯდა „აზოტს“, ეს საბოლოო შედეგიდანაც კარგად ჩანს.

ორივე მხრიდან სადებიუტო მღელვარების შემდეგ ანგარიში სტუდენტმა დავითულიანმა გახსნა. მას ოთიურიძემაც აუბა მხარი, თუმცა „აზოტიც“ მალევე გამოერკვა და ჩამორჩენა უმალ აღმოფხვრა. ბაბიაშვილის ფარქვეშიდან ჩაგდებულებით რუსთავულმა კლუბმა ლიდერობაც იგდო ხელთ, რის შემდეგაც სტუ-ს ახლა არჩილ ჟღენტი დაატყდა რისხვად. „აზოტის“ გამთამაშებელმა ჯერ თავისივე უსწრაფესი გარღვევა დააგვირგვინა, შემდეგ სამქულიანი ჩააგდო, მომდევნო ეპიზოდში კი საჯარიმოს ხაზიდანაც ზუსტი იყო. შუალედში სტუდენტები ირაკლი ხოშტარიას მიერ ჩაგდებულ სამქულიანსღა გამორჩნენ, მაგრამ ეს მეტოქესთან წამოწევისთვის საკმარისი არ იყო და პირველი მეოთხედი „აზოტმა“ თავის სასარგებლოდ დაასრულა.

ორწუთიანი შესვენებისას შემადგენლობა ორივე გუნდმა გადაახალისა.



აზოტელები სამდივნოსაც ხშირად ეკამათებოდნენ

სტუ-ში მინაშვილი და ლოსაბერიძე გამოჩნდნენ, „აზოტში“ კი — ტურაშვილი და ჯაფარიძე. თამაში ბაბიაშვილის ეფექტური ჩატენვით განახლდა, რამაც მონერვიულე სტუდენტებს სულ მთლად თავგზა აუბნია და რუსთაველთა უპირატესობაც უფრო მეტად თვალშისაცემი გახდა.

სტუ ვერც წუთშესვენებით მოეგო გონს და ვერც შემადგენლობის ხშირი ცვლით. ჭეიშვილის სამწყსოს თამაში აშკარად არ გამოსდიოდა, „აზოტს“ კი პირიქით — ჯაფარიძისა და ჟღენტის შედეგიანი გარჯის წყალობით ტაიმის დასრულებამდე სამი წუთით ადრე ვიცე-ჩემპიონი 21 ქულითაც გაექცა მოწინააღმდეგეს.

თამაშის მსვლელობიდან გამომდინარე, სავარაუდო იყო, რომ სოლიდურად დაწინაურებული „აზოტი“ საქმეს სამომავლოდ აღარ გადადებდა და სტუ-ს საბოლოოდ გატეხდა წელში. ხმელიძის გუნდს საამისოდ ყველა წინაპირობა ჰქონდა, მაგრამ იოლი წარმატებით ფრთაშესხმულმა თავს მოდუნების უფლება მისცა. ამასობაში მისმა მეტოქემ ერთ...რად გააუმჯობესა დაცვითი თამაში, შეტევებსაც ბევრად ორგანიზებული სახე მისცა და შედეგიც მოიმკო. მართალია, ტაიმებს შორის მეტოქენი 12-ქულიანი სხვაობით დასცილდნენ ერთმანეთს, მაგრამ ცხადი იყო, რომ ადრე თუ გვიან სტუ-ც კუდს მოიქნევდა.

მესამე მეოთხედში ჭეიშვილმა მოედანზე ნაცად ხუთეულს უხმო. შედარებით ახალგაზრდა კალათბურთელთა ნაცვლად გამოცდილი კორძაძე და ჩუბინიძე დაასაქმა, რამაც სტუ-ზე დადებითად იმოქმედა. აქედან მოყოლებული, სტუდენტებმა გააზრებული კომბინაციების ხლართვას მიჰყვეს ხელი, რომლებიც კორძაძეს ლოგიკურ დაბოლოებამდე მიჰყავდა და ყოველივე შედეგსაც დაეტყო — ირაკლი ხოშტარიას ზედიზედ ორი გარღვევის შემდეგ სტუ-ს ქულაღა აშორებდა მეტოქისგან — 44:45.

იმავე ხოშტარიას ძალისხმევით მალე სტუ-მ წინ გასვლაც შეძლო, ღრმად ჩაძინებული რუსთაველები კი გამოღვიძებას მაინც არ აპირებდნენ.

ტაქტიკურად და ფსიქოლოგიურად მომსპარი „აზოტი“ ცალკეულ მოთამაშეთა ინდივიდუალური ოსტატობითღა გადიოდა ფონს. გოგობერიშვილის ზუსტი სამიანითა და ჯაფარიძის საჯარიმოებით ერთხანს „აზოტი“ კვლავ მოსწყდა მეტოქეს, მაგრამ თამაშის იშტაზე მოსულ სტუ-ს რუსთაველებთან გამკლავება უწინდელივით აღარ უჭირდა. ალეკო დავითულიანმა მესამე მეოთხედის დამთავრების მანიშნებელ სირენის თანხლებით გაუთანაბრა მოწინააღმდეგეს — 52:52.

მთავარი ამბები გადამწყვეტ ათწუთეულში მოხდა. გუნდები ფეხდაფეხ კი მიჰყვებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მოვლენების მსგავსი განვითარებით განაწყენებულ „აზოტს“ დროდადრო მღელვარება ეტყობოდა. რუსთაველებმა მასშტაბურად პირველად მაშინ გააპროტესტეს მაჩალაძეს ქმედება, როცა ამ უკანასკნელმა შეტევაში კახა შენგელია მეოთხედ დააჯარიმა. არბიტრთან ურთიერთობის გარკვევა „აზოტს“ ტექნიკურის ფასად დაუჯდა და სტუ-მ ხოშტარიას მიერ ჩაგდებული საჯარიმოებით იხეირა.

მსგავსი რამ მერეც განმეორდა. მსაჯთაგან მეხუთედ დაჯარიმებულ ნუგზარ კოკოლიშვილს თანაგუნდელთაგან ყველაზე აქტიურად ირაკლი ჯაფარიძე გამოექომაგა და ისიც ტექნიკურით დასაჯეს. გოდერძი კორძაძემ ოთხივე საჯარიმო მოათავსა და მას შემდეგ, რაც ირაკლი ხოშტარიამაც ჩააგდო, სტუ 8 ქულით დაწინაურდა.

სირენამდე წუთით ადრე, 71:68-ზე სტუდენტთა სასარგებლოდ, გიორგი მდივანმა დაცვაში საჭირო ბურთი აილო და ამით სტუ ერთ ქულას გამორჩა. „აზოტისთვის“ კრიტიკულ მომენტში რამაზ გოგობერიშვილმა სამქულიანი ჩააგდო და სხვაობა მინიმალური გახადა, მაგრამ რუსთავულმა გუნდმა პასუხად ჩუბინიძის ორქულიანი მიიღო და სამქულიანი ჩამორჩენის გასაბათილებლად ზუსტად 24 წამიღა დარჩა. მიხეილ ბერუაშვილმა მხოლოდ ქულის გაქვითვა მოახერხა, რის შემდეგაც „აზოტმა“, სხვა რომ არაფერი დარჩენოდა, იძულებითი ჯარიმა აიღო. დამთავრებამდე ათი წამით ადრე ჩუბინიძის ზუსტმა საჯარიმოებმა კი მატჩის ბედიც გადაწყვიტა — დარჩენილ დროში სტუ მეტოქისთვის მიუწვდომელი იყო...



ირაკლი ხოშტარია (ბურთით) სტუდენტთა შორის საუკეთესო იყო

### მატჩის შემდეგ

***ოთარ ხმელიძე, „აზოტის“ მთავარი მწვრთნელი:***

— დასანანი მარცხი ვიწვნიეთ. პირველ ტაიმში აშკარად დავჯაბნეთ მეტოქე და სოლიდურადაც დავწინაურდით, მაგრამ მოპოვებული უპირატესობა მეორე ნახევარში ქარს გავატანეთ, რასაც მსაჯთა შეცდომებიც დაერთო და საბოლოოდ დავმარცხდით. ყველაფრის მსაჯებზე გადაბრალება არ მსურს, მაგრამ მიმაჩნია, რომ მაჩალაძე და ბერეკაშვილი მიკერძოებულები იყვნენ.

**— ამ წაგების შემდეგ „აზოტის“ ფინალში გასვლის შანსებს როგორ შეაფასებდით?**

— დღევანდელ შეცდომებსა და მარცხის მიზეზებს საფუძვლიანად გავაანალიზებთ და მომავალი მატჩისთვის უფრო სერიოზულად მოვემზადებით. ვფიქრობ, მარცხის მიუხედავად, ფინალში მაინც „აზოტი“ ითამაშებს.

***ნუგზარ ჭეიშვილი, სტუ-ს მთავარი მწვრთნელი:***

— გამარჯვების მიუხედავად, მთლად კმაყოფილი არ ვარ. პირველ ნახევარში ჩვენი გუნდის თამაში კალათბურთის გარდა ყველაფერს ჰგავდა. „აზოტმა“ პირწმინდად გვაჯობა და სანამ წაგების რეალური საფრთხის წინაშე არ აღმოვჩნდით, ვერ მივხვდით, რომ ბრძოლა იყო საჭირო. საბედნიეროდ, ყველაფერი ჩვენს სასიკეთოდ დასრულდა.

**— მსაჯობაზე რას იტყოდით?**

— შეცდომები აშკარად იყო, თუმცა არბიტრები ორივე გუნდის საზიანოდ სცოდავდნენ და ამდენად მიკერძოებაზე ლაპარაკი არასწორად მიმაჩნია.

**— ამ გამარჯვებით თქვენს გუნდს ფინალში თამაშის კარგი შანსი მიეცა...**

— ვფიქრობ, გადაწყვეტილი არაფერია. მართალია, სერიაში დავწინაურდით, მაგრამ ჯერ ყველაფერი წინაა. „აზოტს“ პლეი ოფში თამაშის დიდი გამოცდილება აქვს და ყველაფერს ილონებს, რათა ფინალში მოხვდეს, თუმცა ჩვენი სურვილიც ესაა, ასე რომ, არაფრის დათმობას არ ვაპირებთ.

**ირაკლი პერტაია**

## სუპროლიგა

მეოთხედფინალი (ორ მოგებამდე).

გადამწყვეტი მატჩი. 26 აპრილი

**ეფესი 82:59 სპლიტი**

**ეფესი:** არსლანი, ბეშოქი (6), ბიბო, დრობნიაკი (17), მულაომეროვიჩი (20), ოქური (18), ონანი (6), პე[illegible] (1), შჩეპანოვიჩი (11), თუნჩერი (3), ილმაზი

**სპლიტი:** ბადჟიჩი (7), გრეგოვი (13), გრგურევიჩი (6), ლენდი (8), პაშალიჩი (4), პოლიაკი (3), რეწერი (5), სუბოტიჩი, ტომელიაკი, უკიჩი (2), ვუიჩიჩი (7), ჟიჟიჩი (4)

**ოთხთა ფინალი**

**პარიზი (საფრანგეთი). 11-13 მაისი**

ნახევარფინალი

**მაკაბი — ცსკა**

**პანათინაიკოსი — ეფესი**

### ესპანეთი

XXX ტური

ხიხონი — ბარსელონა 72:99, ფუენლაბრადა — პამესა 85:83, კასერესი — ხირონა 93:66, ხუვენტუდი — ორენსე 77:87, კახა სან ფერნანდო — ფორუმი 77:81, რეალი — ესტუდიანტესი 86:72, კანტაბრია — ბრეოგანი 65:76, უნიკახა — კოსტაბლანკა 86:70, კანარიასი — ტაუ 69:85

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 30 | 25 | 5 | 2668:2303 | 55 |
| რეალი | 30 | 25 | 5 | 2452:2183 | 55 |
| ტაუ | 30 | 24 | 6 | 2554:2158 | 54 |
| უნიკახა | 30 | 24 | 6 | 2551:2292 | 54 |
| პამესა | 30 | 19 | 11 | 2448:2314 | 49 |
| ფუენლაბრადა | 30 | 18 | 12 | 2411:2334 | 48 |
| ესტუდიანტესი | 30 | 17 | 13 | 2449:2435 | 47 |
| ფორუმი | 30 | 15 | 15 | 2368:2358 | 45 |
| ხირონა | 30 | 14 | 16 | 2382:2428 | 44 |
| კასერესი | 30 | 13 | 17 | 2325:2394 | 43 |
| სან ფერნანდო | 30 | 12 | 18 | 2302:2344 | 42 |
| ბრეოგანი | 30 | 11 | 19 | 2349:2413 | 41 |
| კანარიასი | 30 | 11 | 19 | 2286:2476 | 41 |
| ხუვენტუდი | 30 | 10 | 20 | 2388:2490 | 40 |
| ხიხონი | 30 | 9 | 21 | 2296:2477 | 39 |
| კანტაბრია | 30 | 9 | 21 | 2219:2573 | 39 |
| კოსტაბლანკა | 30 | 7 | 23 | 2229:2519 | 37 |
| ორენსე | 30 | 7 | 23 | 2287:2512 | 37 |

### სლოვენია

I-VI ადგილები. XXX ტური

ოლიმპია — პივოვარნა 98:69, როგლა — კრკა 116:101

**კრაშკი ზიდარი 75:77 სლოვანი**

**კრაშკი ზიდარი:** მუგოშა (9), ლიკარი (5), დ. პეტროვიჩი (14), პირცი (2), ვ. პეტროვიჩი (19), სპაპიჩი (2), რაზიჩი (7), შუშიჩი (17)

**სლოვანი:** ნოვაკი (15), ლაკოვიჩი (11), ჟაკელი, გრბეშიჩი (6), უზრიეხელიძე (9 წუთი, 2 ქულა, 3 მოხსნა), ჯურკოვიჩი (1), კოვაჩი (2), პავიჩი (19), ბოისა (27 წუთი, 5 ქულა, 4 მოხსნა, 2 ჩაჭრა), კოკალი (11), ცძიტიშვილი (19 წუთი, 5 ქულა, 7 მოხსნა)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპია | 30 | 28 | 2 | 2895:2006 | 58 |
| კრკა | 30 | 26 | 4 | 2725:2334 | 56 |
| პივოვარნა | 30 | 19 | 11 | 2660:2590 | 49 |
| სლოვანი | 30 | 18 | 12 | 2497:2418 | 48 |
| როგლა | 30 | 13 | 17 | 2529:2718 | 43 |
| კრაშკი ზიდარი | 30 | 12 | 18 | 2254:2512 | 42 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**NBA.** პლეი ოფი. პირველი წრე (სამ მოგებამდე)

# ნიუიორკელები, ებრაელები და სექსუალური მოძალადე




**ლეიკერსი — პორტლენდი. როდ სტრიკლენდი (№1) და დეიმონ სტუდემაიერი ლეიკერსელ შაკილ ონილს წინ ვერ აღუდგნენ**

### აღმოსავლეთი

26 აპრილი

| | |
|---|---|
| ნიუ იორკი | 1 |
| ტორონტო | 1 |

**ნიუ იორკი 74:94 ტორონტო**

**ნიუ იორკი: ტომასი (23 ქულა, 12 მოხსნა), ჰიუსტონი (14), რაისი (12)**

**ტორონტო: ვილიამსი (23), კარტერი (22), დევისი (15 ქულა, 12 მოხსნა), ოკლი (12 ქულა, 10 მოხსნა)**

„ნიუ იორკ ნიქსმა" ცხელი დღეები გადაიტანა და საერთოდ თუ არა, ნაწილობრივ მაინც ამის გამოც ტორონტოელ „დინოზავრებს" შინ ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ნიუიორკელთა სათადარიგო გამთამაშებელ ჩარლი ვორდს ამ ორიოდ დღის წინ ინტერვიუში ებრაელებზე აუგი დასცდენია და სრულიად შტატების ებრაელობა თავს რისხვად დასტყდომია. ვორდს თვით ნბა-ს კომისარი, მრისხანე დევიდ შტერნი ამხედრებია, რომელსაც ებრაული ფესვები აქვს, ამიტომ კალათბურთელი იძულებული გამხდარა, სახალხოდ ბოდიში მოეხადა.

ეს კიდევ არაფერი, „ნიქსის" ძირითად ცენტრსა და ფარქვეშეთში გუნდის ინტერესების მთავარ დამცველს, მარკუს კემბის საშინელი ამბავი შეემთხვა, უფრო ზუსტად, მის უმცროს დას. მარკუსს ორი და ჰყავს, რომლებიც დედის სახლში ცხოვრობენ ნიუ იორკის შორიახლოს, კონექტიკუტის შტატში. ორშაბათს, დაახლოებით ღამის სამ საათზე, მათ შინ ვიღაც გადარეული შევარდნია და ერთ-ერთი დის გაუპატიურება დაუპირებია. ხმაურზე გამოღვიძებულ მეორე დას სასწრაფოდ პოლიციაში დაურეკავს, მაგრამ სამართალდამცავებს სამზარეულოს ვეება დანით შეიარაღებული მოძალადის შიშით სახლში შესვლა დილამდე ვერ გაუბედავთ. თავდამსხმელი, ვინმე ტროი კრომსი, მოგვიანებით მისულ კემბის ცოტა ხნით ფანჯრიდან გამოლაპარაკებია, თუმც რაზე, არავინ იცის. კემბი არაფერს ამბობს, სამართალდამცავთა ვარაუდით კი, ბოროტმოქმედი „ტორონტოს" ქომაგი უნდა ყოფილიყო და კემბის ალბათ მოსთხოვა, 26 აპრილს არ ითამაშოო. მაინცდამაინც კემბის იმიტომ, რომ იგი „ნიუ იორკში" სწორედ „ტორონტოდან" გადავიდა.

„მე პროფესიონალი ვარ და ხუთშაბათს აუცილებლად გავალ მოედანზე — უთქვამს კემბის შეხვედრის წინადღეს. მან ითამაშა კიდეც, მაგრამ ვაი, ასეთ თამაშს — სულ ორი ქულა და ამდენივე მოხსნა გააკეთა, თუმც მასზე აუგი არავის დასცდენია. „ჩვენ ვიცით, რომ მარკუსს თამაშისთვის არ სცხელა. მან ისეთი დღეები გადაიტანა, მტერსაც არ ვუსურვებთ. ყველანი გვერდში დავუდგებით და შევეცდებით, მის გამო შეხვედრა მოვიგოთ" — უთქვამს მატჩამდე „ნიქსის" გამთამაშებელ მარკ ჯექსონს. ძნელი სათქმელია, კემბის ოჯახის თავს დატრიალებულმა ამბავმა მთელი გუნდი აალელვა თუ არა, მაგრამ ფაქტია, „ნიქსი" კარგა ხანია, მოედანზე ასე ყურადღებადაფანტული არ გასულა. შეხვედრაც სავსებით ლოგიკურად დასრულდა.

თუმც ყოველივე ეს არანაირად არ აკნინებს ტორონტოელთა სახელოვან საპლეიოფო გამარჯვებას, რომელიც საერთოდ პირველია კლუბის ისტორიაში. „რეპტორზი" პირველად შარშან მოხვდა პლეი ოფში. მაშინაც „ნიუ იორკს" ერგო და 0:3 განადგურდა სერიაში, ახლა კი პირველი გამარჯვებაც გამოცხვა. ტორონტოელთა ლიდერმა, ოქრობიჭმა ვინს კარტერმა პლეი ოფში თავისი მეხუთე და საუკეთესო შეხვედრა ითამაშა, 22 ქულაც მოიხვეჭა და ნიუიორკელთა მრისხანე ფრთა ლატრელ სპრიუელი ექვს ქულას დააჯერა. ნურც კანადური გუნდის ბებერ თავკაცს, ლენი ვილკენსს დავუკარგავთ ღვაწლს, რომელსაც ნბა-ს ისტორიაში ყველაზე მეტი თამაში მოუგია. საქმისადმი კონსერვატორული მიდგომით ცნობილმა 63 წლის ვილკენსმა გარისკა და სიბერის ჟამს ექსპერიმენტებს მიმართა. მან სასტარტო ხუთეულში ფრთა მორის პეტერსონის ნაცვლად გამთამაშებელი კრის ჩაილდსი შეიყვანა, რომელიც ამ სეზონში სწორედ „ნიქსიდან გადაიყვანეს. ჩაილდსმა, რომელიც მეტოქის სამზარეულოს კარგად იცნობს, მნიშვნელოვანი წილი დაიდო სტუმართა გამარჯვებაში. მისი პასები მსროლელებმა — კარტერმა და ელვინ ვილიამსმა ტკბილად შეირგეს და „ნიუ იორკის" დაცვა ააწიოკეს. მასპინძლები მხოლოდ პირველ ტაიმში უწევდნენ წინააღმდეგობას სტუმრებს, მეორე ნახევარი კი ერთბაშად 16 ქულით დათმეს და მეტოქეს სერიაში ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცეს.

„ტორონტომ" მეტოქეს მოედნის უპირატესობა წაართვა და ახლა მომდევნო ორ შეხვედრაში თავად უმასპინძლებს.

### დასავლეთი

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 2 |
| პორტლენდი | 0 |

**ლეიკერსი 106:88 პორტლენდი**

**ლეიკერსი: ონილი (32 ქულა, 12 მოხსნა), ბრაიანტი (25), ფოქსი (19 ქულა, 8 მოხსნა, 6 პასი, 5 ჩაჭრა)**

**პორტლენდი: პიპენი (21 ქულა, 8 მოხსნა, 4 ჩაჭრა), ვოლესი (17), სმიტი (16)**

ამ ორი გიგანტის პირველ ორ მატჩს შორის არაერთხელ გაიჟღერა „პორტლენდის" კალათბურთელთა ჩივილმა, შაკილ ონილი ტანკივითაა, თავის გზაზე ყველაფერს თელავს და სახე და გვერდები დაგვიბეჟა მსაჯები კი ბრმები არიან, არაფრის დანახვა არ სურთ და აშკარა ჯარიმებს არ უსტვენენო. პორტლენდელები თავად შაკმა შეარცხვინა ფიცხელი პასუხით, ეგენი მარტო ტირიან და წუწუნებენ, უჯობთ, კაცურად მეთამაშონო.

„პორტლენდმაც" სცადა, კაცური კალათბურთი დაეპირისპირებინა 145-კილოგრამიანი გოლიათისთვის, ქარივით მოუხელთებელი კობი ბრაიანტისა და კომპანიისთვის, მაგრამ მხოლოდ მცირე ხნით, შემდეგ კი, რომ ვერას გახდნენ, სტუმრებმა ძველებურად გაუტიეს და საკუთარი უილაჯობით გაგულისებულებმა მსაჯებს ბევრი დასტყუეს. მეოთხე მეოთხედი ხეირიანად არც დაწყებულიყო, სტუმართა მსროლელს, სიდნეის ოლიმპიადის გვირგვინოსან სტივ სმიტს შაკის მიერ გაკრული იდაყვი ეშწარა, ონილისთვის ხურდის დაბრუნება მოინდომა და შაკზე დასარტყმელადაც გაიწია. ბეწვზე გადარჩა, გააშველეს, თორემ კარგი დღე არ დაადგებოდა, შაკი ჩხუბს თავს არასდროს არიდებს, მისი ხელი კი მტერს მოხვდა. მსაჯებმა ორივეს ტექნიკური მისცეს, თუმც უხეშობები ამით არ დამთავრებულა, ტექნიკური კიდევ სამმა სტუმარმა — პიპენმა, სტუდემაიერმა და ვოლესმაც დაიმსახურა. რაშიდ ვოლესმა, ტექნიკურებში ყველა დროის რეკორდსმენმა, პირველის შემდეგ მეორეც მიიღო და სულაც გავარდა თამაშიდან, თუმც მისი მოედანზე ყოფნა უკვე არაფერს წყვეტდა. ბოლო მეოთხედში გუნდები ვალის მოხდის მიზნით თუ ირჯებოდნენ, „ლეიკერსმა" მანამდე გატეხა მეტოქე.

წლევანდელი „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი" იმ „პორტლენდის" აჩრდილიღაა, რომელიც შარშან დასავლეთ კონფერენციის ფინალში მომავალ ჩემპიონ „ლეიკერსს" სისხლს უშრობდა. მაშინ სერიის გადამწყვეტი, მეშვიდე შეხვედრის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე „ბლეიზერსი" 15 ქულას იგებდა, მაგრამ რაღაც სასწაულით ეს უზარმაზარი უპირატესობა ქარს გაატანა და ფინალის საგზური მეტოქეს გადაულოცა. წლეულს კი „ლეიკერსი", როგორც ჩანს, ერთი ხელის მოსმით ჩამოიცილებს ვითომცდა ღონიერ მეტოქეს. „პორტლენდში" ბევრი ვარსკვლავია თავმოყრილი, მაგრამ იმ დღეს ყველა ერთს შესცქეროდა ხელებში. მოხუცი სკოტი პიპენი პლეი ოფებში თავის მე-200 მატჩს ატარებდა, რაშიც მხოლოდ ქარიმ აბდულ-ჯაბარს ჩამორჩება და სურდა, რაც შეიძლება კარგად ეთამაშა. მან პირველ შვიდ წუთში ცხრა ქულა ჩააგდო, პირველ ტაიმში — 15. მისი წყალობით „პორტლენდმა" საწყისი მეოთხედი 29:25 მოიგო, მაგრამ პირველი ნახევრის ბოლოს 36 წელს მიტანებულ პიპენს დაღლა დაეტყო და რადგან თანაგუნდელებიც ცუდად ეხმარებოდნენ, „ლეიკერსი" უცებ გაიჭრა წინ. ტაიმი მასპინძლებმა 55:46 მოიგეს, ხოლო მესამე მეოთხედის შემდეგ მეტოქე 15 ქულითაც ჩამოიტოვეს. ეს უკვე გამარჯვებას ნიშნავდა.

ჩემპიონი „ლეიკერსი" სერიაში 2:0 დაწინაურდა. მომდევნო ორ (თუ მეორე საჭირო გახდა) მატჩს პორტლენდი უმასპინძლებს.

**ირაკლი ფირცხალავა**

ევროპის ქალთა ჩემპიონატი. (ვარშავა)

# ქართველი პირველ ტრიოში

**ევროპის** საჭადრაკო კავშირის მეცადინეობით კონტინენტის ქალთა ჩემპიონატი ტრადიციული შეჯიბრი გახდა. ლენტი ბათუმში გადაიჭრა, წლეულს კი ესტაფეტა ვარშავამ ჩაიბარა. იქ 157 მანდილოსანი თამაშობს. ყველაზე დიდი ლეგიონი რუსებს ჰყავთ (30 მოჭადრაკე), მაგრამ არც ქართველები არიან თითებზე ჩამოსათვლელად. ჩვენი 11 მანდილოსანი იცავს ქვეყნის ღირსებას ნონა გაფრინდაშვილის ხელმძღვანელობით. მსოფლიოს ექსჩემპიონი საცაა 60-ის შესრულდება, მაგრამ ვარშავაში ახალგაზრდულად იბრძვის. პირველი ორი ყაიმის შემდეგ გაფრინდაშვილმა მოიგო, წააგო და ისევ მოიგო. ბოლოს ქართველი უკრაინელ ტატიანა ბაკლანოვას მოერია. მეხუთე ტურის ამბავია ეს და იმავე ტურში გაირკვა, რომ იტალიელი ელენა სედინას მარტო ლიდერობა წამიერი ამბავი ყოფილა. სედინამ მაქსიმუმით სვლა მოლდაველ ალმირა სკრიპჩენკო-ლოტიესთან გაწყვიტა, რომელსაც ყაიმზე შეუთანხმდა. ამასობაში თავიანთი პარტიები მოიგეს უკრაინელმა ინა გაპონენკომ (ინგლისელ ჰარიეტ ჰანტთან შავებით) და რაც სასიამოვნოა, ქეთევან არახამია-გრანტმა, რომელმაც რუსი ალექსანდრა კოსტენიუკი დაჩაგრა. შედეგად მოწინავე ჯგუფი გასამდა, ხოლო მდევარი ჯგუფი ისევ დიდია, 10 მოჭადრაკისგან შედგება.

ნინო ხურციძემ მე-5 ტურში ნახევარი ქულა გამოიმუშავა და ახლა 3,5 აქვს, რაც არახამიას მარაგზე ქულით ნაკლებია, ხოლო დანარჩენმა ქართველებმა ამჯერადაც ზომიერად ითამაშეს, არ ჩავარდნილან და ვარსკვლავები არ მოუწყვეტიათ. ჩვენების თამაშის ერთიანი სურათი ასეთია: ოთხმა მოიგო, ოთხმა ზავი მოახერხა, სამმა წააგო, მათ შორის სოფო ხუხაშვილმა ქართულ დერბიში გერმანიის სახელით მოთამაშე ქეთევან კახიანი-გერშინსკასთან.

ევროპის ჩემპიონმა ნატალია ჟუკოვამ თეთრებით ვერაფერი მოუხერხა პოლონელ ივეტა რაძიევიჩს და 3,5 ქულით ცხრილში შეუფერებელ ადგილზეა. იგივე და მეტი ითქმის ალისა გალიამოვაზე, რომელსაც ნახევარი ქულით ნაკლები აქვს. მეხუთე ტურმა ფავორიტებიდან მხოლოდ ეკატერინა კოვალევსკაია გაახარა, რომელსაც სომეხი ელინა დანიელიანის დამარცხებით 4 ქულა დაუგროვდა, რაც სათავესთან მჭიდრო სიახლოვეს ნიშნავს. დარჩენილ 6 ტურში კვლავ მძიმე პარტიები იქნება, რადგან ბრძოლა მიდის, ჯერ ერთი, მსოფლიოს ჩემპიონატზე გამსვლელი 29 ადგილისთვის და მეორეც, 50 ათასი გერმანული მარკის გასანაწილებლად, რაც ჩემპიონატის საპრიზო ფონდია. გამარჯვებულს 10 ათასი მარკა ერგება, დანარჩენებს კი 19 მოჭადრაკე შედეგის პროპორციულად მიიღებს.

კიდევ პარტიების რეგლამენტია საყურადღებო: მხოლოდ საათი და 15 წუთი საკონტროლო 40 სვლისთვის და შემდეგ 15 წუთი პარტიის დასამთავრებლად სვლაზე 30 წამის დამატებით. ზოგიერთის აზრით, დროის შეზღუდვა ფრიადია და მოჭადრაკეთა უკმაყოფილებას იწვევს, მაგრამ ფიდე განაგრძობს თავის პოლიტიკას, დროის შემცირებით ჭადრაკისთვის შოუს ელფერის შეძენას ცდილობს. ამავე მიზნით დადგინდა, რომ თანაბარი ქულების პატრონებმა კოეფიციენტებით კი არა, 15-წუთიანი ბლიცებით გაარკვიონ უკეთესი. თუ ამან არ იკმარა, ერთი პარტიაც დაინიშნება, თეთრებს 5 წუთი ექნებათ ფიქრისთვის, შავებს — 4, ოღონდ ყაიმი უკანასკნელებს ჩაეთვლებათ გამარჯვებად.

დოს ერმანასის ტურნირი

# აზმაიფარაშვილი ისევ კვალს მისდევს

**ბოლოსწინა** ტურმა დოს ერმანასში ვერაფერი გაარკვია. მხოლოდ ერთი პარტია იყო შედეგიანი და ისიც აუტსაიდერმა ივან სოკოლოვმა მოიგო, რომელმაც თავისზე წყალწაღებული მიხაილ კრასენკოვი დაამარცხა. ზურაბ აზმაიფარაშვილი თეთრებით 14 წლის აზერბაიჯანელ ტალანტს, თეიმურ რაჯაბოვს ხვდებოდა და ამაოდ სცადა მოგება.

პარტიამ პოზიციურ გარემოში ჩაიარა. ორივე მხარემ კარგად გაანაწილა ფიგურები დაფაზე, აზმაიფარაშვილს იერიში არც დაუწყია, ლაზიერები ისე გაცვალა მე-16 სვლაზე. ამის შემდეგ თეთრებმა მცირე უპირატესობა მიიღეს მეფის ფრთაზე ზედმეტი პაიკის წყალობით და ცენტრიდან შეტევა სცადეს. ამ მიზნით აზმაიფარაშვილმა E ვერტიკალზე ეტლები დააყენა, მაგრამ ზუსტად ისევე მოიქცა რაჯაბოვიც. მერე იყო ერთი პატარა ჩხუბი ცენტრში და ზედიზედ დაილუპნენ შავ-თეთრი ეტლები და თითოც მსუბუქი ფიგურა. გამოვიდა მრავალპაიკიანი ენდშპილი: თეთრი კუ შავი მხედრის წინააღმდეგ, რაც ასევე აზმაიფარაშვილის უპირატესობას ნიშნავდა, მაგრამ აშკარად ყაიმზე მოთამაშე რაჯაბოვმა მეფის ფრთა საიმედოდ დაგმანა და ქართველის მეფემ ლაზიერის ფრთას მიაშურა საკბილოსთვის. არაფერი გამოვიდა, აზმაიფარაშვილმა ხაზი კი გახსნა, მაგრამ სად იყო ეტლი? როცა ლაზიერის ფრთაზეც პაიკები ერთმანეთში აიხლართნენ და საძრავი წაერთვათ, ყაიმი გაფორმდა. თან ამ დროისთვის მსუბუქი ფიგურების ბოლო წყვილიც გასცლოდა დაფას.

აზმაიფარაშვილი ისევ ნახევარი ქულით ჩამორჩება ლიდერთა სამეულს.

**დავით გულუა**

| ვითარება 8 ტურის შემდეგ |
|---|
| 1-3. სმირინი, ილესკასი, დრეევი 5; 4-5. აზმაიფარაშვილი, ალმაში 4,5; 6-7. ვალეხო, გურევიჩი 4; 8-9. სოკოლოვი, რაჯაბოვი 3,5; 10. კრასენკოვი 1. |




**ნორჩმა თეიმურ რაჯაბოვმა ზურაბ აზმაიფარაშვილის შეტევებს გაუძლო**

სარბიელი

# სპორტული ლატარია კროკო

## გერმანია. ბუნდესლიგა. 31-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **28 აპრილი** | | | |
| 18.30 | 002 | კაიზერსლაუტ.-ლევერკუზენი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 18.30 | 003 | ბაიერნი-ფრაიბურგი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 18.30 | 004 | შტუტგარტი-ვერდერი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 18.30 | 005 | კიოლნი-კოტბუსი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 18.30 | 006 | ჰერტა-აინტრახტი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 23.15 | 007 | ბოხუმი-შალკე | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 20.30 | 008 | უნტერჰახინგი-მიუნხენი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 20.30 | 009 | ჰამბურგი-ჰანზა | 1,75 | 3,1 | 4,2 |

## გერმანია. II ბუნდესლიგა. 31-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **28 აპრილი** | | | |
| 18.00 | 012 | ქემნიცი-კიკერსი | 3,6 | 3,4 | 1,7 |
| 18.00 | 013 | მაინცი-სტ.პაული | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 18.00 | 014 | ობერჰაუზენი-ნიურნბერგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 015 | ზაარბრიუკენი-როიტლინგენი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 18.00 | 016 | ოსნაბრიუკი-ვალდჰოფი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 18.00 | 017 | ულმი-ალენი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| | | **30 აპრილი** | | | |
| 23.15 | 018 | ფიურტი-დუისბურგი | 1,75 | 3,1 | 4,2 |

## ინგლისი. პრემიერლიგა. 36-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **28 აპრილი** | | | |
| 16.00 | 019 | ლიდსი-ჩელსი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 19.00 | 020 | ქოვენტრი-ლივერპული | 3,4 | 3,4 | 1,85 |
| 19.00 | 021 | დერბი-არსენალი | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| 19.00 | 022 | ევერტონი-ბრედფორდი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 023 | სიტი-ვესტ ჰემი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 024 | მიდლსბრო-მანჩესტერი | 3,4 | 3,2 | 1,95 |
| 19.00 | 025 | ნიუკასლი-ლესტერი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 026 | საუთჰემპტონი-სანდერლენდი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 027 | ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| | | **30 აპრილი** | | | |
| 24.00 | 028 | ჩარლტონი-იფსვიჩი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

## ინგლისი. I დივიზიონი. 45-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **28 აპრილი** | | | |
| 19.00 | 029 | ბირმინგემი-გრიმსბი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 19.00 | 030 | ქრიუ-პრესტონი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 031 | კრისტალ პალასი-ვულვერჰემპტონი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 032 | ფულემი-უიმბლდონი | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| 19.00 | 033 | ნორვიჩი-უესხდი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 034 | ნოტინგემი-ჯილინგემი | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 19.00 | 035 | ქუინზ პარკი-სტოკპორტი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 036 | შეფილდი-ბარნლი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 19.00 | 037 | უოტფორდი-ტრანმერი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 19.00 | 038 | ვესტ ბრომვიჩი-ჰადერსფილდი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 22.00 | 039 | ბარნსლი-ბოლტონი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 20.00 | 040 | ბლექბერნი-პორტსმუთი | 1,4 | 3,8 | 7,0 |

## ინგლისი. II დივიზიონი. 45-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **28 აპრილი** | | | |
| 19.00 | 041 | ბორნმუთი-ნორთჰემპტონი | 1,45 | 3,8 | 6,0 |
| 19.00 | 042 | ბრისტოლი-ლუტონი | 1,45 | 3,8 | 6,0 |
| 19.00 | 043 | ბერი-უიკომბი | 1,95 | 3,3 | 3,3 |
| 19.00 | 044 | კემბრიჯი-უიგანი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 19.00 | 045 | კოლჩესტერი-რედინგი | 3,3 | 3,3 | 1,95 |
| 19.00 | 046 | ოლდემი-სტოკი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 047 | ოქსფორდი-სუონსი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 19.00 | 048 | პორტ ვეილი-ნოტსი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 049 | როტერჰემი-ბრენტფორდი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 19.00 | 050 | სუინდონი-პიტერბრო | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 051 | უოლსოლი-როვერსი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 052 | რექსემი-მილუოლი | 3,3 | 3,2 | 2,0 |

## ინგლისი. III დივიზიონი. 45-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **28 აპრილი** | | | |
| 19.00 | 053 | ბლეკპული-ბარნეტი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 19.00 | 054 | ბრაიტონი-მაკლსფილდი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 19.00 | 055 | კარდიფი-შრიუსბერი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 19.00 | 056 | ჰალიფაქსი-დარლინგტონი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 057 | ჰალი-ჩესტერფილდი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 058 | კიდერმინსტერი-ჰარტლპული | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 059 | ლეიტონი-ჩელტენემი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 19.00 | 060 | ლინკოლნი-პლიმუთი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 061 | როჩდეილი-მენსფილდი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 19.00 | 062 | სკანთორპი-ექსეტერი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 19.00 | 063 | საუთენდი-კარლაილი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 19.00 | 064 | ტორკი-იორკი | 1,95 | 3,2 | 3,4 |

## საფრანგეთი. I დივიზიონი. 32-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **28 აპრილი** | | | |
| 20.15 | 065 | მეცი-მარსელი | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 23.00 | 066 | სედანი-ტულუზი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.00 | 067 | პსჟ-მონაკო | 1,95 | 3,0 | 3,6 |
| 23.00 | 068 | ლილი-ლიონი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.00 | 069 | სენტ ეტიენი-ლანსი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 23.00 | 070 | ბასტია-გენგამი | 1,95 | 3,0 | 3,6 |
| 23.00 | 071 | რენი-ბორდო | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 072 | სტრასბური-ოსერი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 21.00 | 073 | ტრუა-ნანტი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

## საფრანგეთი. II დივიზიონი. 36-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **28 აპრილი** | | | |
| 23.00 | 075 | ლორიანი-ვასკეალი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 23.00 | 076 | მარტიგი-ნიორი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 23.00 | 077 | ანჟე-ნიმი | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| 23.00 | 078 | სოშო-ნიცა | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| 23.00 | 079 | გენიონი-ნანსი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 23.00 | 080 | ლე ავრი-ლავალი | 2,0 | 2,8 | 3,8 |
| 23.00 | 081 | ლე მანი-კაენი | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| 23.00 | 082 | კანი-ბოვე | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.00 | 083 | შატორუ-აიაჩო | 1,65 | 3,1 | 5,3 |

## იტალია. სერია A. 28-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **28 აპრილი** | | | |
| 18.00 | 084 | ვიჩენცა-პარმა | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 23.30 | 085 | რეჯინა-ნაპოლი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 18.00 | 086 | ატალანტა-ბოლონია | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 18.00 | 087 | ბარი-პერუჯა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 088 | ბრეშა-ინტერი | 2,9 | 2,8 | 2,4 |
| 18.00 | 089 | ფიორენტინა-უდინეზე | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 18.00 | 090 | იუვენტუსი-ლეჩე | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 091 | იუვენტუსი-ლეჩე 0:1 | 1,6 | 3,1 | 3,5 |
| 18.00 | 092 | მილანი-ვერონა | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 093 | მილანი-ვერონა 0:1 | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 23.30 | 094 | რომა-ლაციო | 2,4 | 3,0 | 2,7 |

## იტალია. სერია B. 33-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **29 აპრილი** | | | |
| 18.00 | 096 | კიევო-კოზენცა | 1,7 | 2,7 | 5,6 |
| 18.00 | 097 | კროტონე-ჩიტადელა | 1,8 | 2,8 | 4,7 |
| 18.00 | 098 | ჯენოა-პისტოიეზე | 1,75 | 2,6 | 5,6 |
| 18.00 | 099 | პიაჩენცა-ვენეცია | 2,1 | 2,4 | 4,4 |
| 18.00 | 100 | რავენა-ტორინო | 4,0 | 2,7 | 1,9 |
| 18.00 | 101 | სალერნიტანა-პესკარა | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 18.00 | 102 | ტერნანა-ანკონა | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 18.00 | 103 | ტრევიზო-მონცა | 1,75 | 2,8 | 5,0 |
| | | **30 აპრილი** | | | |
| 23.45 | 104 | სიენა-სამპდორია | 3,0 | 2,5 | 2,5 |

## იტალია. სერია C1/a. 32-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **29 აპრილი** | | | |
| 19.00 | 105 | არეცო-ლეკო | 1,55 | 3,1 | 7,0 |
| 19.00 | 106 | კარარეზე-პიზა | 2,1 | 2,5 | 4,0 |
| 19.00 | 107 | კომო-ალბინოლეფე | 1,45 | 3,2 | 9,0 |
| 19.00 | 108 | ლივორნო-ჩეზენა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 19.00 | 109 | ლუკეზე-სპეცია | 2,6 | 2,6 | 2,8 |
| 19.00 | 110 | მოდენა-ალესანდრია | 1,3 | 3,8 | 9,0 |
| 19.00 | 111 | რეჯანა-ალძანო | 2,0 | 2,6 | 4,2 |
| 19.00 | 112 | სპალ-ბრეშელო | 1,75 | 2,8 | 5,0 |
| 19.00 | 113 | ვარეზე-ლუმეცანე | 2,4 | 2,5 | 3,2 |

## იტალია. სერია C1/b. 32-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **29 აპრილი** | | | |
| 19.00 | 114 | აველინო-ჯულიანოვა | 1,55 | 3,0 | 7,5 |
| 19.00 | 115 | ბენევენტო-ვიტერბეზე | 1,85 | 2,7 | 4,4 |
| 19.00 | 116 | კატანია-ნოჩერინა | 1,55 | 2,8 | 6,0 |
| 19.00 | 117 | ფერმანა-დი სანგრო | 2,1 | 2,6 | 3,8 |
| 19.00 | 118 | ლოდიჯანი-ატლეტიკო | 1,75 | 2,9 | 4,4 |
| 19.00 | 119 | აკილა-მესინა | 2,6 | 2,7 | 2,7 |
| 19.00 | 120 | პალერმო-ფ.ანდრია | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 19.00 | 121 | ტორესი-პეზარო | 1,55 | 3,1 | 7,0 |
| 19.00 | 122 | სავოია-ასკოლი | 2,1 | 2,5 | 4,0 |

## ესპანეთი. I დივიზიონი. 32-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **28 აპრილი** | | | |
| 24.00 | 123 | ვალენსია-ვალიადოლიდი | 1,4 | 3,6 | 7,5 |
| 24.00 | 124 | რეალი-ოსასუნა | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 21.00 | 129 | მალიორკა-სარაგოსა | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 21.00 | 125 | მალაგა-ოვიედო | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 21.00 | 126 | ბილბაო-ალავესი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 21.00 | 127 | რასინგი-რაიო ვალეკანო | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 21.00 | 128 | დეპორტივო-ესპანიოლი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 21.00 | 130 | ნუმანსია-ვილიარეალი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 22.00 | 131 | ლას პალმასი-სოსიედადი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 23.00 | 132 | ბარსელონა-სელტა | 1,5 | 3,5 | 6,0 |

## ესპანეთი. II დივიზიონი. 35-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **28 აპრილი** | | | |
| 21.00 | 133 | ატლეტიკო-მურსია | 1,4 | 3,6 | 7,5 |
| 21.00 | 134 | ბეტისი-ლეიდა | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 21.00 | 135 | კომპოსტელა-ლეგანესი | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| 22.00 | 136 | ბადახოსი-სალამანკა | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 15.00 | 137 | უელვა-სპორტინგი | 1,8 | 2,8 | 4,7 |
| 16.00 | 138 | უნივერსიდადი-ესტრემადურა | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 21.00 | 139 | ელჩე-ტენერიფე | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 21.00 | 140 | კორდობა-ეიბარი | 1,85 | 2,8 | 4,4 |
| 21.00 | 141 | ფეროლი-სევილია | 3,2 | 2,9 | 2,2 |
| 21.00 | 142 | ხაენი-ალბასეტე | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 21.00 | 143 | ლევანტე-ხეტაფე | 1,7 | 3,0 | 5,0 |

## პორტუგალია. I ლიგა. 30-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **28 აპრილი** | | | |
| 01.30 | 144 | გიმარაეში-ბელენენსეში | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 01.30 | 145 | ალვერკა-ბოავიშ | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 20.00 | 146 | მარიტიმუ-კამპომაიორენსე | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 20.00 | 147 | ფარენსე-ფერეირა | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 20.00 | 148 | ჟილ ვისენტე-ამადორა | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 20.00 | 149 | სალგეირუში-ლეირია | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 20.00 | 150 | ავეში-ბეირა მარი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 23.00 | 151 | პორტუ-ბრაგა | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 01.30 | 152 | სპორტინგი-ბენფიკა | 2,0 | 3,0 | 3,5 |

## პორტუგალია. II ლიგა. 30-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **29 აპრილი** | | | |
| 20.00 | 153 | ოვარენსე-ფელგეირაში | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 20.00 | 154 | ლეცა-ნასიონალი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 20.00 | 155 | იმორტალი-სანტა კლარა | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 20.00 | 156 | ვარზიმი-რიუ ავე | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 20.00 | 157 | ფრეამუნდე-შავეში | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 20.00 | 158 | აკადემიკა-მაია | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 20.00 | 159 | ლამაში-ნავალი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 20.00 | 160 | მარკუ-ესპინიუ | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 20.00 | 161 | პენაფიელი-სეტუბალი | 1,9 | 3,1 | 3,6 |

## ჰოლანდია. I დივიზიონი. 30-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **28 აპრილი** | | | |
| 22.30 | 164 | ტვენტე-ალკმაარი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 22.30 | 165 | ტილბურგი-პსვ | 3,8 | 3,2 | 1,9 |
| 22.30 | 166 | სიტარდი-გრონინგენი | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 23.00 | 167 | ვიტესი-გრააფსხაპი | 1,45 | 3,6 | 6,0 |
| 23.00 | 168 | სპარტა-ჰერენვენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 17.30 | 169 | ნაიმეგენი-ვალვაიკი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 17.30 | 170 | როზენდალი-უტრეხტი | 3,6 | 3,4 | 1,75 |
| 20.15 | 171 | როდა-ფეიენოორდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

## ჰოლანდია. II დივიზიონი. 30-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **28 აპრილი** | | | |
| 19.00 | 172 | ეინდჰოვენი-დენ ბოსხი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 22.00 | 173 | ვეენდამი-მაასტრიხტი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 22.00 | 174 | ჰაარლემი-ემენი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 22.00 | 175 | დორდრეხტი-იგლსი | 2,4 | 3,2 | 2,5 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 176 | ჰელმონდი-ვოლენდამი | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 22.00 | 177 | ჰერაკლესი-ექსელსიორი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 22.00 | 178 | ოსი-კამბური | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 22.00 | 179 | ვენლო-ტელსტარი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 17.30 | 180 | ზვოლე-დენ ჰააგი | 1,45 | 3,5 | 6,0 |

**ბელგია. I დივიზიონი. 31-ე ტური**
**28 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 181 | გენკი-სტანდარდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 182 | ლიერსი-ლუვეე | 1,6 | 3,6 | 4,4 |
| 23.00 | 183 | ანდერლეხტი-ბევერსხოტი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 184 | ანდერლეხტი-ბევერსხოტი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| 23.00 | 185 | შარლერუა-მეხელენი | 1,65 | 3,2 | 4,2 |
| 23.00 | 186 | ბევერენი-აალსტი | 1,85 | 3,4 | 3,4 |
| 23.00 | 187 | ვესტერლო-სენტ ტრუიდენი | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 23.00 | 188 | გენტი-ლოკერენი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 18.00 | 189 | ანტვერპენი-ბრიუგე | 4,2 | 3,3 | 1,7 |
| 18.00 | 190 | ჰარელბეკე-მუსკრონი | 2,3 | 3,3 | 2,6 |

**ბელგია. II დივიზიონი. 33-ე ტური**
**29 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 191 | ოსტენდე-ტინენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 192 | გეელი-ჰეკელგემი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 18.00 | 193 | სტრომბეკი-დესელი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 18.00 | 194 | ინგელმუნსტერი-ტურნჰაუტი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 18.00 | 195 | სერკლი-მოლენბეკი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 196 | რუზელარე-მაასლანდი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 18.00 | 197 | ბერგენი-დაინცე | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 18.00 | 198 | ლიეჟი-ლომელი | 3,2 | 3,3 | 2,0 |
| 18.00 | 199 | დენდერლეუ-ჰეუსდენი | 1,85 | 3,1 | 3,8 |

**საბერძნეთი. 27-ე ტური**
**28 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 200 | არისი-კალამატა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 19.30 | 201 | პანიონიოსი-იანინა | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 19.30 | 202 | ეთნიკოსი-პაოკ | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.30 | 203 | ოფი-პანაჰაიკი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.30 | 204 | იონიკოსი-პანათინაიკოსი | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| 19.30 | 205 | პანილიაკოსი-აეკ | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 21.00 | 206 | ათინაიკოსი-ქსანთი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| | | **30 აპრილი** | | | |
| 19.30 | 207 | ოლიმპიაკოსი-ირაკლისი | 1,35 | 3,6 | 7,5 |

**ჩეხეთი. 26-ე ტური**
**28 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 209 | სლავია-ჟიჟკოვი | 1,4 | 3,8 | 6,5 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 19.30 | 210 | ბლშანი-ბანიკი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 19.30 | 211 | ლიბერეცი-სპარტა | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 19.30 | 212 | პლზენი-სიგმა | 5,6 | 3,6 | 1,5 |
| 19.30 | 213 | დრნოვიცე-ბრნო | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.30 | 214 | ბუდეიოვიცე-იაბლონეცი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| | | **30 აპრილი** | | | |
| 22.00 | 215 | ბოჰემიანსი-ტეპლიცე | 2,4 | 2,9 | 2,8 |

**პოლონეთი. 22-ე ტური**
**28 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 217 | სტომილი-პლოცკი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 218 | ოდრა-ლეგია | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 20.00 | 219 | ამიცა-შლიონსკი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 20.00 | 220 | პოგონი-ზაგლებე | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 20.00 | 221 | ვიძევი-გროცლინი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 20.15 | 222 | გურნიკი-რაძიონკოვი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 17.30 | 223 | პოლონია-ვისლა | 2,5 | 2,9 | 2,6 |

**თურქეთი. 30-ე ტური**
**28 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 225 | ქოჯაელი-ბეშიქთაში | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 18.30 | 226 | ერზურუმი-რიზე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.30 | 227 | ისთანბული-იეთფა | 1,5 | 3,8 | 4,7 |
| 21.00 | 228 | გალათასარაი-ადანა | 1,1 | 7,0 | 14,0 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 18.30 | 229 | ბურსა-ანთალია | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 18.30 | 230 | სამსუნი-ოოზგათი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 18.30 | 231 | გენჩლერბირლიგი-დენიზლი | 1,95 | 3,1 | 3,4 |
| 21.00 | 232 | ტრაბზონი-ფენერბაჩე | 2,7 | 3,0 | 2,4 |

**შოტლანდია. 35-ე ტური**
**28 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 234 | დანფერმლაინი-სენტ მირენი | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 19.00 | 235 | დანდი იუნ.-მოზერუელი | 1,95 | 3,3 | 3,3 |
| 19.00 | 236 | სენტ ჯონსტონი-აბერდინი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 17.00 | 237 | რეინჯერსი-სელტიკი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 238 | დანდი-ჰიბერნიანი | 2,6 | 3,1 | 2,4 |

**ავსტრია. 31-ე ტური**
**28 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 239 | გრაცერი-ბრეგენცი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 18.30 | 240 | რაპიდი-ლინცერი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 18.30 | 241 | ზალცბურგი-აუსტრია | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 22.00 | 242 | რიდი-ტიროლი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 19.30 | 243 | ადმირა-შტურმი | 3,1 | 3,2 | 2,1 |

**შვეიცარია. A ჯგუფი. მე-9 ტური**
**28 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 244 | სიონი-ბაზელი | 1,95 | 3,0 | 3,5 |
| 22.30 | 245 | ლუგანო-სერვეტი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 22.30 | 246 | ლოზანა-გრასჰოპერი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 19.15 | 247 | ციურიხი-სენტ გალენი | 2,3 | 3,1 | 2,8 |

**შვეიცარია. A/B ჯგუფი. მე-9 ტური**
**28 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 248 | ვილი-არაუ | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 20.30 | 249 | ვინტერთური-ქსამაქსი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 22.30 | 250 | იანგ ბოისი-ბელინცონა | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 22.30 | 251 | ლუცერნი-ივერდონი | 1,6 | 3,3 | 5,3 |

**შვეიცარია. B ჯგუფი. მე-9 ტური**
**28 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 252 | თუნი-კრინსი | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 20.30 | 253 | კარუჟი-ვანგენი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 20.30 | 254 | ლოკარნო-დელემონი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 17.30 | 255 | ბადენი-სოლოთურნი | 1,5 | 3,6 | 5,6 |

**დანია. 26-ე ტური**
**29 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 256 | აკადემისკი-ოდენსე | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 18.00 | 257 | ჰადერსლევი-ოლბორგი | 4,4 | 3,6 | 1,55 |
| 18.00 | 258 | ჰერფიოლგე-ორჰუსი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 18.00 | 259 | ვიბორგი-ლიუნგბიუ | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 20.05 | 260 | ბრიონდბიუ-მიდტიულანდი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| | | **30 აპრილი** | | | |
| 22.00 | 261 | სილკებორგი-კოპენჰაგენი | 2,0 | 3,3 | 3,2 |

**რუსეთი. მე-7 ტური**
**28 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 262 | როსტსელმაში-ცსკა | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 16.00 | 263 | სატურნი-სპარტაკი | 4,7 | 3,1 | 1,7 |
| 16.00 | 264 | ფაკელი-ჩერნომორეცი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 16.00 | 265 | დინამო-სოკოლი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 16.00 | 266 | კრილია-ზენიტი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 16.00 | 267 | ტორპედო-ლოკომოტივი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 16.00 | 268 | ალანია-ანჟი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 16.00 | 269 | ზილ-როტორი | 2,1 | 2,9 | 3,4 |

**შვედეთი. მე-4 ტური**
**29 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 270 | აიკ-ტრელებორგი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 18.00 | 271 | სუნდსვალი-ჰალმსტადი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 18.00 | 272 | იორებრო-იურგარდენი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| | | **30 აპრილი** | | | |
| 18.00 | 273 | ელფსბორგი-ჰეკენი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 18.00 | 274 | იორგრიტე-ჰელსინგბორგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**ნორვეგია. მე-3 ტური**
**29 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 275 | ბრანი-ბრინი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 21.00 | 276 | ლილესტრიომი-სოგნდალი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 21.00 | 277 | ლინი-ოდ გრენლანდი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 21.00 | 278 | მოლდე-მოსი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 21.00 | 279 | სტაბეკი-სტრიომგოდსეტი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 21.00 | 280 | ვიკინგი-ტრომსიო | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 23.05 | 281 | ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი | 4,4 | 3,4 | 1,65 |

**ფინეთი. მე-2 ტური**
**28 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 282 | ატლანტისი-კუოპიო | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 20.30 | 283 | ჰაკა-ვაასა | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 20.30 | 284 | ჰიკ-ლაჰტი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 20.30 | 285 | ინტერი-იოკერიტი | 2,1 | 3,2 | 2,9 |
| 20.30 | 286 | ჯაზი-მიუპა | 3,3 | 3,2 | 2,0 |

**კალათბურთი. 1/8 ფინალი**
**28 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 802 | ინდიანა-ფილადელფია | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 24.00 | 803 | დალასი-იუტა | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 02.30 | 804 | მინესოტა-სან ანტონიო | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 05.30 | 805 | ორლანდო-მილუოკი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 21.30 | 806 | ტორონტო-ნიუ იორკი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 24.00 | 807 | ფინიქსი-საკრამენტო | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 02.30 | 808 | პორტლენდი-ლეიკერსი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| | | **30 აპრილი** | | | |
| 04.00 | 809 | შარლოტი-მაიამი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 04.00 | 810 | მინესოტა-სან ანტონიო | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**ჰოკეი. 1/4 ფინალი**
**28 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 902 | ნიუ ჯერსი-ტორონტო | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 24.00 | 903 | ბუფალო-პიტსბურგი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 24.00 | 904 | კოლორადო-ლოს ანჯელესი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 24.00 | 905 | დალასი-სენტ ლუისი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| | | **30 აპრილი** | | | |
| 04.00 | 906 | პიტსბურგი-ბუფალო | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 04.00 | 907 | ლოს ანჯელესი-კოლორადო | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი (გერმანიაში)**
**28 აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.15 | 908 | შვეიცარია-გერმანია | 2,2 | 4,0 | 2,0 |
| 19.00 | 909 | ნორვეგია-კანადა | 9,0 | 9,0 | 1,1 |
| 19.00 | 910 | ბელარუსი-ჩეხეთი | 7,0 | 7,0 | 1,15 |
| 23.00 | 911 | რუსეთი-იტალია | 1,1 | 9,0 | 9,0 |
| 23.00 | 912 | აშ-უკრაინა | 1,2 | 6,0 | 6,0 |
| 23.00 | 913 | ავსტრია-ფინეთი | 9,0 | 9,0 | 1,1 |
| | | **29 აპრილი** | | | |
| 19.00 | 914 | ლატვია-შვედეთი | 6,0 | 6,0 | 1,2 |
| 19.00 | 915 | სლოვაკეთი-იაპონია | 1,05 | 12,0 | 12,0 |
| 23.00 | 916 | რუსეთი-ნორვეგია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 23.00 | 917 | ჩეხეთი-გერმანია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| | | **30 აპრილი** | | | |
| 19.00 | 918 | კანადა-იტალია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 19.00 | 919 | შვეიცარია-ბელარუსი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 19.00 | 920 | სლოვაკეთი-ავსტრია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 23.00 | 921 | აშშ-ლატვია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 23.00 | 922 | ფინეთი-იაპონია | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი**
**28 აპრილი**
**18.15**

| | | |
|---|---|---|
| 951 | ფინეთი | 3,0 |
| 952 | ჩეხეთი | 3,0 |
| 953 | შვედეთი | 3,0 |
| 954 | კანადა | 3,5 |
| 955 | რუსეთი | 5,0 |
| 956 | აშშ | 10,0 |
| 957 | სლოვაკეთი | 15,0 |
| 958 | ლატვია | 30,0 |
| 959 | შვეიცარია | 50,0 |
| 960 | გერმანია | 50,0 |
| 961 | ბელარუსი | 100,0 |
| 962 | ავსტრია | 200,0 |
| 963 | უკრაინა | 200,0 |
| 964 | ნორვეგია | 300,0 |
| 965 | იტალია | 500,0 |
| 966 | იაპონია | 1000,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# მამობის შაჰ-თეთრი



ენდი როდიკის მოწოდებას ყველა უფრთხის

**ბარსელონა (ესპანეთი)**
**OPEN SEAT GODO**
**თიხნარი. საპრიზო 1 მილიონი $**

გასულ უქმეებზე ალბერტ კოსტამ დიდებული საჩუქარი მიიღო — მის მეუღლეს ტყუპები შეეძინა. ახლადგამოჩეკილი მამა თავიდან ბარსელონაში ასპარეზობას არც გეგმავდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს თანაქალაქელთა თვალწინ თამაში იმ იმედით გადაწყვიტა, რომ ტურნირს მოიგებდა და ამას თავის გაზრდილ ჯალაბობას მიუძღვნიდა.

სამწუხაროდ, ყველა დიდსულოვან ჩანაფიქრს ცხოვრებაში განხორციელება არ უწერია. კოსტას გეგმებიც ისევ დევისის თასის თანაგუნდელმა, ხუან კარლოს ფერერომ გაატანა ქარს.

შედარებით ულიმღამოდ ჩატარებული მეორე ხელის შემდეგ 21 წლის ესპანელმა კორტზე ჩვეული პოზიციიდან რამდენიმე ნაბიჯით წინ წაიწია და ტემპის აჩქარებით შესამჩნევი უპირატესობა იგდო ხელთ. ფერერომ უფროს კოლეგას მეოთხე გეიმში აართვა მოწოდება, თავისი კი მატჩის ბოლომდე აღარ დაკარგა და 6:4, 3:6, 6:3 იმარჯვა.

„ვიცი, ალბერტს აქ წარმატებით ასპარეზობა ძალიან უნდოდა, მაგრამ ჩვენ ყველანი პროფესიონალები ვართ და უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავისთვის ვიბრძვით — აღნიშნა ფერერომ — მატჩიდან მატჩამდე სულ უფრო უკეთ ვთამაშობ, კორტს ვეჩვევი და იმედია, არც უქმეებზე შევირცხვენ თავს".

მეოთხედფინალში კიდევ ერთი საინტერესო წყვილი შეხვდება ერთმანეთს. ბოლო წლების საუკეთესო ესპანელი ჩოგბურთელები — კარლოს მოია (11) და ალექს კორეჩა (4) კარიერაში მეათედ გადააჭდობენ ჩოგნებს. პირად შეხვედრებში ანგარიში 5:4-ია მოიას სასარგებლოდ, 1998-ის როლან გაროსის ფინალიც მისი გამარჯვებით დასრულდა, სამაგიეროდ, იმავე წელს კორეჩამ ATP-ის მსოფლიოს ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩში დაამარცხა თანამემამულე.

„ეს გამორჩეული შეხვედრა იქნება. ალექსი თავესიანების წინ ითამაშებს და, ალბათ, უმეტესობა მას უგულშემატკივრებს, თუმცა, დარწმუნებული ვარ, ტრიბუნების ნაწილი ჩემი ქომაგიც იქნება" — განაცხადა მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა მოიამ, რომელიც კუნძულ მალიორკაზე გაიზარდა.

მერვედფინალში მოიას მეტოქე ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტი არნო კლემანი (5) იყო. ჩია, ენერგიულ ფრანგს მელბურნიდან მიყოლებული ზედიზედ სამი მატჩი არსად მოუგია და ნავსი ვერც ამჯერად გატეხა — დიდი მონდომებისა და ბარაქიანი ოხვრა-კვნესის მიუხედავად, ესპანელის მძლავრი მოწოდებასა და ფორჰენდს მან ვერაფერი დააკლო — 5:7, 2:6.

ასევე იოლად იმარჯვა კორეჩამ. 27 წლის ბარსელონელი მშობლიურ ტურნირზე უკვე ზედიზედ მეათედ ასპარეზობს, თუმცა ჩილელი ნიკოლას მასიუს 6:4, 6:3 დამარცხებით მან მეოთხედფინალში 1994 წლიდან მოყოლებული პირველად გააღწია.

**მერვედფინალი: ტომას ენკვისტი (7, შვედეთი) — ანდრეი მედვედევი (უკრაინა) 7:6 (8:6), 7:5; ფელიძს მანტია (ესპანეთი) — სერხი ბრუგერა (ესპანეთი) 6:4, 6:2; მიხალ კრატოჩვილი (შვეიცარია) — ტომი რობრედო (ესპანეთი) 6:1, 6:0; ალბერტ პორტასი (ესპანეთი) — გალო ბლანკო (ესპანეთი) 6:4, 6:2**



ალბერტ კოსტა — იღბლიანი მამა, უიღბლო ჩოგბურთელი

**ატლანტა (აშშ)**
**VERIZON TENNIS CHALLANGE**
**მწვანე თიხნარი. საპრიზო 400 ათასი $**

18 წლის სრულიად აშშ-ის იმედი, ფლორიდელი ენდი როდიკი ავტორიტეტებს არ ცნობს. გასულ თვეში შვიდგზის უიმბლდონის ჩემპიონის, ლეგენდარული პიტ სამპრასისა და მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნის, მარსელო რიოსის გამწარების კვალად ატლანტაში „ეი-რომა" ტოდ მარტინი დაიბრიყვა.

„მატჩების წინ საკუთარი თავისგან კპირობოდ მოგებას ჯერაც არ ვითხოვ, ამიტომ ა..ც დღეს ვიცოდი, რა გამომივიდოდა. ყოველთვის ვცდილობდი, ტოდისთვის მიმებაძა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ კორტზე მისთვის რაიმეს დათმობას ვაპირებდე".

როდიკს ვეტერანი კოლეგის პატივისცემის ან შიშისა მართლაც არაფერი ეტყობოდა. თავდაჯერებულმა ამერიკელმა მატჩში 7 ეისი მიაწოდა, 210 კმ/სთ-იანი ყუმბარების წყალობით საკუთარ მოწოდებაზე თითზე ჩამოსათვლელი ქულები დაკარგა და დამაჯერებლად, 7:5, 6:2 მოიგო.

„მას საშუალოზე უკეთესი მიღება და არაჩვეულებრივი მოწოდება აქვს, ხალად აზროვნებს, სწრაფია და ჩოგბურთის ნიუანსები კარგად ესმის, ასე რომ, ძალიან უნდა მოინდომოს, რომ წარმატებული კარიერა არ ჰქონდეს" — ასეთი იყო მარტინის კომენტარი.

დიდი ხნით უსაქმოდ არ დარჩენილა ტიმ ჰენმანის ყოფილი მწვთრნელი დევიდ ფელგეიტი. ორი კვირის წინ ჰენმანთან დაშორებული ინგლისელი ნიჭიერმა ბელგიელმა ქსავიე მალისმა დაიქირავა: „დევიდი შესანიშნავი მწვრთნელია, ის ტიმს სულ დასაწყისიდან მწვერვალების დაპყრობაში დაეხმარა და იმედია, მეც არანაკლებ დახმარებას გამიწევს. მას შეუძლია, ტაქტიკურად ბევრი რამ მასწავლოს".

20 წლის მალისს შარშან ჯენიფერ კაპრიატის ბოიფრენდობა აშკარად არ წაადგა და ამომავალი ვარსკვლავიდან ლამის ნაადრევად ჩამოწერილთა სიაში გადაინაცვლა, თუმცა ყოფილ ვუნდერკინდთან დაშორების შემდეგ საქმეები უკეთ წაუვიდა. ბელგიელმა მარტში დელრეი ბიჩის ტურნირზე ფინალში გააღწია, ატლანტაშიც მეორე წრეში მეოთხედ განთესილ რაინერ შუტლერს 6:1, 6:1 გადაუარა.

„ყოველთვის ვიცოდი და მჯეროდა, რომ ჩოგბურთის თამაში ბევრზე უკეთ მეხერხება, საქმე ის არის, რომ ვარჯიში მეზარებოდა. ბოლოს და ბოლოს სინდისის ქენჯნამ შემაწუხა, რომ საკუთარ ნიჭს ჯეროვნად არ ვიყენებდი და რამდენიმე თვეა, სისულელეებს შევეშვი".

**მერვედფინალი: ჰიუნგ-ტაიკ ლი (კორეა) — მაიკლ ჩანგი (3, აშშ) 6:4, 7:6 (7:3); ენდრიუ ილი (5, ავსტრალია) — იენს კნიპშილდი (გერმანია) 7:5, 4:6, 6:3; ჟერომ გოლმარი (6, საფრანგეთი) — ლარს ბურგსმიულერი (გერმანია) 6:4, 2:6, 6:1; ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) — მაგნუს გუსტაფსონი (8, შვედეთი) 6:4, 3:6, 6:3; კრისტოფ როშიუ (ბელგია) — ნიკოლა ტომანი (საფრანგეთი) 2:6, 6:1, 6:2.**

**ავთანდილ სვანიძე**



**NHL: სტენლის თასი. მეორე წრე (ოთხ მოგებამდე)**

# თავგასული სტუმრები

26 აპრილი

**აღმოსავლეთი**

| | |
|---|---|
| ბუფალო | 0 |
| პიტსბურგი | 1 |

**ბუფალო 0:3 პიტსბურგი (0:1 0:0 0:2)**
**0:1 ლემიე 6(5), 0:2 ჰრდინა 55(2), 0:3 უ. პრიმო 58(1)**

თასის მეოთხედფინალური წრის პირველი დღის სამი მატჩისგან სწორედ ეს არ იყო ისეთი, რომელშიც სტუმარი გუნდის გამარჯვება სენსაციად აღიქმებოდა. მეტოქეთა შანსებს დაახლოებით თანაბრად აფასებენ და ის, რომ პიტსბურგი განსაკუთრებით შეეცდებოდა, პირველი ორი გასვლითი შეხვედრიდან ერთი მაინც მოეგო და ფსიქოლოგიური უპირატესობა მოეპოვებინა, ყველასათვის ნათელი იყო. თუმცა, ვინ იფიქრებდა, რომ დაცვაში უთავბოლოდ და არაკეთილსაიმედოდ მოთამაშე „პინგვინები" ასე ბრწყინვალედ გააუვნებლებდნენ ბუფალოს ელვისებურ შეტევებს და მოწინააღმდეგეს ერთ გოლსაც არ გაატანინებდნენ. არადა, იყო მომენტები, პიტსბურგს ძალიან რომ უჭირდა. ეს მაშინ, როცა „ხმლები" სტუმრებს მათსავე ზონაში კეტავდნენ და უშუალოდ კართან საფრთხეს უქმნიდნენ, მაგრამ მცველები თავდადებით იბრძოდნენ, ხოლო მეკარე იოჰან ჰედბერგი სასწაულებს ახდენდა. შვედმა ორჯერ ერთი მეტრიდან დარტყმული შაიბები მოიგერია, ერთხელ კი მაქსიმ აფინოგენოვმა ცარიელ კუთხეში ვერ გაიტანა. თუმცა ეს იმდენად იშვიათად ხდებოდა, რომ მოედანზე პიტსბურგის ჰეგემონია არ დარღვეულა. საოცარია, თუ როგორ უფრთხილდებიან პლეი ოფში „პინგვინები" მოპოვებულ უპირატესობას. ვაშინგტონთან სერიაშიც ეს რამდენჯერმე შეძლეს და ახლაც უკვე მე-5 წუთზე წინ გაჭრილებმა ბოლომდე არაფერი დათმეს. გოლი კი ასე გავიდა. იარომირ იაგრი ერთბაშად სამი ბუფალოელის გარემოცვაში მოექცა, მაგრამ ალღომ უკარნახა, რომ მოპირდაპირე მხარეს ლემიე უმეთვალყურეოდ იყო დატოვებული და სათადარიგოთა სკამიდან გამოვარდნილი სუპერმარიო ჰაშეკთან პირისპირ გაიყვანა. დარჩენილ დროში პიტსბურგმა, როგორც მოგახსენეთ, ეს სხვაობა არა მარტო შეინარჩუნა, არამედ გაზარდა კიდეც. ერთადერთი, რაზეც გუნდს საყვედური ეთქმის, ისაა, რომ რიცხვმრავლობის ხუთი ცდიდან ერთი მაინც უნდა გამოეყენებინა. საბოლოოდ „პინგვინებმა" ერთხელაც გამოიჭირეს მეტოქე და იან ჰრდინამ ყველაფერს ნათელი მოჰფინა. ლემიესაც ჰქონდა კიდევ ერთი მომენტი, მაგრამ ამჯერად ჰაშეკმა პირადი დუელი მოუგო. სამაგიეროდ, შემდეგ მარიომ უეინ პრიმო აზეირა.

| | |
|---|---|
| ნიუ ჯერსი | 0 |
| ტორონტო | 1 |

**ნიუ ჯერსი 0:2 ტორონტო (0:0 0:2 0:0)**
**0:1 ანტროპოვი 24(2), 0:2 ტომასი 30(1)**

ახლა უკვე თამამად შეიძლება ი..ას, რომ ოტავასთან სერიაში ტორონტოს 4:0 გამარჯვება არა მეტოქის სისუსტემ, არამედ თავად „ნეკერჩხლის ფოთოლთა" სიძლიერემ განაპირობა. ამაში გუშინ თასის ფავორიტი ნიუ ჯერსიც დარწმუნდა. პიტსბურგის დარად დაცვაში გაუწონასწორებელმა გუნდმა მეტოქეს გონივრული, ფრთხილი და გამოზომილი ჰოკეი შესთავაზა. ტორონტომ თავიდანვე დაუთმო მეტოქეს სივრცე და საკუთარი კარის დაცვაზე იზრუნა. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლებმა დარტყმების რაოდენობით სტუმრებს ლამის ორჯერ აჯობეს (32:17), ხოლო მესამე პერიოდში ეს თანაფარდობა სულაც 10:1 იყო, კერტის ჯოზეფი დიდად არ შეწუხებულა და ამას პარტნიორებს უნდა უმადლოდეს. ტორონტოელი მცველები დასაწყისშივე ახშობდნენ ნიუჯერსელთა შეტევებს და მათ აიძულებდნენ, შუაგული მოედნის თავზე ჩამოკიდებული შუქფარების ქვეშ უაზროდ ეტრიალათ. ამიტომაც „ეშმაკი" ჯონ მედენის მატჩისშემდგომი სიტყვები, გოლამდე სულ ცოტა გვაკლდებოდაო, თავის მართლებას უფრო ჰგავს.

გადამწყვეტი მეორე პერიოდი გამოდგა. აღსანიშნავია ტორონტოს სპეცბრიგადების მუშაობა. მათ მეტოქეთა რიცხვმრავლობის რვავე ცდა გააუვნებლეს, თავად კი სამიდან ორი შესაძლებლობა გამოიყენეს. ჯერ იყო და ნიკოლაი ანტროპოვმა მყისიერი დარტყმით მარტინ ბროდოს ფარხმალი დააყრევინა, მერე კი მათს სუნდინის დარტყმული შაიბა მეკარემ მოიგერია, მაგრამ სტივ ტომასმა დამატებაზე იხეირა.

**დასავლეთი**

| | |
|---|---|
| კოლორადო | 0 |
| ლოს ანჯელესი | 1 |

**კოლორადო 3:4 ლოს ანჯელესი (1:1 1:1 1:1 0:1)**
**0:1 გ. მიურეი 10(1), 1:1 დრური 16(5), 2:1 რ. ბლეიკი 23(2), 2:2 ემერსონი 30(1), 2:3 გ. მიურეი 53(2), 3:3 ფორსბერგი 56(3), 3:4 მოდრი 75(1)**

ასეც ხდება. სტატისტიკური მონაცემები ერთია, ყინულზე დატრიალებული მოვლენები კი მეორე. ალბათ, კოლორადოს ქომაგთან ვერვინ წარმოიდგენდა, რომ მათი ნაქები, მართლაც დიდებული გუნდი წააგებდა ლოს ანჯელესთან პირველ შეხვედრას, თანაც გადამწყვეტ შაიბას გაიტანდა მცველი იაროსლავ მოდრი, რომელიც აქამდე არც პლეი ოფში გამორჩეულა, არც ჩემპიონატში. აი, სწორედ ასეთმა უჩინარმა ჰოკეისტმა ოვერტაიმში ოიზეფ შტუმპელის პასი გოლით დააგვირგვინა და აშკარა ფავორიტი ციდან მიწაზე დაანარცხა. ახლა კოლორადო სერიაში იოლად ველარ გაისეირნებს. ისე კი, ოვერტაიმში სტუმრები უფრო იმსახურებდნენ მოგებას და მათი გოლი ამის ლოგიკური შედეგიც გახლდათ. ძირითად დროში კი კოლორადო დომინირებდა. განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო მასპინძელთა უპირატესობა მეორე და მესამე პერიოდის მიჯნაზე, მაგრამ აქეთ მიიღეს გლენ მიურეის გოლი. „ეველანშს" პეტერ ფორსბერგი (გოლი და 2 პასი) და რობ ბლეიკი (გოლი და პასი) შეეშველნენ. ამ უკანასკნელმა დაარტყა, შვედმა კი დამატებაზე ივარგა. ამ ორ მოთამაშეზე სასაყვედურო კოლორადოელებს არაფერი აქვთ, აი, ჯო საკიკმა კი გააწბილა ქომაგები. ჯერ ერთი, პირველი სამი შაიბა მასპინძელთა კარში სწორედ მისი სამეულის ყინულზე ყოფნისას გავიდა, ხოლო თავად საკიკი ბრწყინვალედ ამოკეტა ბრაიან სმოლინსკიმ, რომელმაც პირველ წრეში სერგეი ფიოდოროვიც არ გააჩარა. და მაინც, საკიკს შეეძლო მატჩის გმირი გამხდარიყო, ბოლოსწინა წუთზე ხელსაყრელი მომენტი რომ გამოეყენებინა.

**სამველ ლარიბიანი**





ნიუ ჯერსი — ტორონტო. შაიბის ნაცვლად ტორონტოელი მეკარის კერტის ჯოზეფის კარში ნიუჯერსელი ალექსანდრ მოგილნი აღმოჩნდა

## ფრენბურთი

# მოვიდა, ნახა, ასწავლა



**იური ჩესნოკოვს (მარჯვნიდან პირველი) ქართველები უსმენენ (მარცხნიდან): ოლიმპიური ჩემპიონი ვაჟა კაჭარავა, ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ახვლედიანი და თბილისის ოლიმპიური რეზერვების ფრენბურთის სკოლის დირექტორი სტანისლავ ბუინოვი**

*ამ დღეებში თბილისს სტუმრობს ფრენბურთის მსოფლიო ფედერაციის ადმინისტრაციული საბჭოს წევრი და მწვრთნელთა კომიტეტის თავმჯდომარე ИУРИ ЧЕСНОКОВ — იური ჩესნოკოვი, რომელიც საქართველოში ფრენბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტის, ლევან ახვლედიანის მოწვევით ჩამოვიდა. ჩესნოკოვს გუშინ ფიზკულტურის ინსტიტუტში გავესაუბრეთ, სადაც მან მწვრთნელებისა და მოთამაშეებისთვის სემინარები გამართა.*

**— თქვენი ჩამოსვლის მიზანი...**

— თბილისში საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის ინიციატივითა და მსოფლიოს ფედერაციის პრეზიდენტის დავალებით ჩამოვედი. ჩემი ვიზიტი ორი ნაწილისგან შედგება: ვატარებ სემინარებს მწვრთნელებთან და მოთამაშეებთან, მაქვს ოფიციალური შეხვედრებიც. სემინარებმა კარგად ჩაიარა, 35 მარტო მწვრთნელი მესწრებოდა, კიდევ მოთამაშეები. ოფიციალურ პირთაგან ვესაუბრე ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ჯანო ბაგრატიონს, შემდეგ კი სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილს შევხვდი, რომლისგანაც პრინციპული მხარდაჭერა მივიღე, რის შემდეგაც სხვადასხვა კონკრეტული იდეების შესახებ ვიმსჯელეთ.

**— როგორი საფრენბურთო სიტუაცია იხილეთ საქართველოში?**

— საკმაოდ მძიმე დღეში ხართ. არა გაქვთ საწვრთნელი ბაზები, ინვენტარი; მე ამ საკითხებს ვსწავლობ და ვიმედოვნებ, რომ მალე მოხერხდება ლევან ახვლედიანის შეხვედრა მსოფლიოს ფედერაციის პრეზიდენტთან და ქართული ფრენბურთის ხელშეწყობის საკითხები გაირჩევა...

აქ საუბარში ახვლედიანი ჩაერთო და გვითხრა, რომ სტუმარი ამჯერადაც არ ჩამოსულა ხელცარიელი, 30 ბურთი და ფრენბურთის ათი ბადე უჩუქებია ფედერაციისთვის.

— მინდა, გაგიმეოროთ — განაგრძო შემდეგ ჩესნოკოვმა — სამუშაო ბევრი გაქვთ, თუმცა ხელს გარკვეული ტრადიციები გიწყობთ. ქართველებს არ მოუგიათ საკლუბო და სანაკრებო ტიტულები, მაგრამ ოლიმპიური ჩემპიონი ვაჟა კაჭარავა გყავთ. გივი ახვლედიანი ხომ საერთოდ ცალკე საუბრის თემაა. მან საბჭოთა კავშირის ნაკრებს 3 მსოფლიოს ჩემპიონატი და ორი ოლიმპიადა მოაგებინა. ერთადერთი მწვრთნელი იყო, ვისაც ვაჟებში და ქალებშიც ტიტულები მოუგია. სხვათა შორის, იგი საუკუნის 3 საუკეთესო ფრენბურთის მწვრთნელს შორის დაასახელეს. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ზურგს რაღაც გიმაგრებთ და პერსპექტივები გაქვთ.

**— ზემოთ კონკრეტული იდეები ახსენეთ. რაზეა საუბარი?**

— თუნდაც იმაზე, რომ თბილისში გივი ახვლედიანის სახელობის ტურნირი ან მატჩი შედგეს. ეს ძალიან შეუწყობს ხელს ქართული ფრენბურთის წარმოჩენას. ჩამოვა ფრენბურთის ოფიციოზი და ახვლედიანს მისთვის განკუთვნილ ჯილდოს (საუკუნის სამეულში შესვლისთვის რომ ერგება) გადასცემს. ამ ამბავზე ჯერ არაფერია გადაწყვეტილი, მაგრამ თვით იდეა, მგონი, ურიგო არ არის.

რაც შეეხება სხვა იდეებს, ისინი უხვადაა. მაგალითად, ფრენბურთის პოპულარიზებისთვის ჩინებული იქნებოდა, ამიერკავკასიის ზონა შექმნილიყო, რომელიც ყოველ წელს თავის შეჯიბრებებს გამართავდა. ან კიდევ, მსოფლიოში ბევრგან არსებობს ფრენბურთის განვითარების ცენტრები, თბილისშიც შეიძლება ერთი ასეთი ცენტრის შექმნა და ასე შემდეგ.

კიდევ ის მინდა გითხრათ, რომ აქ მშვენივრად მიმასპინძლეს და ძალიან კმაყოფილი მივდივარ. იმედია, საქმეს მკვდარი წერტილიდან ერთად დავძრავთ.

**დავით გულუა**

## რაგბი

# საავსტრალიო ლომები

**„ბრიტანელი ლომები“** ინგლისის, უელსის, შოტლანდიის და სრულიად ირლანდიის გაერთიანებული სარაგბო ნაკრებია. იგი მუდმივად არ არსებობს, პერიოდულად იკრიბება, რათა სამხრეთ ნახევარსფეროში ეპოქალური ტურნეები მოაწყოს ხოლმე. 1955 წლიდან „ლომები“ ხუთჯერ ჩავიდნენ ეკვატორს ქვემოთ და რაგბის ისტორიაში უდიდესი დაპირისპირებები ჩაწერეს.

წლეულს „ლომები“ კვლავ იკრიბებიან და ივნის-ივლისში ავსტრალიას ეწვევიან. ათმატჩიანი ტურნეს მშვენება იქნება სამი ტესტ-მატჩი, რომლებშიც ბრიტანელები მსოფლიოს ჩემპიონ ავსტრალიას დაუპირისპირდებიან. პირველი ტესტი 30 ივნისს გაიმართება ბრისბენში, მეორე — 7 ივლისს მელბურნში, მესამე — 14 ივლისს სიდნეიში.

„ბრიტანელი ლომების“ ახალზელანდიელმა მწვრთნელმა გრემ ჰენრიმ დაასახელა ის მოთამაშეები, რომელთაც ავსტრალიაში იახლებს. შემადგენლობა 37-კაციანია, მასში 18 ინგლისელი, 10 უელსელი, 6 ირლანდიელი და 3 შოტლანდიელი მორაგბეა. ლომობა ეღირსა ინგლისელ გარემარბ ჯეისონ რობინსონს, რომელსაც ინგლისის 15-კაცა ნაკრებშიც უთამაშია და 13-კაცაშიც. სამაგიეროდ, შემადგენლობის მიღმა დარჩა 13-კაცას ყოფილი და 15-კაცას ამჟამინდელი ვარსკვლავი, უელსელი შუამარბი სკოტ გიბსი, ისევე, როგორც ფრანგულ „კასტრში“ ლევან ცაბაძის და პალიკო ჯიმშელაძის შოტლანდიელი თანაგუნდელი, უნივერსალი ბეკი გრეგორ თაუნსენდი.

„ლომების“ კაპიტნად ინგლისელი მორკინალი მარტინ ჯონსონი დასახელდა. იგი პირველი მორაგბეა, რომელიც „ლომებს“ ზედიზედ მეორედ უკაპიტნებს. ანალოგიური პატივი ჯონსონს 1997 წელს, ბრიტანელებს სამხრეთ აფრიკაში მოგზაურობის დროს ერგო.

### „ბრიტანელი ლომები“ ავსტრალიური ტურნესთვის

*ბეკები:* იან ბოლშოუ (ინგლისი), მეტ პერი (ინგლისი), ბენ კოენი (ინგლისი), დეფიდ ჯეიმსი (უელსი), დან ლაგერი (ინგლისი), ჯეისონ რობინსონი (ინგლისი), ოსტინ ჰილი (ინგლისი), მაიკ კეტი (ინგლისი), ვილ გრინვუდი (ინგლისი), ბრაიან ოდრისკოლი (ირლანდია), რობ ჰენდერსონი (ირლანდია), ჯონი უილკინსონი (ინგლისი), რონან ოგარა (ირლანდია), ნილ ჯენკინსი (უელსი), მარკ ტეილორი (უელსი), მეტ დოუსონი (ინგლისი), რობ ჰაული (უელსი).

*მორკინალები:* ჯეისონ ლენარდი (ინგლისი), დარენ მორისი (უელსი), ტომ სმიტი (შოტლანდია), ფილ ვაიკერი (ინგლისი), დევიდ იანგი (უელსი), კიტ ვუდი (ირლანდია), ფილ გრინინგი (ინგლისი), მარტინ ჯონსონი (ინგლისი), სკოტ მიურეი (შოტლანდია), საიმონ ტეილორი (შოტლანდია), დანი გრიუკოკი (ინგლისი), მალკოლმ ოკელი (ირლანდია), რიჩარდ ჰილი (ინგლისი), მარტინ უილიამსი (უელსი), რობინ მაკბრაიდი (უელსი), ჯერემი დევიდსონი (ირლანდია), კოლინ ჩარვისი (უელსი), ლოურენს დალაგლიო (ინგლისი), სკოტ ქვინელი (უელსი), ნილ ბეკი (ინგლისი).

### „ბრიტანელი ლომების“ ტურნეები

**1955. სამხრეთ აფრიკა 2:2**

„ლომებმა“ ორჯერ დაამარცხეს სამხრეთ აფრიკა, რომელსაც შინ წაუგებელის იმიჯი ჰქონდა. ბრიტანელთა შორის ბრწყინავდნენ გარემარბი ტონი ორეილი, შუამარბი ჯეფ ბატერფილდი და ათი ნომერი კლიფ მორგანი.

**1971. ახალი ზელანდია 2:1 (ერთი ფრე)**

ბრიტანული რაგბის ოქროს ხანის დასაწყისში „ლომებმა“ საარაკოდ ძლიეს „ოლ ბლექსს“. სერიის ბედი ბრიტანელთა დიდებულმა უკანა ხაზმა გადაწყვიტა: მაიკ გიბსონი (შუამარბი), ბერი ჯონი (ათი ნომერი), გარეთ ედვარდსი (ცხრა ნომერი), ჯიპიარ ვილიამსი (მცველი). ამათი შესანიშნავი თამაშის ფონზეც გამოირჩეოდა ირლანდიელი გოლიათი, მორკინალი ვილი-ჯონ მაკბრაიდი.

**1974. სამხრეთ აფრიკა 3:0 (ერთი ფრე)**

ამჯერად მაკბრაიდი „ლომებს“ კაპიტნობდა. მისი ხელმძღვანელობით კარგად ითამაშეს ახალგაზრდა მორკინალებმა, გორდონ ბრაუნმა და ფერგიუს სლეტერიმ. გარეთ ედვარდსი შეუდარებელი იყო და „ლომებმაც“ მშრალად მოიგეს სერია.

**1989. ავსტრალია 2:1**

„ლომებმა“ პირველი ტესტი 12:30 წააგეს. მეორე ტესტის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე 9:12 აგებდნენ, მაგრამ დიდმა შოტლანდიელმა მცველმა გევინ ჰესთინგსმა და ინგლისელმა შუამარბმა ჯერემი გასკოტმა ლელოები გაიტანეს. მესამე ტესტში ბრიტანელმა მორკინალებმა უზადოდ ითამაშეს, ხოლო „ლომებმა“ გადამწყვეტი ლელო დიდი ავსტრალიელი გარემარბის, დევიდ ქემპიზის შეცდომის შემდეგ გაიტანეს.

**1997. სამხრეთ აფრიკა 2:1**

ჯერემი გასკოტმა ამჯერადაც მოიგო თამაში: მეორე ტესტის ბოლოს არეკნი გაიტანა და „ლომები“ სერიაში 2:0 დააწინაურა. ბრიტანელებს ნაღდ ლიდერად მოევლინათ ინგლისელი მორკინალი, კაპიტანი მარტინ ჯონსონი. ამ სერიის მოგებით ბრიტანელებმა აღიდგინეს 1995 წლის თასზე შელახული პრესტიჟი.

## ავტორბოლა

# F1

**მეხუთე ეტაპი — ესპანეთის დიდი პრიზი**

## კატალუნია მონტმელო

*ბარსელონა, 29 აპრილი*




**ტრასის სიგრძე** . . . . . . . . . . . . . . . . 4.730 კმ
**რბოლის დისტანცია** . . . . . . . . . . 65 წრე — 307.450 კმ

*რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 17 საათზე*

**შარშანდელი შედეგები:** 1 ჰაკინენი (მაკლარენი); 2 კულტჰარდი (მაკლარენი); 3 ბარიკელო (ფერარი); 4 რ. შუმახერი (უილიამსი); 5 მ. შუმახერი (ფერარი); 6 ფრენცენი (ჯორდანი)

**წრის რეკორდი:** 1997 — ფიზიკელა (ჯორდანი) 1:22.242

### ყველა გამარჯვებული

| | | | |
|---|---|---|---|
| 1951 | ხუან მანუელ ფანხიო | არგენტინა | ალფა რომეო |
| 1954 | მაიკ ჰოტორნი | დიდი ბრიტანეთი | ფერარი |
| 1968 | გრემ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | ლოტუსი |
| 1969 | ჯეკი სტიუარტი | დიდი ბრიტანეთი | მატრა |
| 1970 | ჯეკი სტიუარტი | დიდი ბრიტანეთი | მარჩი |
| 1971 | ჯეკი სტიუარტი | დიდი ბრიტანეთი | ტირელი |
| 1972 | ემერსონ ფიტიპალდი | ბრაზილია | ლოტუსი |
| 1973 | ემერსონ ფიტიპალდი | ბრაზილია | ლოტუსი |
| 1974 | ნიკი ლაუდა | ავსტრია | ფერარი |
| 1975 | იოჰენ მასი | გერმანია | მაკლარენი |
| 1976 | ჯეიმს ჰანტი | დიდი ბრიტანეთი | მაკლარენი |
| 1977 | მარიო ანდრეტი | აშშ | ლოტუსი |
| 1978 | მარიო ანდრეტი | აშშ | ლოტუსი |
| 1979 | პატრიკ დეპაიე | საფრანგეთი | ლიჟიე |
| 1981 | ჟილ ვილნევი | კანადა | ფერარი |
| 1986 | აირტონ სენა | ბრაზილია | ლოტუსი |
| 1987 | ნაიჯელ მენსელი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი |
| 1988 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | მაკლარენი |
| 1989 | აირტონ სენა | ბრაზილია | მაკლარენი |
| 1990 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | ფერარი |
| 1991 | ნაიჯელ მენსელი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი |
| 1992 | ნაიჯელ მენსელი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი |
| 1993 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | უილიამსი |
| 1994 | დეიმონ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი |
| 1995 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ბენეტონი |
| 1996 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი |
| 1997 | ჟაკ ვილნევი | კანადა | უილიამსი |
| 1998 | მიკა ჰაკინენი | ფინეთი | მაკლარენი |
| 1999 | მიკა ჰაკინენი | ფინეთი | მაკლარენი |
| 2000 | მიკა ჰაკინენი | ფინეთი | მაკლარენი |

# წევის კონტროლი მთავარი თემაა

**წლევანდელი** სეზონის მორიგი, მეხუთე ეტაპის წინ ბევრი რამ მოხდა აღსანიშნავი. ჯერ უმთავრესზე ვთქვათ.

საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციამ (FIA) გუნდებს დამატებითი ელექტრონიკის, კერძოდ ბოლიდებში წევის კონტროლის გამოყენების ნება დართო. ეს ურთულესი და მეტად ძვირი მოწყობილობა, რომელიც რვაწლიანი ტაბუს მერე დაუბრუნდა ფორმულას, საერთო აზრით, მანქანას ტრასაზე უფრო სწრაფს და მდგრადს გახდის. გასაკვირი კია, რომ მრბოლების უმეტესობა წევის კონტროლის მეორედ მოსვლას აღფრთოვანებით არ შეხვედრია.

„სამეფო რბოლების“ ყველაზე ასაკოვანი პილოტი, 36 წლის ჟან ალეზი, ვისაც აღნიშნული სისტემით აკრძალვამდეც უქროლია, შუა სეზონში ასეთი ნაბიჯის გადადგმას სისულელედ მიიჩნევს. მისი აზრით, ამით FIA-მ საკუთარი რეპუტაცია შელახა.

ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი: „მე თავიდანვე წევის კონტროლის წინააღმდეგი ვიყავი, რადგან ამით მანქანის მართვაში მძღოლის როლი საგრძნობლად მცირდება. თან არა მგონია, სიახლემ რაიმე სარგებელი მოიტანოს მშრალ გზაზე — წრის გავლის დრო სულ რაღაც წამის ერთი-ორი მეათედით თუ შემცირდება.“

ჟან ტოდტი („ფერარის“ გენერალური დირექტორი): „ცხადია, ჩვენ სიახლეს დავთანხმდით, თუმცა პირადად მე ვთვლი, რომ მთელი ეს ელექტრონიკა საფორმულო ფილოსოფიას ეწინააღმდეგება. რბოლები პილოტების შეჯიბრი უნდა იყოს და არა მექანიზმების.“

საპირისპირო აზრზე დგას შოტლანდიელი დევიდ კულტჰარდი: „წევის კონტროლი მეტად საჭირო მოწყობილობაა, განსაკუთრებით ნელ მოსახვევებში. მაგალითად, იმ მოსახვევში, რომელსაც ადრე საათში 200 კმ/სთ სიჩქარით ვძლევდი, ახლა სულ ცოტა, ათი კილომეტრით უფრო სწრაფად შევდივარ.“

წინა ეტაპის გმირი რალფ შუმახერი ხვალინდელ რბოლას იმედით ხვდება: „კატალუნია“ სწრაფი და ნელი მოსახვევების კომბინაციაა, ამიტომაც დიდად საინტერესო და მომთხოვნია. შარშან ბარსელონაში ფინიშთან მეოთხე მივედი, იმის წინ მეხუთე, ასე რომ, ეს ტრასა საჩემოა.“ რამდენიმე დღის წინ რალფს მანქანის მართვა აუკრძალეს, ცხადია, დროებით და, რა თქმა უნდა, არა საფორმულო ბოლიდისა. გერმანელი თავის ახალ საცხოვრებელში, ავსტრიის ქალაქ ზალცბურგის მიდამოებში პოლიციამ სიჩქარის გადაჭარბებისთვის თითქმის 600 დოლარით დააჯარიმა. პატარა შუმის მანქანა ნებადართული 100 კმ/სთ სიჩქარის ნაცვლად 170-ით მიქროდა. კურიოზული კი ის გახლავთ, რომ კანონის დამრღვევს, მთელს დუნიაზე ერთ-ერთ საუკეთესო მძღოლს, ჯიბეში მართვის მოწმობა არ აღმოაჩნდა.

ბოლოს საკადრო ცვლილებებზე. ლუჩანო ბურტის შედეგებით უკმაყოფილო „იაგუარმა“ მისი შეცვლა გადაწყვიტა. მშველელი ალენ პროსტი გამოდგა — „პროფესორმა“ თავისი უხეირო არგენტინელი გასტონ მაცაკანე მოხსნა, მის ნაცვლად კი ბურტი მიიწვია. ხოლო „იაგუარიდან“ მოკვეთილი ბრაზილიელის ადგილს ამ საჯინიბოს ტესტ-პილოტი ესპანელი პედრო დე ლა როსა დაიკავებს.

**გია ახალაძე**

# მაიკის ხელიდან



REUTERS ბარსელონიდან

„ნევადა პარტნერზის“ მოყვარულ მოკრივეთა კლუბში ნორჩ მებრძოლთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრი ლას ვეგასის ამავე სახელწოდების სავარჯიშო დარბაზში ჩატარდა. გუნდური პირველობა ნორჩ ლონდონელთა კლუბმა „ვინჩლი ენდ დისტრიქთმა“ მოიგო. იქაურებს, ალექს სექსტონსა და გარი ბრაუნს კი ჯილდო თავად მაიკ ტაისონმა გადასცა. კეთილიც ყოფილა. ხანდახან, რა თქმა უნდა.



REUTERS ლას ვეგასიდან

## ფინელები და გერმანელები

ამ უქმეებზე ბარსელონაში ფორმულას დიდი პრიზია. მრბოლებს უკვე თავი მოუყრიათ ამ ჯადოსნურ ქალაქში, სადაც იმავდროულად ჩოგბურთის დიდი ტურნირია გახურებული. მეფორმულე ნიკ ჰაიდფელდი (მარცხნივ) და კიმი რაიკონენი ერთ გასართობ თამაშზე მისულან და ჩოგბურთელ ალექს კორეჩასთან ერთად გაუქნ-გამოუქნევიათ ჩოგნები. გერმანელის, ფინელის და ესპანელის საჩოგბურთო ფოტოს აქვე უნდა შემოვამველოთ კიდევ ერთი, უფრო ცნობილი ფინელისა და გერმანელისა. იმავ ბარსელონაში, პრესკონფერენციაზე ჩურჩულებენ მიკა ჰაკინენი და რალფ შუმახერი. რალფი გახლავთ ძმა დიად მიხაელ შუმახერისა, რომელმაც სწორედ რომ ბარსელონაში მოუგია თავისი პირველი დიდი პრიზი. ორი დღის წინათ რალფი ავსტრიაში გაუჩერებია პოლიციას სიჩქარის გადაჭარბებისთვის და რახან მრბოლს მართვის მოწმობა თან არა ჰქონია, 650 დოლარით დაუჯარიმებია.



REUTERS ბარსელონიდან



REUTERS ბუფალოდან

## ნაცადი ილეთი

ვიღაცას შორიდან დაუკრავს შაიბა, პიტსბურგელი კევინ სტივენსი კი ნაცადი ილეთით ცდილობს წარმატების მიღწევას: ამხტარი თან მეკარეს ეფარება და თანაც გამოფრენილ შაიბას ატარებს. ბუფალოელთა მეკარე დომინიკ ჰაშეკს ეს საღამო მწარე შეხვდა, მისმა „სეიბრზმა“ 0:3 წააგო, „პინგვინზი“ კი სერიას იგებს 1:0.

# წაგებულები



REUTERS ლოს ანჯელესიდან

პლეი ოფებია გახურებული ენბიეის ხელდებულ დარბაზებში. ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში“ „ნიქსი“ „ტორონტო რეპტორზს“ ებრძვის. ტრიბუნაზე კი ზის დაბერებული, მაგრამ უბერებელი გიჟმაჟი როლინგსტოუნზელი კიტ რიჩარდსი, რომელიც თავისი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, კაი ხნის აღსრულებული უნდა იყოს... „ნიქსი“ 74:94-ს აგებს და სერიაში ანგარიში თანაბრდება 1:1. უიმედოდ ასცქერის ლოს ანჯელესის „სტეპლზ სენთერსის“ ტაბლოს სკოტი პიპენი, დეიმონ სტუდემაიერს კი საერთოდაც არ უნდა მაღლა ახედვა. „ლეიკერსი“ იოლად 106:88 ამარცხებს ვარსკვლავებით სავსე „პორტლენდს“ და სერიასაც 2:0-ს იგებს.



REUTERS ნიუ იორკიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ზელაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge